ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ალორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№182 (241) 7-14 აგვისტო 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ფიქრნი მტკვრის პირზედ...

ჯერჯერობით გვაქვს ის ბედნიერება, რომ აუტანელი ყოფით გათანგულმა ქართველებმა მტკვრის პირად იფიქრონ, მაგრამ თუ გონებას არ მოვუხმეთ და პრინციპული პოზიცია არ დავიკავეთ, შეიძლება ისე წაგვივიდეს საქმე, რომ ქართველთა საფიქრალ-საზრუნავ ადგილად მდინარე რიონი იქცეს, ტატო ბარათაშვილის მუზის – მტკვრის პირად კი შუბლზე მრავალმნიშვნელოვნად ხელმიდებულმა სომხებმა იფიქრონ.

განა აქეთკენ არ მოჰყავს საქმე ეთნიკურ სომეხ მიხეილ სააკაშვილს და საქართველოს ხელისუფლებაში **“თბილად”** მოკალათებულ მის სომხურ ბანდას?

ვერ მოესწრებიან!

სწორედ დიდი პოლიტიკური და ფინანსური შესაძლებლობების მქონე ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ აფუთფუთდა საქართველოს სომხური პოლიტიკური ტერარიუმი, ნაცმა გველებმა შხამიანი ღოჯები გამოაჩინეს და, თუ პოლიტიკურ კონკურენტებს ვერ მოერევიან, მზად არიან საკუთარი თავი დაგესლონ და პოლიტიკა საზრახისი დევიზით დატოვონ: **“ჩვენს შემდეგ თუნდაც ქვას უთოვია”!**

ერთი რამ გვაიმედებს მხოლოდ – შევარდნაძის მიერ ნაცების და სააკაშვილის საქართველოს ხელისუფლებაში გათრევის შემდეგ ქართველთა თავზე იმდენმა **“ქვამ ითოვა”,** რომ სრულიად საქართველომ საკმაოდ მყარი იმუნიტეტი შეიძინა გეოპოლიტიკური, ფინანსური თუ ტექტონიკური კატაკლიზმებისადმი.

მაგრამ იმუნიტეტის გაძლიერება სრულ განკურნებას არ ნიშნავს და, თუ ქართველები დროზე არ მოვეგეთ გონს, სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების გამყიდველური პოლიტიკის წყალობით საქართველო მალე **“შაგრენის ტყავივით”** შემოგვადნება ხელში!

და ჩვენ ვიქცევით ისეთივე **“ტკბილ-მოსაგონარ”** ცივილიზაციად, როგორებიც არიან პელაზგები (კოლხთა უშუალო წინაპრები), ეტრუსკები, ელინები, ნინევიელები, კოპტები, ასურები...

ტიბეტელები ამბობენ: **“ევროპელთა შემოსვლა რაღაცის დასასრულს ნიშნავსო”.** ეს **“რაღაცა”** კი იყო ინკებისა და მაიას ცივილიზაცია, ევროპტელთა, არამეელთა და სხვა აზიურ ცივილიზაციათა თვითმყოფადობა და არაფრით არა ვართ გარანტირებულები, რომ ძალიან მალე ეს არ იქნება მდიდარი მართლმადიდებლური რელიგიური თუ ქართული ეროვნული ტრადიციები!

ალბათ, მართლაც ვიმსახურებთ იმას, რაც გაგვაჩია გადედლებულ და დამონებულ ქართველ ერს, ერთ დროს კავკასიურ საქრისტიანოს რომ იცავდა ხმლით ხელში ყიზილბაშების შემოსევისაგან. ახლა ჩვენც და იმ ყიზილბაშთა შთამომავლობას ერთი მტერი გაგვჩენია, რასაც დასავლურ ღირებულებებს ეძახიან, მტერი კი ძნელი მოსაშორებელია, რადგან იგი, ხშირად, ჩვენშივე ბუდობს!

განა სწორედ ეს არ არის ბედის ირონია?!

ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არიან პოლიტიკოსები, რომელთა ძირითად მიზანს წარმოდგენს საკუთარ შესაძლებლობათა დემონსტრირება, რათა საზოგადოება დარწმუნდეს მათ ჯანსაღ მსოფლმხედველობაში და ქვეყნის ბედი ჩააბაროს მას, როგორც მშობლიური ერის პატრიოტ გულშემატკივარსა და ქვეყნის ბედზე მოფიქრალ ადამიანს.

მაგრამ, ამავე დროს, არიან საქართველოს პოლიტიკურ სფეროში დასაქმებული ადამიანებიც, რომელთათვისაც პოლიტიკა მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ინსტრუმენტია, რათა შემდეგ დაურიდებლად ყვლიფონ ქვეყანა და ხალხი. სწორედ ამგვარი ანგარებით აღსავსე ადამიანებითაა დაკომპლექტებული დღევანდელი ნაციონალური მოძრაობის პირველი ეშელონი.

და, არიან პოლიტიკანები, ესე იგი, ნაციონალური მოძრაობის შედარებით ქვედა რგოლები, რომლებიც საკუთარი ტყავიდან ძვრებიან მათი **“მამა-მარჩენალის”** სახელმწიფოს სათავეში დარჩენისათვის. სწორედ ეს შუბლის ძარღვგაწყვეტილი ადამიანები მიდიან ყოველგვარ საძრახის საქმეზე, თავხედურად უპირისპირდებიან საკუთარ ხალხსა და კანონებს და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ჭეშმარიტად ავტორიტეტული პოლიტიკოსები ჩამოაშორონ ქართულ პოლიტიკურ სივრცეს და შემდეგ საკუთარ ნებაზე იპარპაშონ!

პატიოსნება და გულახდილობა მართლაც რომ მომაკვდინებელია **“ნაციონალთა”** კატეგორიის მსგავსი ადამიანებისათვის!

მაგრამ, ბედნიერება ისაა, რომ ეს სწორუპოვარი ჭეშმარიტი პოლიტიკოსები მაინც არ ყრიან ფარ-ხმალს და ყველაფერს აკეთებენ ქართულ პოლიტიკას მიტმასნილი მედროვეების გამოასააშკარავებლად.

ასეც უნდა იყოს, რადგან ისტორიის სვლას ვერაფერი შეაჩერებს და ვერც მიმართულებას შეუცვლის. ეს მხოლოდ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ფიქრობენ, რომ შესძლებენ ისტორიის გადაწერას, მაგრამ მათ არ იციან, რომ ისტორია კი არ იწერება, ისტორია იქმნება და მას სწორედ გულმართალი და პრინციპული პოლიტიკოსები ქმნიან!

ამ ადამიანებს გამოარჩევს არა მხოლოდ ზებუნებრივი წინასწარმეტყველება, მათი მთავარი იდეოლოგიური იარაღი გახლავთ მომავლის უტყუარი ჭვრეტისა და ზუსტი ანალიზის გაკეთების უნარი, რომელსაც წინ უძღვის მრავალი წლის თავაუღებელი შრომა და არა მილანის მაღაზიებში სააკაშვილისეულად საყიდლებზე წანწალი, მაშინ, როცა წყალდიდობისაგან ქვეყანა თავზე გენგრევა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!

ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ სააკაშვილის დღევანდელ სახელისუფლებო საყრდენს სწორედ ის ევროპული ფარისევლობა წარმოადგენს, რომელმაც მსოფლიოს მრავალ მდიდარ ცივილიზაციას მოუღო ბოლო და ალბათ კიდევ მრავალ ცივილიზაციას დაასამარებს, თუ წინ არ აღვუდექით!

დასავლეთ სამყაროს კი, უკაცრავად პასუხია და, ფეხებზე ჰკიდია, საქართველოს ხელისუფლებაში სომეხი იდგება, ქურთი თუ ჩუკოტკის მკვიდრი. მისთვის მთავარია, რომ რაც შეიძლება მალე დააკნინოს და შემდეგ გაანადგუროს საქართველოს ღვთიური ძალა – ქრისტიანული მართლმადიდებლობა, დაკანონოს გეიაღლუმები, ერთსქესიანთა ქორწინება და სხვა უბედურობები, რასაც მართლმადიდებლებისადმი კათოლიკეებზე მეტად მომტერე სომეხ მონოფიზიტზე კარგად ვერავინ შეასრულებს. ამიტომაც ადიარებენ ისინი ცინიკურად პოლიტიკურად გაკოტრებულ ნაციონალთა უპირატესობას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, მაშინ, როცა ავადსახსენებელ მიხეილ სააკაშვილს და მის პოლიტიკურ გუნდს არავითარი ავტორიტეტი აღარ გააჩნია საქართველოს მოსახლეობაში.

ევროპელთა არაპოლიტიკური და ფარისევლური **“ჩალიჩისა”** და ანგარების აშკარა დასტური გახლავთ ის, რომ ევროსასამართლომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე გადასდო ხელმეორე ძიების დაწყების აღსრულება სანდრო გირგვლიანის საზარელ მკვლელობასთან დაკავშირებით, რადგან ამ ფაქტის გაუღერება კიდევ ერთხელ უჩვენებს მსოფლიო საზოგადოებრიობას, თუ როგორი დაუნდობელი მკვლელები და ყაჩაღები არიან მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური თანამზრახველები.

ევროპული ეუალირებული (მაგრამ მაინც თვალშისაცემი) ანგარება, თვალთმაქცობა და ფარისევლობა სხვა რა უნდა იყოს?

კეთილსინდისიერი პოლიტიკოსი დიდ დროს უთმობს იმას, რაც საჭიროა და მეტად მცირე დროს უთმობს იმას, რაც პირადად სურს. სააკაშვილი კი მხოლოდ იმაზე ფიქრობს და იმას აკეთებს, რაც მას სურს, დაწყებული **“ეროტიკულ მასაჟისტ ქალებად”** წოდებული კახპების მომსახურეობით და დამთავრებული საზღვარგარეთის ელიტარულ მაღაზიებში საყიდლებზე შლიგინით. და ყველაფერ ამას აკეთებს ბიუჯეტის ხარჯზე – ჩვენი ჯიბეებიდან ამოცანცლული ფულით!

მძიმე ბრალდებად უყენებენ ბიძინა ივანიშვილს, რომ საბჭოთა ეპოქას მისტირისო და მასების დასარწმუნებლად მისი ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის უზნეო მონტაჟი მოაწყვეს. მხოლოდ ივანიშვილი რომ მისტიროდეს საბჭოთა წარსულს, ამას როგორმე გავუძლებდით, მაგრამ განა მთელი შეგნებული საქართველო მართლაც არ მისტირის იმ საბჭოთა პერიოდს, როცა თუნდაც მცირე ხელფასითა და პენსიითაც შეიძლებოდა თავის რჩენა და ქვეყანას ამდენი უმწეო და გამათხოვრებული ღირსეული ადამიანები არ ჰყავდა! არა და, თავად დაგვაბრუნეს იმ ეპოქაში, როცა ჩაკეტილ ფანჯრებიან ოთახებში ვუსმენდით რადიოსადგურ **“ამერიკის ხმას”.** მაშინ საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად იცოდა დასავლეთისადმი ჩვენი ბრმა ინტერესის თაობაზე, მაგრამ **სუპ**-ს რადიომიმღებები არასოდეს ჩამოურთმევია ხალხისათვის. ამათ კი ასიათასობით სატელიტური ანტენები დააყადაღეს, რათა ხალხს ყური და თვალი არ მიუწვდეს განსხვავებულ აზრზე და მხოლოდ მათი ჯიბის ტელევიზიებს უცქიროს!

მკაცრი პასუხისმგებლობა აქვთ დაწესებული ამომრჩეველთა მოსყიდვაზე, თავად კი თავხედურად არღვევენ საკუთარი ნებით მიღებულ კანონებს და დაურიდებლად ეწევიან ამომრჩეველთა მოსყიდვას.

გამორიცხულია დღეს საქართველოში იყო წარმატებული ბიზნესმენი, თუ ან ნაციონალი არა ხარ, ან ნაციონალებთან დაახლოებული პირი. ყველა ბიზნესში ფეხი აქვთ ჩადგმული სააკაშვილსა და მისი ბანდის წევრებს, რომლებიც მოქმედებენ მსოფლიოს №1 ფაშისტის დუჩე მუსოლინის პრინციპით: **“მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებს კანონი”**!

და ამას ეძახიან დემოკრატიას, რასაც ნირშეუცვლელად უდასტურებენ ფარისევლობასა და ორსახოვნებაში ჭიპმოჭრილი ევროამერიკელები.

და ჩვენც ხმაამოუღებლად ვყლაპავთ ამ უკადრისობას!

მაგრამ ნაცებს მაინც ვეღარაფერი უშველით, რადგან მართლაც შუა საუკუნის ბნელეთის მოციქულები არიან!

თუმცა, შუა საუკუნეებში იყო რაციონალური მარცვალი, რაც ამათთვის სრულიად უცხოა. მთელი მსოფლიო აიკლეს ყიჟინით: რეფორმატორები ვართო! პეტრე პირველი რეფორმატორი იყო და მისმა რეფორმებმა რუსეთს მისცა პუშკინი, ლერმონტოვი და დიდი ადამიანების მთელი პლეადა. სააკაშვილისა და **“ნაციონალების”** რეფორმებმა კი მოგვიტანეს მომღერალი ნინკა წკრიალაშვილი, პოეტი ბურჭულაძე, მომღერალი-მინისტრი ხაჩიძე...

დიდი შენაძენია, ოღონდ თავშისაცემი და სავაგლახო!

უკვე იმდენად დაჭკარგეს ჯანსაღად განსჯის უნარი, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ ოპონენტს **“რუსეთუმეებს”** უწოდებენ და ქვეყანას უკანმოუხედავად ამერიკისაკენ მიერეკებიან, მაგრამ, ვერასგზით ვერ აუხსნიათ ქართველი ხალხისათვის, თუ რით არის ამერიკა და ამერიკელი რუსეთზე და რუსზე უკეთესი. განა სწორედ ამერიკულმა უაზრო შეგულიანებამ სამიოდ დღეში არ დაშალა სამ ნაწილად ის საქართველო, რომელსაც ორასი წლის განმავლობაში საგულდაგულოდ აკოწიწებდა რუსეთი, თავისი ჯარისკაცების სიცოცხლის ფასად?

ამ ორასი წლის განმავლობაში შეიძლება იყო კიდეც რუსული უხეშობა და უაპელაციობა (მათი პირდაპირობიდან გამომდინარე), მაგრამ არასოდეს ყოფილა რუსული ფარისევლობა და ჩვენი სულიერი ღირებულებების განადგურებისადმი სწრაფვა, რასაც ვერ ვიტყვით დასავლეთსა და ამერიკაზე! მაგრამ დღეს რუსი მართლმადიდებლებიც ისევე თავგანწირვით ებრძვიან მასონური დასავლეთის ხრიკებს, როგორც საქართველოს საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველები და რუსები ბარიკადების ერთ მხარეს ვდგავართ. და თუ დღეს ვერ ხერხდება ჩვენს ხალხებს შორის ხელოვნურად წარმოქმნილი ბარიერების დაძლევა, ამაში დამნაშავეები სააკაშვილი და მისი თანამზრახველები არიან, რომლებიც, საქართველოს საზიანოდ, რუსებთან მშვიდობიანი თანაარსებობის არავითარ შანსს არ გვიტოვებენ.

ეს კი მხოლოდ საქართველოს მტრების გეგმის ნაწილია, რაც ჩვენს დაშლა-დანაწევრებასა და საბოლოო განადგურებას გულისხმობს!

აი, რატომ გვჭირდება ქართველებს მეტი სიფხიზლე და პრინციპულობა!

და ვიდრე, სამ სახელმწიფოში გამდინარე, მაგრამ მაინც საქართველოს სიმბოლოდ ქცეული მდინარე მტკვარი ჯერ კიდევ ჩვენია და არა სომხური, თუ გვსურს, რომ მსოფლიო შემოქმედთა ეს დიდი მუზა მარადის ჩვენად დარჩეს, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მის ნაპირთან ქვეყნის ბედზე მწარედ ჩაფიქრებული სვედამწვარი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ამონაკვნესი:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

ნუთუ მართლა იმდენად დავრდომილები ვართ, რომ მტერ-მოყვარის გარჩევა გვიჭირს ერთმანეთისაგან და ამიტომ ვედარ ვაკეთებთ ღირსეულ არჩევანს?

თუ შიში გვორგუნავს, არც შიშია საკადრისი ქართველი ადამიანისადმი, რომელიც თამამად უცქერდა სიკვდილს თვალებში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იდგა ქვეყნის სადარაჯოზე.

მშიშრების საქციელი თვალნათლივ ვიხილეთ გორში, 2008 წლის აგვისტოში, როცა რუსების თვითმფრინავის გამოჩენით თავზარდაცემულმა ჩვენმა **“მხედართმთავარმა”** მიწა ახნა ცხვირით.

სწორედ მაშინ გამეხარდა, რომ ეს **“მხედართმთავარი”** ეთნიკური ქართველი არ იყო!

ისტორიულად უშიშარმა ქართველმა კაცმა შეიძლება მეორე ქართველს უმტროს, მაგრამ მშიშრად და საქართველოს მტრად იგი არასოდეს იქცევა.

იმიტომ, რომ ქართველია და საქართველო უყვარს თავის თავში და არა თავისი თავი – საქართველოში!

მხოლოდ არაქართველებს უყვართ თავიანთი თავი საქართველოში, განსაკუთრებით კი – საქართველოს ხელისუფლებაში, რადგან პოლიტიკური კაპიტალი მათთვის პირადი გამდიდრების საშუალებაა და არა პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე!

და ჩვენ ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, განსაკუთრებით არჩევნების დღეს!

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

ვიაჩესლავ ჩირიკბა – აფხაზეთი აფხაზების გარეშე არ იქნება

აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა ჟურნალისტებს ესაუბრა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ, რუსეთთან დამოკიდებულების, თურქული ბიზნესის შესახებ და რესპუბლიკის აღიარების პერსპექტივის თაობაზე.

– აფხაზეთში პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შემდეგ გახშირდა ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები აფხაზეთის ევროპისადმი დამოკიდებულების თაობაზე. ევროპასთან კავშირები ძლიერდება თუ სუსტდება?

– ის, რაც ახლა ხდება, შეიძლება მივიჩნიოთ ევროპასთან ურთიერთობის გარიჟრაჟად. კვირა არ გავა ისე, რომ აფხაზეთში რომელიმე ევროპული კომისია არ ჩამოვიდეს – ევროპული მისიების ამგვარი მოძალება ჩვენ არ გვახსოვს. გარდა ამისა, აფხაზეთი აქტიურად მონაწილეობს ჟენევის მოლაპარაკებათა პროცესებში. ამდენად, მე არ მგონია, რომ ევროპასთან ჩვენი კავშირები სუსტდებოდეს.

– და როგორ ყალიბდება ეს ურთიერთობები, მოსალოდნელია თუ არა აღიარება ევროპის ქვეყნების მიერ?

– ჩვენს მწუხარებას იწვევს ის ამბავი, რომ ევროპა აბსოლუტურად უყურადღებოდ ტოვებს აფხაზეთში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ევროკავშირს არად აწუხებს აფხაზეთში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესები და მხოლოდ ის აწუხებს, თუ რაოდენ სწრაფად შეიყვანს აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში, რაც, თავისი არსით, აბსოლუტურად არარეალური პროგრამაა. ასე რომ, ევროპასთან კავშირები არ სუსტდება, მაგრამ ევროპელებთან მიმართებაში ფრუსტრაცია ძალიან ბევრია. ევროპარლამენტის უკანასკნელი რეზოლუციები იმაზე მეტყველებენ, რომ ადამიანები, რომელთაც არც კი იციან, თუ სად მდებარეობს აფხაზეთი, იღებენ რეზოლუციებს, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, თუ როგორ სისტემატურად ირღვევა აფხაზეთში ადამიანის უფლებები, მიმდინარეობს ეთნიკური წმენდა და სხვა. ევროპა ასევე გვევლინება მორალიზატორის როლში, მაგრამ არავითარ რეალურ შედეგს არ იძლევა – არც ფინანსური დახმარებისა და არც სავიზო პოლიტიკის დარგში. აფხაზეთის დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის გატარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუარესდა ვიზების საკითხი. არ აძლევენ ვიზებს მათ, ვისაც სურს, რომ საზღვარგარეთ გაიაროს მკურნალობის კურსი, უვიზებოდ რჩებიან ტურისტები, ბიზნესმენები... ასეთ შემთხვევაში, ევროპა, რომელიც უკანდაუხევლად იბრძვის ადამიანის უფლებების დაცვისათვის, თავად არღვევს ადამიანის უფლებებს. და ჩვენ წინა პლანზე ვაყენებთ ამ საკითხებს ყველა იმ ევროპელის წინაშე, რომლებიც აფხაზეთში ჩამოდიან.

– როგორ მიმდინარეობს ვიზების გაცემა. დასამალი ხომ არ არის, რომ აფხაზეთის ბევრ მოქალაქეს რუსული პასპორტები აქვს?

– დასავლეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებში მოძრაობს ცირკულარი, რომელიც რეკომენდაციას იძლევა, რომ აფხაზეთის მოქალაქეებს, რუსული პასპორტის ქონების შემთხვევაშიც კი, არ მიეცეს ვიზები. ისინი ჩაწერის რეკვიზიტების მიხედვით ადგენენ, თუ სად ცხოვრობს ადამიანი და აფხაზეთის მოქალაქეებს ვიზებს ან ძნელად აძლევენ, ან საერთოდ არ აძლევენ. ამით კი ილახება ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უფლება – თავისუფლად გაემგზავროს სამშობლოდან და ასევე თავისუფლად დაბრუნდეს სამშობლოში. მთელი მათი საუბარი ადამიანის თავისუფლების თაობაზე ფუჭია, რადგან თავადვე უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს. გამოდის ხალხის ერთგვარად, კოლექტიურად დასჯა. აქ სანიმუშოდ შეიძლება გამოვიყენოთ ორი ქვეყნის – ჩრდილოეთ კვიპროსისა და კოსოვოს მაგალითი. ევროპის ქვეყნების უმეტესობა არ აღიარებს მათ დამოუკიდებლობას, მაგრამ, მით უმეტეს, საზღვარგარეთ სამოგზაურო ვიზებს მათ დაუბრკოლებლად აძლევენ. მე ვცდილობ, ეს ავუხსნა ჩვენს ევროპელ კოლეგებს, მაგრამ შედეგს ვერ ვაღწევ მათი სიჯიუტის გამო. არაღიარების პოლიტიკის დამტკიცების შემდეგ იქმნება საკმაოდ უცნაური სიტუაცია – მაქსიმუმი არაღიარება და მინიმალური ინტეგრაცია ევროსტრუქტურებში.

– აფხაზეთის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებზე დამკვირვებლად ჩამოსული გახლდათ ევროპარლამენტის დეპუტატი – უნგრელი ბელა კოვაჩი. ხომ არ იყო საუბარი უნგრეთის მიერ აფხაზეთის აღიარების თაობაზე?

– არა, ამაზე საუბარი არ ყოფილა. ახლანდელი ევროკავშირი რაღაცით გვაგონებს ყოფილ საბჭოთა კავშირს – მათ ერთიანი საგარეო პოლიტიკა გააჩნიათ. და მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ცალკეულ სახელმწიფოებს აქვთ აღიარების ან არაღიარების უფლება, ახლა ნაკლებსავარაუდოა, რომ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალოს.

– რა წარმოადგენს დღეს აფხაზეთის საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს?

– ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარია, მაგრამ ჩვენ ასევე ვცდილობთ ურთიერთობათა განვითარებას რეგიონის ქვეყნებთან. რა თქმა უნდა, საქართველოსთან ურთიერთობები ყალიბდება საკმაოდ ძნელად, რადგან ტექნიკურად ჩვენ მათთან ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენ ვცდილობთ ურთიერთობების განმტკიცებას თურქებთან – დამყარებული გვაქვს მათთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, თურქეთში ხომ მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა ცხოვრობს. თურქეთთან ამჟამად ძირითადად ეკონომიკური კავშირები არსებობს, თუმცა იქ სულგანათლებული სერგო ბაღაფშის ვიზიტისას სხვა საკითხებიც იხილებოდა, მათ შორის საბორნო მარშრუტის აღდგენა აფხაზეთსა და თურქეთს შორის, რათა თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ თავიანთი აფხაზი ნათესავების მონახულება. ასევე ვავითარებთ ურთიერთობებს იმ ქვეყნებთან, რომელთაც ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარეს. ახლახან მოვაწერეთ ხელი ტუვალუს პრემიერ-მინისტრთან ხელშეკრულებას ამ ორ სახელმწიფოს შორის უვიზო მიმოსვლის განხორციელების თაობაზე.

– როგორ ყალიბდება ურთიერთობები საზღვარგარეთის აფხაზურ დიასპორებთან?

– ამ საკითხებზე მუშაობს რეპატრიაციის კომისია, ეს მათი ძირეული ამოცანაა. ახლახან სირიაში გაემგზავრა აფხაზური მისია და იქაურმა ასზე მეტმა აფხაზი ეროვნების მოსახლემ განაცხადა აფხაზეთში გადმოსახლების სურვილი. მისია მჭიდრო კავშირში იმყოფება დამასკოში მდებარე რუსეთის საელჩოსთან. ჩვენ მზად ვართ ხელი შევუწყოთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მსურველ ყველა აფხაზს – შემუშავებულია მათი განსახლების, შრომითი მოწყობის, მშობლიური ენის სწავლების და სუბსიდირების პროგრამა – სწორედ ამ საქმეებს უძღვება აფხაზეთის რეპატრიაციის კომიტეტი. ჩვენ კი ვეხმარებით პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტასა და აფხაზთა სამშობლოში დაბრუნების პროცესების კოორდინაციაში.

– არსებობს მოსაზრება, რომ მუჰაჯირობის შთამომავალთა სამშობლოში დაბრუნება სტიმულს მისცემს აფხაზეთში რადიკალური ისლამიზმის დამკიდრებას. რამდენად გვემუქრება ამგვარი საშიშროება?

– ჯერჯერობით არ ყოფილა რადიკალი ისლამისტის შემოსვლის შემთხვევა. ისინი ყველანი კანონმორჩილი მოქალაქეები არიან. მე ხშირად ჩავდივარ ხოლმე თურქეთში და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზები რელიგიურად არ იჩენენ მიდრეკილებას რადიკალური ისლამიზმისაკენ. რადიკალიზმის მთავარი საფრთხე აფხაზეთს ემუქრება არა თურქეთიდან ან სირიიდან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიიდან. პოლიტიკური ისლამიზმი სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაშია ფესვგადგმული, სადაც არსებობენ უამრავი იატაკქვეშა ორგანიზაციები და სწორედ ისინი წარმოადგენენ საფრთხეს აფზახეთისათვის – რადგან ეს თავისთავად ნიშნავს საზოგადოების გახლეჩას რელიგიური ნიშნით. აფხაზური საზოგადოება ყოველთვის ტოლერანტული იყო და მას არ ახასიათებდა კონფესიათაშორისი კონფლიქტის ტრადიციები.

– იგეგმება თუ არა კავშირების განმტკიცება საქართველოსთან. დგამს თუ არა საქართველო გარკვეულ ნაბიჯებს მის მიერ შემუშავებული სტრატეგიის ფარგლებში ოკუპირებული ტერიტორიების თაობაზე?

– საქართველოს ყველა მოქმედება, ჯერჯერობით, ითვალისწინებს მხოლოდ ერთ მიზანს – მოახდინოს აფხაზეთის ინტეგრირება საქართველოს შემადგენლობაში. ძალის გამოყენებით მათ ეს ვერ მოახერხეს და ახლა სხვა გზების ძიებაში არიან და ცდილობენ დაარწმუნონ დასავლეთის სახელმწიფოები, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. ჩვენ მეზობლები ვართ და, გამორიცხულია, რომ როდისმე მაინც ვერ შევძლოთ ურთიერთობათა მოწესრიგება. მაგრამ ვიდრე საქართველოსთან ხელი არ მოეწერება სამშვიდობო ხელშეკრულებას, ჩვენ ტექნიკურად ომის მდგომარეობაში ვიქნებით ერთმანეთთან. 1993 წლის ომის შემდეგ საქართველოს ყველა მოქმედება აფხაზეთის წინააღმდეგ იყო მიმართული – ჟენევის დისკუსიებზე ჩვენ რუსეთის მარიონეტს და ოკუპირებულ ტერიტორიას გვიწოდებდნენ და ა.შ. სამწუხაროდ, საქართველოს მხრიდან ჯერ არ გადადგმულა ნაბიჯი ჩვენს შორის არსებული მდგომარეობის დასარეგულირებლად. საქართველომ თავად მოიქცია თავი პოლიტიკურ ჩიხში და დღეს მის ხელისუფლებაში არ არსებობს პოლიტიკოსი, რომელიც ზომიერი პოზიციიდან დაგველაპარაკებოდა, რომ არაფერი ვოქვათ რეალურ პოზიციებზე. ეს გახლავთ რევანშისტების ხელისუფლება და ვიდრე ისინი იქნებიან საქართველოს სათავეში, კონფლიქტი არ ამოიწურება. ჩვენი მიზანია საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენა ურთიერთცნობის, ურთიერთმეგობრობისა და კეთილი მეზობლობის საფუძველზე. როდისმე ეს მოხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს.

– მრავალი ექსპერტი გამოთქვამს შიშს იმის გამო, რომ აფხაზეთში ყველა მაღალი თანამდებობა ეთნიკურ აფხაზს უკავია, ეროვნულ უმცირესობებს კი არ მიუწვდებათ ხელი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და ფინანსურ ნაკადებზე, რაც მთლიანად აფხაზების ხელშია.

– დიახ, მაღალი თანამდებობების უმეტესობას ეთნიკური აფხაზები იკავებენ. მაგრამ, მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შესაბამისად, სწორედ ეთნიკური აფხაზები წარმოადგენენ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას. აფხაზეთი აფხაზების გარეშე არ იქნება – სხვა შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ სოჭს ან ადლერს. სხვა საკითხია, თუ რატომ არ არიან სხვა ეთნიკური ჯგუფები ბევრად აქტიურები. რუსული დიასპორა წარმოდგენილია მცირე რაოდენობით, სომხური დიასპორა კი ფრაგმენტარულია, რაც გარკვეულწილად მოქმედებს ძალების გადანაწილებაზე. ამის გათვალისწინებით, ეთნიკური უმრავლესობა, აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოებში, სავსებით სამართლიანადაა წარმოდგენილი. ამ ბალანსს კანონებით ან დადგენილებებით ვერ შეცვლი – ეს ევოლუციის გზით უნდა მოხდეს.

მარია პლატონოვა

აფხაზეთში საგასტროლოდ ჩამოვიდა ქორეოგრაფიული ანსამბლი "რიდადე"

თურქეთში მცხოვრები აფხაზებისაგან დაკომპლექტებული ქორეოგრაფიული ანსამბლი **"რიდადე"** რამდენიმე დღის წინ გასტროლებით ეწვია აფხაზეთს. ანსამბლის მხატვრულმა ხელმძღვანელმა ჯიხატ აგრბამ განაცხადა, რომ ანსამბლის მრავალი წევრი პირველად ჩამოვიდა თავის ისტორიულ მიწაზე.

"ჩვენი მამები და პაპები, თურქეთში გადასახლების დღიდან, რუდუნებით უვლიდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ აფხაზურ კულტურასა და ხელოვნებას. ვიმყოფებით რა თურქეთში, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ აფხაზური კულტურისა და ტრადიციების შესანარჩუნებლად – ვსაუბრობთ მშობლიურ აფხაზურ ენაზე, მკაცრად ვიცავთ კავკასიურ წეს-ჩვეულებებს, ვცეკვავთ აფხაზურ ცეკვებს და ვმღერივართ მშობლიურ ენაზე", – განუცხადა ჟურნალისტებს ჯიხატ აგრბამ.

ანსამბლმა **"რიდადემ"** კონცერტები გამართა ბიჭვინთის კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში და სოხუმის რ. გუმბას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიაში, რომელსაც უამრავი მაყურებელი დაესწრო. შემდეგ ანსამბლი ესტუმრა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჩლოუს და მაყურებელი გაახარა მაღალი ხელოვნებით.

ანსამბლ **"რიდადეს"** მშობლიურ მიწაზე საგასტროლოდ ჩამოსვლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ერთადერთი დამფინანსებელი გახლდათ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **"ტყვარჩელქვანახშირის"** გენერალური დირექტორი ტაიფუნ არძინბა. იგი თურქეთიდან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა ჯერ კიდევ ომის დროს – 1992 წელში.

გალის სამართალდამცავებმა ხე-ტყის უკანონო ჭრასა და რეალიზაციაში ამხილეს საქართველოს მოქალაქეები

გალის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა აღკვეთეს კიდევ ერთი დანაშაული – მათ ხეტყის უკანონო ჭრისა და რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს საქართველოს მოქალაქეები. მათ ჩამოერთვათ უკანონოდ მოპოვებული ხის მასალა და გადაყვანილი იქნენ გალის დროებითი მოთავსების იზოლატორში, საიდანაც განთავისუფლდებიან სასამართლოს შესაბამისი დადგენილების აღსრულების შემდეგ, რომელიც ალბათ ფულადი ჯარიმით შემოიფარგლება.

ამის თაობაზე ჟურნალისტებს აცნობა გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ.

სუხუმი-ფსოუს მატარებელში საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს

წლევანდელი წელი აფხაზეთში საკმაოდ არასასიამოვნო **"სიურპრიზით"** დაიწყო – გუდაუთის რაიონის მიდამოებში, სუხუმი-ფსოუს ელექტრომატარებელში საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, რომელიც მენაღმე სპეციალისტებმა გააუვნებელყვეს. ამის თაობაზე ჟურნალისტებს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნუგზარ სამსონიამ აცნობა.

აღნიშნული ასაფეთქებელი მოწყობილობა რკინიგზელებმა აღმოაჩინეს სამგზავრო შემადგენლობის შემოწმებისას. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ იქნა გამოძახებული ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი, რომლის შუამდგომლობითაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ჯერჯერობით რაიმე კონკრეტულის თქმა არ შეიძლება, თუმცა, ძნელი არ არის იმის ვარაუდი, რომ აღნიშნული საძრახისი საქმე აფხაზი ხალხის მტრების მიერაა ჩადენილი, რაც, საბედნიეროდ, დროულად იქნა გამოვლენილი და უმსხვერპლოდ დასრულდა.

ᲕᲘᲡᲘ “ᲒᲝᲠᲘᲡᲐ” ᲮᲐᲠ, ᲨᲔᲜ, ᲒᲝᲩᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ!?

ძვირფასო მკითხველო!

ვიდრე ამ წერილის წერას შევუდგებოდი, დიდი ძალისხმევა დამჭირდა საკუთარ თავთან, მაგრამ მაინც ვერ მოვითმინე, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, კოლხმა, დიდი ცოტნე დადიანის შთამომავალმა, უარი მეთქვა ამ მისიის შესრულებაზე, და თუ რამეს ვაჭარბებ, თავად განსაჯეთ, ხოლო, თუ შეცდომას ვუშვებ – მომიტევეთ!

გოჩა გვარამია!

არც მე და არც საზოგადოებამ არ იცის, ვინ ხარ შენ და თუ, საერთოდ, წარმოადგენ რამე ღირებულს, მაგრამ, ჯერჯერობით, მაინც ჩვენი კუთხის შვილად ითვლები (შენი გვარიდან გამომდინარე), რაც დიდ სირცხვილად იქცა ჩვენთვის.

რა გინდა, ბიძია! რატომ ერევი ისეთ საქმეში, რომლის არც თავი იცი და არც ბოლო, თუ შენი მოგვარე ნიკა გვარამიას მსგავსად, სისხლში გაქვს გამჯდარი ყველაფერი კარგის განქიქება. რომ გამოდიხარ და საქართველოს უპირველესი ძირძველი კუთხის – სამეგრელოს – სახელით აძლევ ინტერვიუს სააგენტო **“რია ნოვოსტს”,** ვინ დაგავალა, ვინ გეკითხება? რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ სრულიად უსირცხვილოდ აყენებ ტყუილების კორიანტელს, როგორ მოგიბრუნდა პირში ენა შენივე კუთხის, მისი რაინდი შვილების სალანძღავად? შენი გამონათქვამებიდან გამომდინარე, არა მგონია კაცად შეირაცხო და სწორედ ამიტომ გიწოდეს **“მეგიოხვენჯე”**, თუმცა, უფრო უპრიანი იქნებოდა შენთვის ეწოდებინათ **“ჩიჩიე კურო”,** რამეთუ, ბრძენ მეგრელ ხალხს გააჩნია ანდაზა: **“ჩიჩიე კურო დიდას ობუდუა”**, და ეს ზუსტად შენს ქარგზეა გამოჭრილი. არ ვიცი, საიდან დაგიგროვდა ამდენი ღვარძლი და დელგმა, ვინ დაგქოქა ამგვარ არაკაცად, მაგრამ ვიცი ის, რომ გლობალური მასშტაბით მოიმკე სიძულვილი და თუ ყველაფერი ამად გიღირდა, შეგერგოს, უფრო სწორად – **“შენს ჯანში იყოს”!**

რომელ სეპარატიზმზე გაქვს, ბიძია, ლაპარაკი, როცა თვით შენი გამონათქვამებია სეპარატისტული და გინდა გააღვივო კიდეც მავანთა დავალებით. ვის მიეყიდე თავიან-ფეხიანად, რომ ასე იგესლები და შენს გვარს თითქმის საჯარო გაკიცხვისა და ანათემაზე გადაცემის საფრთხის წინაშე აყენებ? თუმცა, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ შენ აწი **“გვარამიანად”** მოგიხსენიებენ, რადგან შენი თითოეული ფრაზა ქართველთა მტრის წისქვილზე ასხამს წყალს!

რა გამართლება უნდა მოუძებნო შენს მიერ ჩადენილ ავკაცობას, როცა ის აღარ იკმარე, რომ კუთხის ჭეშმარიტ პატრიოტი ბატონი ალექსანდრე ჭაჭია უარყოფით კონტექსტში მოიხსენიე და მთელ სამეგრელოს მოსდექი სალანძღავად?

ამას სამეგრელო არ გაპატიებს!

ნუთუ სისხლის ყივილმა მაინც არ შეგაწუხა, მაგრამ გაწყალებული სისხლი ხომ არ ყივის!

შე კაი კაცო! ნუთუ ერთი კაპილარი მაინც არ გაგაჩნია შუბლზე, რომ საკუთარ ჯიშსა და ჯილაგს მოსდექი და ცდილობ მიწასთან გაასწორო. იცი თუ არა შენ, რომ დღეს გამეფებულ ქაოსში შენმა ნალაყბევმა – სამეგრელოს სეპარატიზმის კერად მონათვლამ, რამხელა ზიანი მიაყენა საქართველოს მთლიანობას? მაგრამ ისტორიამ იცის ამაზე უფრო ცუდი მაგალითებიც და შეუძლია ყველა ამგვარი გამყიდველური მოქმედება სამართლიანად შეაფასოს!

შენნაირი, დეგრადაციის გზაზე დამდგარი, ცალკეული პიროვნებების მიერ გაუაზრებლად (ან წინასწარ, მტრული განზრახვით) გადმოსროლილი ლოზუნგები დიდი აღშფოთების მიზეზი ხდება. უნდა გხსომებოდა სერვანტესის ბრძნული სიტყვები: **“დაუფიქრებლად ლაპარაკი იგივეა, რაც დაუმიზნებელი სროლა”.** ალბათ ფიქრობ, რომ დემოკრატი ხარ, მაგრამ უნდა იცოდე, რომ დეზინფორმაცია და ტენდენციურობა ძალზე შორს დგანან დემოკრატიისაგან. როცა თვალი გადავავლეთ შენს ღვარძლით გაჯერებულ, ყოველგვარ არგუმენტებს მოკლებულ, გესლიან ინტერვიუს, თვალში გვეცა შუასაუკუნოვანი იეზუიტური ცრუდამბეზღებლური სტილი – დაუძლეველი სურვილი იმისა, რომ სახელი გაუტეხო შენს კუთხეს, შენს თანამემამულეებს. ვიდრე შენს შხამსა და გესლში ამოვლებულ მახვილს მოიქნევდი ზურგში ჩასაცემად, უკეთესი იყო რომ სამეგრელოს (იმ სამეგრელოსი, რომლის შვილიც შენა ხარ და რომელსაც **“ჩიჩიე კუროსავით”** სულში ჩააფურთხე) ისტორია კარგად შეგესწავლა და ნამდვილად დარწმუნდებოდი, რომ ამ კუთხეში სეპარატიზმის გამოვლენას არც ერთ ეპოქაში ადგილი არ ჰქონია (სამეგრელო მაშინაც კი საერისთავოდ რჩებოდა, როცა ჩვენი ბედკრული ქვეყანა ექვს სამეფოდ იყო დაშლილი, თუმცა, სამეგრელოს, ცალკე სამეფოდ გამოცხადებისათვის ტერიტორიაც საკმარისი გააჩნდა და მოსახლეობაც), მაგრამ შენ ხომ სხვის დაკრულზე ცეკვავ და, შენი ქცევიდან გამომდინარე, გადაგვარდი კიდეც!

რაოდენ სამწუხაროა, როცა შენისთანა ბოღმითა და ზიზღით აღსავსე ადამიანები, თავიანთივე კუთხისადმი მიმართებაში, არად აგდებენ ადამიანურ ნორმებს და ყოველგვარი ულირსი ხერხებით ცდილობენ ლაფში ამოთხვარონ მშობლიური კუთხე და მისი პატრიოტი შვილები. კიდევ ერთხელ ვეცდები შეგაგნებინო, რომ სამეგრელო საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ერთი სხეულის სასიცოცხლო ორგანო და საქართველოს მთლიანობისა თუ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში არცერთი კუთხის შვილებზე ნაკლები სისხლი არ გაუღია.

მინდა გითხრა, რომ **“ნაგავი შეიძლება დამალო, მაგრამ სუნს ვერაფერს მოუხერხებ”!** შენს მიერ, დამალულმა კი არა, მიმოფანტულმა ნაგავმა კი ისეთი მყრალი სუნი დააყენა, რომ ნამდვილად დაიმსახურე პროვოკატორისა და ნამუსგარეცხილი კაცის სახელი.

და კიდევ, ერთი რამ მინდა გითხრა: შენს ქმედებაში აშკარად იკვეთება ავადსახსენებელი **“სუპ”**-ის კვალი და იცოდე, ამ უწყების არსებობის ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, რომ მას სახელგაუტეხლად გაეშვას აგენტი მისი სათანადოდ გამოყენების შემდეგ.

ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინ გაქვს, უბედურო გოჩა გვარამია!

ᲠᲝᲖᲛᲘᲠ ᲒᲝᲒᲔᲜᲘᲐ,
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ᲮᲘᲖᲠᲘ ᲐᲚᲓᲐᲛᲝᲕᲘ: ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ

„რია ნოვოსტის“ პრესცენტრში საქართველოში იჩქერიის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ყოფილმა წარმომადგენელმა ხიზრი ალდამოვმა დიდი პრესკონფერენცია გამართა, რომლის დროსაც აღწერა საკუთარი დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლებასა და **„კავკასიაში თბილისის საიდუმლო თამაშებთან“.**

მანამდე, 19 ივლისს გამოცხადდა აფხაზეთის გალის რაიონში იმ სპეციალური შტაბის შექმნის შესახებ, რომელმაც საქართველოს მხრიდან დივერსიებზე უნდა მოახდინოს რეაგირება. ღონისძიების მსვლელობისას ხიზრი ალდამოვმა დაწვრილებით აღწერა საქართველოს ხელმძღვანელობისა და ქვეყნის სპეცსამსახურების ნამდვილი ურთიერთობა ექსტრემისტულ და ტერორისტულ ძალებთან, რომლებიც საძირკველს ურყევენ სტაბილურობას კავკასიაში და საფრთხეს უქმნიან მთელ რეგიონს.

შემდგომ, **„კავკასიის მაცნესთან“** ინტერვიუში იჩქერიის ყოფილი ემისარი, რომელიც ახლა აღიარებითი ჩვენებით დაბრუნდა სამშობლოში და რომელიც ჩეჩნეთის მეთურმა რამზან კადიროვმა მიიღო კიდეც, ამბობს, რომ **„ჩეჩენი ხალხი ფიქრობს მეზობლებზე, რომლებიც გვერდით ცხოვრობენ და პატივს სცემენ ქართველებსა და საქართველოს. მაგრამ, როდესაც ესმით თბილისისა და პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებები, განწყობა ფუჭდება. ხომ ყველამ ნახა ის ომი, რომელიც იქ იყო და ყველამ ნახა, თუ რით დამთავრდა ის ქართველი ხალხისათვის. ჩეჩენმა ხალხმა თავად ნახა ომი საკუთარი თვალით და იცის, თუ რამდენად ცუდია ეს. ამიტომაც უსურვებს ქართველ ხალხს, შეცვალოს პრეზიდენტი, ჰყავდეს უკეთესი პრეზიდენტი, რომელიც არ ესვრის ცხინვალს. რათა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას არსებული პრობლემები. არც ერთ ჩეჩენს არ სურს ცუდი ქართველისათვის – ის მეზობელია. ასევე არ უნდათ ცუდი ჩეჩნებისთვის ქართველებს. ერთადერთი მტერი რუსეთისა და ჩეჩნეთისათვის სააკაშვილია. ეს არის არანორმალური ადამიანი, რომელიც 140-მილიონიან ერს უპირისპირდება. თუ ფიქრობენ, რომ მათ ნაცვლად ამერიკელები მხარს დაუჭერენ, ეს ტყუილია. არც ერთი ამერიკელი, ფრანგი ან ინგლისელი არ წავა რუსეთის წინააღმდეგ. ცხინვალში გამართულმა „თამაშებმა“ მიწის დაკარგვა და ის განაპირობა, რომ რუსული ჯარი თბილისიდან 25 კილომეტრში დგას“.**

ალდამოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სააკაშვილი საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. **„ამ ადამიანმა მოკლა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მოკლა სხვა მრავალი ადამიანი, რომლებიც ეხმარებოდნენ საქართველოს. ახლა ივანიშვილი გამოჩნდა და სააკაშვილი მასაც მოკლავს. მე გელაპარაკებით და არ ვიცი, მივაღწევ თუ არა სახლამდე ცოცხალი. მე თავს არ ვადარებ არც დუმბაძეს, არც პატარკაციშვილს, არც ჟვანიას, მე უბრალო ადამიანი ვარ და არ მინდა ასე მოვკვდე. რისთვის უნდა მომკლას, იმისთვის, რომ სიმართლეს ვლაპარაკობ? მე სიმართლეს ვამბობ და მივმართავ სააკაშვილს, რომ ნუ აშინებს ადამიანებს ამერიკული ფულით და წავიდეს ნებაყოფლობით. ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, რუსეთთან ომი არ იქნებოდა და ტერიტორიები არ დაიკარგებოდა“,** – აღნიშნა ხიზრი ალდამოვმა.

ამავე დროს, მან სააკაშვილი დაადანაშაულა რუსეთის ტერიტორიაზე ბოლო წლებში განხორციელებული ტერაქტების დაფინანსებაში. **„მე დავბრუნდი მშობლიურ ჩეჩნეთში ნებაყოფლობით... მე მშობლიურ ქვეყანაში ჩამოვედი მშვიდობით. მე მიმიღეს ძალიან კარგად. მე არაფერს ვითხოვ, თუ იქნება სამუშაო, ვიმუშავებ. კარგად ვარ, მეამაყება, რომ მიმიღეს მშობლიურ მიწაზე და რომ ჩემი მთავარსარდალი მიწაზე არ დაფორთხავს და ჰალსტუხებს არ ჭამს.“**

კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა სიტუაციის გამწვავება და ახალი ომი, ალდამოვმა უპასუხა, რომ სიტყვა **„ომისაც“** კი ეშინია. მისი თქმით, როდესაც არანორმალურმა სააკაშვილმა ცხინვალის დაბომბვა დაიწყო, მან უკვე იცოდა, რომ პრეზიდენტი ომს წააგებდა. **„ამის შემდეგ ადამიანს ამგვარი თანამდებობა აღარ უნდა ეკავოს. თუ ის კვლავ დაიწყებს ამგვარ ქმედებებს, მაშინ ომი იქნება და ხალხი გადაწყვეტს, რომ ადამიანი, რომელიც იმუქრება და აწყობს ტერაქტებს, არ შეიძლება ქვეყნის სათავეში იდგეს“.**

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲧᲝᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ ᲗᲣ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ – ᲙᲐᲪᲡ?

საქართველოში ხშირად მოისმენთ ასეთ ფრაზებს: **“ხელფასზე ვცხოვრობ”, “ხელფასიდან ხელფასამდე გამაქვს თავი”** და ა.შ. ხელფასი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც, მიზეზთა გამო, სხვა შემოსავალი არა აქვს. ხელფასის ოდენობას კი ქვეყანაში, ძირითადად, სახელმწიფო პოლიტიკა, ეკონომიკური მდგომარეობა და ბიზნესაქტივობა განაპირობებს.

გაეროს 2012 წლის ანგარიშით, რომელიც მსოფლიოში დასაქმებულთა ხელფასების ოდენობას მიმოიხილავს, საქართველო 59-ე ადგილზეა იმ 72 ქვეყანას შორის სადაც კვლევა ჩატარდა. ლიდერთა პირველ ათეულს სათავეში უდგას ლუქსემბურგი, შემდეგ მოდიან ნორვეგია, ავსტრია, აშშ, ინგლისი, ბელგია, შვედეთი, ირლანდია, ფინეთი და სამხრეთი კორეა. ამ ქვეყნებში ყოველთვიური ხელფასი 2.903-დან 4.089 აშშ დოლარამდე მერყეობს, ხოლო დღიური ანაზღაურება – 97-დან 136 აშშ დოლარამდე.

საქართველო საშუალო ხელფასით (ყოველთვიურად 603 აშშ დოლარით და დღეში 20 დოლარით) მნიშვნელოვნად ჩამორჩება უკრაინას (686/23), ჩინეთსა (656//22) და მექსიკას (609/20), სამაგიეროდ, ოდნავ, მაგრამ მაინც უსწრებს (?!) ნავთობითა და გაზით მდიდარ აზერბაიჯანს (596/20), ეგვიპტეს (548/18) და ტაილანდს (489/16). ხელფასების მხრივ საქართველოს ჩამორჩებიან სომხეთი (471/16), მოლდოვა (438//15) და ეკონომიკურად ისეთი მზარდი ქვეყანაც კი, როგორიც არის ინდოეთი (295/10).

უცნობია, რა მეთოდით დაითვალა გაეროს შესაბამისმა სამსახურმა სახელფასო განაკვეთები: დაეყრდნო მხოლოდ ოფიციალურ მონაცემებს თუ დამოუკიდებელ ალტერნატიულ წყაროებსაც. ასეა თუ ისე, 72 ქვეყანას შორის 59-ე ადგილზე ყოფნა ნამდვილად ვერ მეტყველებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე. საქართველოს ხელფასების მაჩვენებლით უსწრებს ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც მიხეილ სააკაშვილმა 2012 წლის დასაწყისში **“ჩამოშლილად”** გამოაცხადა.

2011 წლის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები ასე გამოიყურებოდა: ეკონომიკური ზრდა – 4,5%. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე კი – 2924.9 აშშ დოლარი. ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 117-ე ადგილზე ვიყავით, რაც დიდი ვერაფერი შედეგია. ჩვენ ცოტა ჩამოვრჩებოდით სირიას, მაროკოს, პარაგვაის, კამბოჯას და უმნიშვნელოდ ვუსწრებთ მოზამბიკს, სომხეთს. სამჯერ ვუსწრებთ გამბიელებსა და ჰაიტელებს, ოთხჯერ – ბირმელებს, ხუთჯერ – ეთიოპიელებსა და ზიმბაბველებს. თუმცა, ამასთანავე, ეკონომიკური განვითარების კუთხით ჩვენზე ცოტა წინ არიან: ნაურუ, გვატემალა და ალბანეთი. ჩვენზე სამჯერ უფრო შეძლებულია: ბოტსვანა, მექსიკა და გაბონი, ხუთჯერ – ტრინიდადი და ტობაგო, მალტა და ომანი; შვიდჯერ – ტაივანი და იტალია; ათჯერ კაიმანისა და ფარერის კუნძულები.

დამოუკიდებელ ანალიტიკოსთა შეფასებით, სტაბილური ხელფასი საქართველოში დაახლოებით 610 ათას კაცს აქვს, მათ შორის არიან სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებულნი, აგრეთვე უცხოელებიც.

ექსპერტთა აზრით, დღეს საქართველოში ადამიანური რესურსი, რომელიც ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრეა, ჩამოცილებულია ქვეყნის განვითარების პროცესს. ხელისუფლება, რომელსაც ქვეყნის განვითარების საკუთარი კრიტერიუმი აქვს, აქცენტს აკეთებს ისეთ მოდელზე, როგორიც არის სახელმწიფო კორპორაცია.

ხელფასების მონაცემები ცოტა რამეს თუ გვეუბნება იმაზე, არსებული ინფლაციის პირობებში აძლევს თუ არა თუნდაც 800-ლარიანი ხელფასი ღირსეულად ცხოვრების საშუალებას 3-4-სულიან ოჯახს? ძალაუნებურად გვახსენდება ცნობილი ფრაზა, ჭაბუა ამირეჯიბის შესანიშნავი ნაწარმოებიდან: **“კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი – კაცს”**. დღეს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ ფილოსოფიით ცხოვრობს.

თუმცა, იქნებ საერთოდ უადგილოც იყოს ხელფასზე საუბარი იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის 70 პროცენტი დაუსაქმებელია, ან დროებითი შემთხვევითი შემოსავლებით არსებობს, ხოლო მოსახლეობის მეტი წილი უცხოეთშია გადახვეწილი ლუკმა-პურის საძებრად. მათ შორის, სწორედ სააკაშვილის მიერ ჩვენს **“დაუძინებელ მტრად”** აღიარებულ რუსეთში მუშაობს მილიონამდე ქართველი და იქიდან არჩენს ოჯახებს.

Ზ. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ



ბერია

XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სეიბეი ხიმელიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

მაგრამ ფიქრობდა კი ამაზე ნიკიტა ხრუშჩოვი? იგი დაბალი განათლების მქონე, უპრინციპო და უზნეო სალახანა იყო, რომელსაც მიკროსკოპული სული და ჩადენილი დანაშაულის თუნდაც საკუთარი თავის წინაშე მონანიების სურვილი არასოდეს გასჩენია. ჩვენთვის უკვე ცნობილი პროფესორი ნაუმოვი, შეპილოვის სიტყვებზე დაყრდნობით, ამტკიცებს, თითქოს ლავრენტი ბერიას დაპატიმრების შემდგომ მოწვეულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე (გამოდის, რომ ეს ხდებოდა 1953 წელს), შეპილოვის მხარდაჭერით, ნიკიტა ხრუშჩოვმა შესთავაზა ვოროშილოვს, მოლოტოვს, მალენკოვს და კაგანოვიჩს, რომ მათ ერთობლივად მოეხადათ ბოდიში საბჭოთა ხალხისათვის **"1937 წლის დანაშაულებრივი მასობრივი რეპრესიების გამო"**. მაგრამ ეს წმინდა წყლის სიცრუეა, რადგან შეპილოვს სკკპ ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრების უფლება ექნებოდა მხოლოდ 1956 წლის შემდეგ, თუნდაც არაუადრეს 1955 წლისა, როცა იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს. ეს ტყუილია იმიტომაც, რომ ხრუშჩოვი მსგავს რამეს არ იტყოდა, რადგან მოსანანიებლად არაფერს იტყოდა საერთოდ!

და როგორც ჩვენ ვიცით, მას ეს არ უთქვამს...

ნიკიტა სერგის ძე არ მიეკუთვნებოდა იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც საკუთარ შეცდომებს აღიარებდნენ საკუთარივე ინიციატივით. სამაგიეროდ, რა იოლი იყო ყველა შეცდომებისა და დანაშაულების იოსებ სტალინისათვის გადაბრალება, რითაც იგი, ამავდროულად, ყველაფრისათვის შურსაც იძიებდა!

და წერილობითი აღიარებებისათვისაც, 20-იან წლებში, ტროცკის დანაშაულებრივი ქმედებების თაობაზე.

და საკუთარი შვილისთვისაც, რომელიც ფრიად უცნაურ გარემოებებში გაქრა, ან ფრონტის ხაზიდან, ან გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნის შემდეგ.

და იმ ათეულწლობითი შურისა და ბოღმის გამო, რაც, ხშირად, უსაქმურ, შურიან და უნიჭო ადამიანს ეძალება აზრის ტიტანის მიმართ!

და იოსებ სტალინის მისადმი მიმტევებლობითი კეთილმოსურნე დამოკიდებულებისათვის, რომელიც თვლიდა, რომ **"მიკიტა"** ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაგრამ მონური მორჩილებით გამოირჩევა (რაც შეეხება **"ვარსკვლავების მოწყვეტას"**, ოთხ ცალ ვარსკვლავს ხრუშჩოვი, მოგვიანებით, თავად დაიკიდებს მკერდზე, უკვე მის მონურ მორჩილებაში მყოფი სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებების შესაბამისად, თუმცა, რა დამსახურებებისათვის, ეს დღემდე ამოუხსნელ ამოცანად რჩება).

დაბოლოს, თავიდან მოიშორა რა სტალინი, ხრუშჩოვი თანდათან იცილებდა მის მიერ ჩადენილი ამ უდიდესი დანაშაულის გამომჟღავნების შიშსაც. თუ სტალინს საკუთარ სამშობლოში გამოაცხადებდნენ დამნაშავედ, ამ შემთხვევაში ხრუშჩოვის დანაშაულებრივ საქმესაც (სტალინის მოწამვლა) რომ ფარდა ახდოდა, იგი მაშინ იმ ბრუტუსის ტოგით წარსდგებოდა საკუთარი ხალხის წინაშე, რომელმაც კეისრის მოკვლით რესპუბლიკა იხსნა ტირანიისაგან! დიახ, იგი **"განვითარებული ვოლუნტარიზმის ეპოქაში"** იმდენად გათავხედდა, რომ ეს ტოგა მოირგო კიდეც. მკითხველს შევახსენებ **"სკკპ ცენტრალური კომიტეტის საშინაო ქრონიკიორის"** ზენკოვიჩის ინფორმაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ ტრაბახობდა ხრუშჩოვი 1964 წლის 19 ივლისს იმით, რომ ქვეყანას მოაცილა **"ტირანი"** სტალინი.

დიახ, სსრკ კომპარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩოვმა ისევე გაუსწორა სტალინს ძველი ანგარიშები, როგორც მოშურნეები აკეთებენ თავიანთი შურის ობიექტის მიმართ.

მაგრამ ხრუშჩოვი იმათთანაც აპირებდა ანგარიშის გასწორებას, ვინც მას მხარი არ დაუჭირა **"სტალინის პიროვნების კულტის"** წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, და იმათთანაც – ვინც მას მხარს უჭერდა ამ საქმეში, მაგრამ არასაკმარისად – ესე იგი თავისი კოლეგებისათვის, ჯერ კიდევ სტალინის პოლიტბიუროდან. უპირველესად სწორედ მათ თავიდან მოშორებას გეგმავდა.

ისინი ხომ ხელს უშლიდნენ არა მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვს. უღალატეს რა სტალინს, უღალატეს რა ბერიას, ისინი ამის შემდეგაც კი უშლიდნენ ხელს იმ დასავლეთის **"ოქროს ელიტას"**, რომელთაც სურდათ, რომ მეოცე საუკუნის უდიდეს სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირს ოცდამეერთე საუკუნისათვის მიეღწია გაძვალტყავებულსა და ჯანგაცლილს, რაც მისი დანგრევის წინაპირობა გახდებოდა. ხრუშჩოვის ეს წვრილმანი შურისმაძიებლობა კი სწორედ დასავლეთის მტრული ძალების სავიზიტო ბარათი გახლდათ, რომლებიც კრემლში საკუთარ გავლენას აძლიერებდნენ ახალ-ახალი **"რეფერენტების"** ჩანერგვით.

ხრუშჩოვის მთავარი მეკავშირე ამ მოღალატურ საქმიანობაში სწორედ იგივე პარტნომენკლატურა გახდა. კვლავ დავეყრდნობი პოსტსტალინური პერიოდის მკვლევარის იური ჟუკოვის ინფორმაციებს, რომელიც ძალიან კი აქებს მალენკოვს, მაგრამ აბსოლუტურად ობიექტურია მისი დამოკიდებულების აღწერაში ქვეყნის პრობლემებისადმი, კერძოდ – პროდუქციის ყველა სახეობის წარმოების გაზრდაში.

ამასთან, ჟუკოვი აღნიშნავს, რომ მალენკოვი ამ კურსის გატარებისას თანდათან მარცხდებოდა და ხრუშჩოვმა და მისმა თანამზრახველებმა თანდათან აირჩიეს **"განვითარების"** სხვა გზა – ექსტენსიური წინსვლა, რაც გულისხმობდა ტექნიკურ პროგრესს და არა პროდუქციის გამოშვების ზრდას წარმოების მოცულობის გადიდების ხარჯზე, რაც დამატებით ხარჯებს უკავშირდებოდა. არსებული ბაზის მაქსიმალურად გამოყენება, ზედმეტი დანახარჯების გარეშე, აირჩიეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა **"პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა და მდიდარი გამოცდილება"**, რაც პარტიულ ფუნქციონერებს ყველაზე ნაკლები ჰქონდათ...

როგორც ხედავთ, განუდგა რა ბერიას, მალენკოვმა თავად შეამზადა მყარი ნიადაგი საკუთარი დაცემისათვის. და ახალმა მოვლენებმაც არ დააყოვნეს.

სსრკ კომპარტიის XX ყრილობის შემდეგ არ იყო გასული ერთი წელი, რომ გაზეთ **"პრავდის"** 1957 წლის 4 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის ინფორმაცია:

"ამა წლის 22-29 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი გ.მ. მალენკოვის, ლ.მ. კაგანოვიჩის და ვ.მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

პლენუმმა გამოიყვანა სკკპ ცეკას პრეზიდიუმის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ამხანაგები გ.მ. მალენკოვი, ლ.მ. კაგანოვიჩი და ვ.მ. მოლოტოვი; მოხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნობიდან და გამოიყვანა სკკპ ცეკას პრეზიდიუმის კანდიდატობიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ამხანაგი შეპილოვი..."

ბერიას თავიდან მოშორებისა და სტალინის სახელის ტალახში ათხვრის შემდეგ ხრუშჩოვის საქციელი იმდენად არაკონსტრუქციული გახდა, რომ მან აიმხედრა სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრების უმეტესობა: გ.მ. მალენკოვი, ლ.მ. კაგანოვიჩი და ვ.მ. მოლოტოვი, ნ.ა. ბულგანინი, კ.ე. ვოროშილოვი განწყობილები იყვნენ საკმაოდ რადიკალურად და მათ ბევრ რამეში ეთანხმებოდნენ მ.გ. პერვუხინი და მ.ზ. საბუროვი.

სსრკ კომპარტიის XX ყრილობის შემდეგ ცეკას პრეზიდიუმში ასევე შეეყვანილ; იქნენ ა.ი. კირიჩენკო და მ.ა. სუსლოვი. მათ, ა.ი. მიქოიანთან და ნ.ს. ხრუშჩოვთან ერთად შექმნეს ე.წ. **"პროხრუშჩოვისეული"** უმცირესობა, გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე პრეზიდიუმის წევრებთან ერთად.

საბოლოო ჯამში შვიდი გამოდიოდა ოთხის წინააღმდეგ.

სახეზე იყო ასევე პრეზიდიუმის კანდიდატობის ექვსი წევრი სათათბირო ხმის უფლებით: გ.კ. ჟუკოვი, ლ.ი. ბრეჟნევი, ნ.ა. მუხიტდინოვი, დ.ტ. შეპილოვი, ე.ა. ფურცევა და ნ.მ. შვერნიკი.

აქ ხრუშჩოვის წინააღმდეგ თავიდან პრინციპულად იყო განწყობილი ფურცევა და, როგორც შემდეგ გაირკვა, მას და პრეზიდიუმის უმრავლესობას შემდეგ შეუერთდა შეპილოვიც. დანარჩენი ოთხი, ყველა შემთხვევაში, მხარს უჭერდნენ ხრუშჩოვს.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში შედიოდნენ პირველი მდივანი ნ.ს. ხრუშჩოვი და მდივნები – ა.ბ. არისტოვი, ნ.ი. ბელიაევი, ლ.ი. ბრეჟნევი, პ.ნ. პოსპელოვი, მ.ა. სუსლოვი – ყველანი **"ხრუშჩოველები"**, და ასევე ე.ა. ფურცევა და მანამდე სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი შეპილოვი.

1957 წლის 18 ივნისს გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის უაღრესად დაძაბული სხდომა, რომელსაც პრეზიდიუმის წევრებიდან ესწრებოდნენ მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ბულგანინი, ვოროშილოვი, მიქოიანი, პერვუხინი და ხრუშჩოვი. ასევე ესწრებოდა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის ოთხი კანდიდატი: ბრეჟნევი, ჟუკოვი, ფურცევა და შეპილოვი. და 1957 წლის 18 ივნისს ნიკიტა ხრუშჩოვის პარტიული ბედი ბეწვზე დაეკიდა.

შემდეგ გაიმართა სამდღიანი კამათი – 19-21 ივნისს. პრეზიდიუმი სრული შემადგენლობით შეიკრიბა ცენტრალური კომიტეტის მდივნების ჩათვლით, გარდა **"მოულოდნელად ავად გამხდარი"** ლეონიდ ბრეჟნევისა. 21 ივნისს მომავალმა **"ძვირფასმა ლეონიდ ილიას ძემ"** იმდენი მაინც მოახერხა, რომ მოეთხოვა, სასწრაფო წესით, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ჩატარება. მაგრამ იმ დროისათვის ყველაფერი ისედაც გარკვეული იყო: **"ძველი გვარდიის"** ზურგს უკან, ხრუშჩოვმა, ძველი სამხედროების დახმარებით, სასწრაფოდ ჩამოიყვანა მოსკოვში ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი.

და უკვე 1957 წლის 22 ივნისს, მარშალი ჟუკოვი უკვე გამოდიოდა რიგგარეშე პლენუმის სხდომაზე და იმ ადამიანებს, რომლებიც სამი წლის წინ მხარს უჭერდნენ ხრუშჩოვს ბერიას საწინააღმდეგო კამპანიაში, ბრალს სდებდა **"განხეთქილებაში", "ცეკასთან დაპირისპირებაში", "1937-1938 წლების სისხლიან დანაშაულში მონაწილეობაში"** და სხვა.

ბულგანინი და ვოროშილოვი შედრკნენ, ისევე, როგორც საბუროვი და პერვუხინი. ძირითადი **"ფიგურანტების"** მალენკოვის, მოლოტოვის და კაგანოვიჩის, და მათ მიტმასნილი შეპილოვის ბედი პრაქტიკულად გადაწყდა პლენუმის პირველივე დღეს. მიუხედავად ამისა, პლენუმის მუშაობა გახანგრძლივდა ერთი კვირით და დამთავრდა 29 ივნისს. და თუ პლენუმის პირველ დღეს მას ესწრებოდნენ სახელმწიფოს წინაშე **"დანაშაულში მხილებული"**, მაგრამ მაინც ბოლშევიკები, სხდომის ბოლო დღეს კრემლში უკვე დომინირებდნენ ზნეობრივად დამთმობი-რენეგატები და მაღალ სახელმწიფო პოსტებზე აცოცებული ახალგაზრდა კარიერისტები, რომელთაც ესესაა გემო გაუგეს მაღალი ხელისუფლების **"სიკეთეს"**.

ესე იგი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40-წლისთავამდე რამდენიმე თვით ადრე პატროკრატების პარტიამ უკვე საბოლოოდ დაამარცხა ბოლშევიკების პარტია.

ოდნავ მოგვიანებით, 1957 წლის ოქტომბრის მიწურულს უკვე გაიმართა ანტიჟუკოვისეული პლენუმი, რომელმაც მკაცრად დაგმო **"ჟუკოვის პიროვნების კულტი"**, გამოიყვანა იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და იგი სამუშაოდ გადაიყვანეს ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად.

1958 წლის 5 სექტემბერს ხრუშჩოვმა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე, კინწისკვრით გამოაგდო ცეკას პრეზიდიუმიდან ბულგანინი. მოკლედ, 1957 წლის ივნისის პლენუმამდე ხრუშჩოვმა და ხრუშჩოველებმა თავიდან მოიცილეს ნაკლებადგავლენიანი ფიგურები. ბოლოს კი 53 წლის ასაკის მქონე პერვუხინი ცეკას პრეზიდიუმის წევრობიდან გადაიყვანეს წევრობის კანდიდატად, რათა 1961 წელს საბოლოოდ გამოეყვანათ პრეზიდიუმიდან. 57 წლის პერვუხინი კი მაშინვე გამოიყვანეს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან და ქალაქ სიზრანში გაამწესეს ქარხნის დირექტორად.

სსრკ კომპარტიის რიგგარეშე XXI ყრილობაზე ორივეს მისცეს თავიანთი **"დანაშაულის აღიარების"** საშუალება, რაც გამოიხატებოდა მოლოტოვის, მალენკოვისა და კაგანოვიჩის მიერ ხრუშჩოვის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობაში. პერვუხინმა მაშინ თქვა: **"ჩემს პარტიასთან ერთად მე მკაცრად ვგმობ ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციონერულ, განხეთქილებისაკენ მიმართულ ქმედებებს"**. იგივე სულისკვეთებით **"ინანიებდა"** საკუთარ დანაშაულს საბუროვიც, ამავე დროს აღნიშნავდა რა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად ყოფნისას (ესე იგი, 1952 წლის დასასრულამდე) იგი **"ერთგულად და თანმიმდევრულად მიჰყვებოდა პრეზიდიუმის წევრთა ჯანსაღი ნაწილის მიერ დასახულ გზას ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ბრძნული ხელმძღვანელობით"**.

1953 წელს ცეკას პრეზიდიუმის შემადგენლობაში ნიკიტა ხრუშჩოვისა და პერვუხინის გარდა შედიოდნენ საბჭოთა კავშირის **"პირწავარდნილი და დაუძინებელი მტერი"** ლავრენტი ბერია, **"ანტიპარტიული ფრაქციონერები"** მოლოტოვი, მალენკოვი, კაგანოვიჩი და 1957 წელს მათი მხარდამჭერები: ვოროშილოვი, ბულგანინი, საბუროვი და ასევე – მიქოიანი.

1959 წლის თარგის პერვუხინის მიხედვით გამოდის, რომ "**პრეზიდიუმის წევრთა ჯანსაღი ნაწილს, მაშინ, მასთან და ნიკიტა ხრუშჩოვთან ერთად შეადგენდა მხოლოდ ანასტას მიქოიანი**".

"მონანიებით" ამაოდ გარჯილებმა საბუროვმა და პერვუხინმა უსახელოდ დაასრულეს მათი ამაოებით აღსავსე წუთისოფელი (საბუროვი გარდაიცვალა 1977 წელს, პერვუხინი კი 1978 წელს).

ლავრენტი ბერია მხოლოდ ერთი წლით გახლდათ საბუროვზე უფროსი და მას თავისუფლად შეეძლო მიეღწია 1970-იანი წლების დასასრულამდე.

მაგრამ ვერ მიაღწია.

სსრკ კომპარტიის XXI ყრილობაზე ლავრენტი ბერიას სახელმა კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გაიჟღერა **"მაღალი ტრიბუნიდან"** – რა თქმა უნდა უარყოფით კონტექსტში. მომხსენებელი გახლდათ სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შელეპინი:

"საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ლიკვიდირებულია ლავრენტი ბერიას და მისი თანამზრახველების მიერ ორგანიზებული მავნებლური საქმიანობის ნარჩენი მოვლენები. სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის და პირადად ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ბრძნული ხელმძღვანელობით ქვეყანაში მთლიანად აღდგენილი რევოლუციური კანონმდებლობა..." და ა.შ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას

ბატონო რედაქტორო

ნება მიბოძეთ დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენი გაზეთისა და პირადად თქვენდამი. დიდად ვაფასებ **"ილორის"** აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას, ჭეშმარიტ პატრიოტულ მიმართულებასა და უზადო სახელმწიფოებრივ აზროვნებას.

თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვარ, მისი გამოცემის დღიდანვე. არა მარტო მკითხველი, არამედ რამდენიმე მასალა გამოვაქვეყნე კიდეც. ამ რამდენიმე ხნის წინ თქვენს გაზეთში დაიბეჭდა ჩემი წერილი **"ეროვნული ცნობიერების სიღატაკე"**, სადაც კიდევ ერთხელ დავაყენე საკითხი სკოლებში მეგრული და სვანური ენების სწავლების აუცილებლობის შესახებ (ამაზე ჯერი კიდევ ამ ოცდახუთი წლის წინ გამოვედი პრესაში!). ძალიან გამიკვირდა, რომ არავინ მიაქცია ყურადღება ამ პუბლიკაციას – არც პოზიტიურად და არც ნეგატიურად.

აი, ახლა, **"ილორის"** 17-24 ივლისის ნომერში (№179) ბატონი ვახტანგ ჯეჯელია გამოეხმაურა გაზეთ **"საქართველოს რესპუბლიკაში"** გამოქვეყნებულ ჩემს სტატიას **"უმადურობა"**.

ნება მომეცით, ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის საშუალებით ორიოდე სიტყვით მივმართო ბატონ ვახტანგს.

პატივისცემით,

ზურაბ ცუცქირიძე.

P.S. ბატონო რედაქტორო, როგორც იმერეთში იტყვიან, რა მაგის პასუხია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ თქვენი გაზეთის რედკოლეგიის ორი წევრი ჩემი უახლოესი მეგობარია.

ზ. ც.

მოკლე ღია ბარათი ბატონ ვახტანგ ჯეჯელიას

ბატონო ვახტანგ!

ყურადღებით გავეცანი თქვენს წერილს **"კუჭით დანახული ლელთ ღუნია"**, სადაც გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოხატავთ ჩემი იმ სტატიის გამო, რომელიც ამასწინათ გამოქვეყნდა გაზეთ **"საქართველოს რესპუბლიკაში"**.

თქვენი გულისწყრომა მიმართულია არა მარტო ჩემს სტატიაში გამოთქმული მოსაზრებების მიმართ, არამედ უფრო მეტად ჩემდამი, უხვად არის მასში ჩემთვის პიროვნულად შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და უაპელაციო ნეგატიური შეფასებები.

ბატონო ვახტანგ, მე, საერთოდ, მივესალმები გამოქვეყნებულ ნებისმიერ საწინააღმდეგო მოსაზრებას, რაც უნდა მიუღებელი იყოს ჩემთვის. მუდამ მახსოვს მიშელ მონტენის უკვდავი შეგონება, რომელიც კლასიკური დემოკრატიზმის ფორმულად მიმაჩნია: **თუნდაც სავსებით მიუღებელი იყოს თქვენი აზრი ჩემთვის, თავს გავწირავდი იმისათვის, რომ თქვენ ამ აზრის გამოთქმის საშუალება მოგეცეთო,** – ბრძანა მან.

რაინდულად ჟღერს, ხომ!

აზრის გამოთქმის და არა ლანძღვისო, – ჩემო ბატონო.

თქვენი წერილი რომ წავიკითხე, არ მეწყინა-მეთქი რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი, მეწყინა, რა თქმა უნდა, მაგრამ ასე ვიფიქრე შემდეგ: ის საწყენი სიტყვები თქვენ ავკაცობამ კი არ გათქმევინათ, არამედ საქართველოს სიყვარულმა, პატრიოტულმა გულმა და ეროვნულმა გრძნობამ. ოღონდ ქართველებს საქართველო უყვარდეთ, ჩემს ლანძღვას რას დავეძებ! ხომ გახსოვთ, როგორ ეუედრებოდა ღმერთს ვაჟა-ფშაველა: **"ღმერთო შენ შეაყვარე ქართველებს საქართველო, რამეთუ ამ უკანასკნელს არაფერი დაუშავებიაო მათთვისო".**

ასე ვიფიქრე ჩემო ბატონო ვახტანგ და თუთაშხიასი არ იყოს, წყენა არ ჩამიდვია გულში.

ერთს გეტყვით და არ მიწყინოთ ბატონო ვახტანგ: თქვენ ჩემი წერილი გულითა და გრძნობით გაქვთ წაკითხული და შეფასებებიც ცხელ გულზე გაგიკეთებიათ. ჩემი თხოვნაა, ერთხელ კიდევ წაიკითხეთ იგი და გონებით, საღად შეაფასეთ. თქვენ ეს არ გაგიჭირდებათ, რადგან იმ ცხელ გულზე დაწერილ სტრიქონებს შორის ჩანს თქვენი გონიერება და ერუდიცია. აი, მაშინ, ალბათ, დაინახავთ, რომ მე კუჭით არ ვუცქერი არც წარსულს, არც აწმყოსა და არც მომავალს.

უმადურობის სენი, რომელიც დრო და დრო ხელს დარევდა ხოლმე ქართველებს, პირველად მე როდი შემიმჩნევია, იცით ეს, ალბათ, თქვენც. ახლა სწორედ ამის თქმის დროა და დღეს დავით გურამიშვილი ან ილია ჭავჭავაძე ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კაი-კაი მკვახე შეძახილების მოწმენი ვიქნებოდით.

რა თქმა უნდა, უმადური – ნებისმიერ ქართველზე არ ითქმის, არც ეროვნული იდეაა ყველას ცნობიერებაში ჭამა-სმასთან გათანაბრებული, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ჩვენს ერს რომ მზაობა არ ჰქონია, განა ეს არ დამტკიცდა 90-იანი წლების დასაწყისში? განა თქვენ არ იცით, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა დროშების ფრიალს ვერ გასცდა? და როცა დამოუკიდებლობის მძიმე ტვირთის აწევა გახდა საჭირო, ნაცვლად იმისა, რომ საშრომლად მკლავები დაგვეკაპიწებინა (როგორც თავის დროზე გერმანელები მოიქცნენ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისას), მტრების კარნახით ცეცხლითა და მახვილით გავნდევნეთ ეროვნული ხელისუფლება და ქვეყანა ანტიეროვნულ ძალებს გადავაბარეთ; იმის ნაცვლად, რომ მთელი ერი ერთ მუშტად შეკრულიყავით, ჩვენ ხუთასი პარტია შევქმენით და ქვეყანა გავათითოკაცეთ.

ასე არ იყო და ახლაც არ არის ასე?

ღმერთმა ჰქნას ყველას თქვენნაირად უყვარდეს სამშობლო ქვეყანა, ბატონო ვახტანგ, მაგრამ ლიტონი სიყვარული ფონს ვერ გაგვიყვანს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, – როგორც დიდი ილია გვასწავლიდა, – სად და რაზე შეჩერდა მამა, რაზე მოეცარა ხელი, რომ სადღეისო და სახვალიო სწორი გზა დავინახოთ.

პირადი შეურაცხყოფა რა სახსენებელია, როცა ჩვენი სამშობლოს ღირსებაა გათელილი, როცა ქვეყანა პატივაყრილია, ქართული ენა აბუჩად აგდებული, მართლმადიდებლობა – ჩვენი ერის ზნეობრივი საფუძველი, ათასი ჯურის შინაური და გარეშე მტრის სამიზნე, როცა ქართველობა, ეროვნული ტრადიციების ერთგულება ჩამორჩენილობად, პატიოსნება – მავნე კომპლექსად, ერთგულება – გადმონაშთად ითვლება, როცა ჭეშმარიტი ორიენტაცია დაკარგული გვაქვს და იქით მიგვაქანებენ, სადაც პედერასტობა ღირსებად, ნარკომანობა ინტელექტუალობად არის მიჩნეული; როცა ნახევარი საქართველო გამათხოვრებულია, აქ თუ უცხოეთში.

აი, ასეთ სამშობლოს ვხედავ და ნეტავი ვცდებოდე! ნეტავი მართლა მე მქონდეს გაუკუღმართებული ცნობიერება და სინამდვილეში ყველაფერი ისე კარგად იყოს, როგორც ამას ტელეარხები **"რუსთავი-2"** და **"იმედი"** აჩვენებს. ათას ბოდიშს მოგიხდით, მაშინ, თქვენც და მთელ ქვეყანასაც.

მაგრამ, ვაი, რომ ასე არ არის. მართლაც, რომ **"ავაჰმე, ჩემო მამულო!"**

თუ ჩემზე ახალგაზრდა ხართ, გირჩევთ, თუ არა და გთხოვთ, მხოლოდ გრძნობით ნუ განსჯით იმას, რაც საერთოდ ეროვნულ სატკივარს ეხება. ახლა ჩვენ გონება, გონიერება, ჭკუა გვჭირდება ყველაზე უფრო მეტად!

გმადლობთ ყურადღებისათვის!

ზურაბ ცუცქირიძე

მეორე ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატ. მიხეილ სააკაშვილს

"სიცრუე ნიშანია დაბალი სულისა, უღონო ჭკუისა და ბილწი ხასიათისა"

როჯერ ბეკონი

ბატ. მიხეილ! – ბევრი ვიფიქრე, რომ თქვენთვის მომემართა მეორე ღია წერილით. (პირველი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ **"ილორში"** №151 (210) 27 დეკემბერი-3 იანვარი 2011წ.) რადგან თქვენ და თქვენი პრესსპიკერი ქალბატონი მანჯგალაძე გაზეთს არ კითხულობთ. თუ კითხულობთ, უკუღმა გიჭირავთ ხელში. შე კაი დედამიშვილო, ქართველები წერაკითხვის უცოდინრები ხომ არ გგონია. ყველა ქართველი შესანიშნავად არჩევს ერთმანეთისაგან რუსთაველს და ბარათაშვილს, რაფიელ ერისთავსა და ილია ჭავჭავაძეს, გალაქტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას. თქვენ!?. ტყუილების კორიანტელს, რომ აყენებთ საერთაშორისო შეხვედრებზე, **"წარმატებული რეფორმების"** შესახებ, რომელი რეფორმა იყო წარმატებული? – სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები რომ გამოყარე ქუჩაში, და მათ ადგილზე სრულიად შეუფერებელი პირები რომ დასვი? ან საჯარო სამსახური გოგო-ბიჭების საბავშვო სახლს რომ დაამსგავსე? ან ორმოც-ორმოცდახუთი წლის ცოდნითა და ენერგიით აღჭურვილი ადამიანები სამსახურიდან დაითხოვეთ და ეკონომიკური გენოციდი მოაწყვეთ? – ეს არის რეფორმა? თქვენი ეს ავადმყოფური ქმედება კერძო სექტორსაც გადაედო და 30-40 წელზე მეტი ხნის სიცოცხლით სავსე მოქალაქეებს სამუშაოზე არ იღებენ;

ეს არის დემოკრატია?

მეტი არ არის ჩვენი მტერი! თუ დღეს ამერიკის პრეზიდენტი ობამა იმას ვერ ხვდება, თუ მის პარტნიორ ქვეყანაში რა ხდება, მართლაც აფერუმ მის სწავლა-განათლებას! მაშინ ჩვენ არც ასეთი ამერიკა გვინდა და არც ევროპა. სწორედ ის ევროპელებია, თავხედურად გაყალბებული არჩევნებს. რომ **"გიპრავებენ"** და ჩვენ ამომრჩევლებს ნაცარს გვაყრიან თვალებში.

ახალ-ახალ ვალდებულებებს რომ იღებ, ავდანეთში მებრძოლების გაზრდილი კონტიგენტის გასაგზავნად, ქართველ ხალხს რატომ არაფერს ეკითხები? ქართველი ახალგაზრდობის სიცოცხლის ფასად შედიხარ ნატოში, რომელიც ერთი ქართველის სიცოცხლედაც კი არ ღირს? არა და დღეისათვის ორ ათეულს მიუახლოვდა დაღუპულთა რაოდენობა. რომელი ჩინოვნიკის შვილი იმყოფება ავღანეთში?

არცერთის!

ეს არის თქვენი ყბადაღებული დემოკრატია, რომელმაც დაღუპვის პირას მიიყვანა ერთ დროს მდიდარი, აყვავებული და ძლიერი ჩვენი ქვეყანა – საქართველო. თქვენ გაგიტკბათ ქართველი ხალხის ტანჯვა-წამება და ისევ სახელმწიფო მმართველად გინდათ დარჩენა. კონსტიტუცია ხომ მოირგე პიჯაკივით და გაიხადე ჯიბის ბლოკნოტად.

იცოდეთ, ეს აღარ მოხდება!

თქვენმა უტიფარმა ტყუილებმა ქართველ ხალხს იმედი გაუცრუა. ახლა, მართალიც რომ თქვათ, ხალხს თქვენი აღარ სჯერა. წინ მიდევს თქვენი წერილი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ 2009 წლიდან 100 დოლარიანი პენსია დამენიშნებოდა. დღეს 2012 წელია. როდის იყავით მართალი მაშინ თუ ახლა;

არცერთხელ!

2004 წლის შემდეგ, თქვენთვის არჩევნებში, ხმა თქვენი ხროვის გარდა, აღარავის მოუცია. თქვენ გაყალბებული არჩევნებით მოსული მოძალადე პრეზიდენტი ბრძანდებით. ყოველი მოძალადე პრეზიდენტის ბედი კი თქვენთვის კარგად არის ცნობილი!...

ხალხმა უკვე გამოიღვიძა, გამოღვიძებულ ხალხს ვერაფრით შეაჩერებთ. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: **"კარგია გამოღვიძებული ადამიანი! მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიდაც არ სძინავს, ქვეყნის უბედურების გულაღყტკინებულს!"**. ქართველ კაცს ღამეები არ ძინავს თავისი ქვეყნის – საქართველოს მომავალზე ფიქრით. თქვენ კი ფიქრობთ რა გაყიდოთ და რა მოგება ნახოთ. ეს ფიქრი და სურვილი თქვენი ეროვნული კუთვნილებაა რამაც მძლავრად იჩინა თავი თქვენში.

რას უნდა მივაწეროთ სახელმწიფო სტრუქტურების გადატანა ქუთაისში? დასავლეთ საქართველოს გაძლიერებას თუ აღმოსავლეთ საქართველოს დასუსტებას? პასუხი ცალსახაა – აღმოსავლეთ საქართველოს დასუსტებას! მომაგონდა თქვენი თანამემამულეების – თბილისელი, ერევნელი და **"ჯავახკელი"** სომხების წერილი, რომელიც 2005 წლის 23 აგვისტოს პარლამენტს გაუგზავნეს, აი რას წერდნენ ისინი: **"ორიათასწლოვანი ქართველი ერი, 21-ე საუკუნეში თვითმკვლელ ერად იქეცით, რაც აახლოვებს "Великая Армяния"-ს შექმნის ოცნებას. თვალს თუ გადავავლებთ პრესის სტატიათა მხოლოდ სათაურებს, თვალში გეცემათ ქვეყანაში არსებული უწესრიგობა, ქაოსი, რაც გამოწვეულია მაღალჩინოსანთა უმეცრებით. საქართველო გადაიქცა ბიჭბუჭა მინისტრ-გენერალთა ინკუბატორად. ეგენი ქვეყანაზე არ ზრუნავენ, აინტერესებთ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა, რასაც ერი დაღუპვისაკენ მიჰყავს – დაბალია შობადობა, მაღალია ემიგრაცია, ავტოავარიები, მკვლელობები და თვითმკვლელობები, პროსტიტუცია, ნარკომანია, არასრულფასოვანი კვების შედეგად ფიზიკურად სუსტი თაობა მოდის... ქართველი ერი გახლეჩილია, ერთად შეკვრის უნარი არ გაქვთ, ლამის დაჭამოთ ერთმანეთი... რაც კი თქვენ დამოუკიდებლობის დღიდან უმსგავსობას ჩადიხართ, სომხეთში მის მსგავსს ადგილი არ ჰქონია!..."** (გაზ. **"ასავალ-დასავალი"** №35 2005წ.). ბატო. პრეზიდენტო ეს რამოდენიმე ამონარიდი წერილიდან, რომელი წერილიც პარლამენტმა მიიღო და დამალა, მაძლევს იმის უფლებას, რომ ვთქვა: თქვენ როგორც ეროვნებით სომეხი, სპეციალურად, მიზანმიმართულად ასუსტებთ აღმოსავლეთ საქართველოს იმისათვის, რომ თქვენმა ძმებმა-სომხებმა შეისრულონ საუკუნეების ოცნება (როგორც წერილშია აღნიშნული) დიდი სომხეთის შესაქმნელად. საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე! თქვენ ყოველთვის თქვენ თავს ადარებთ დიდ დავით აღმაშენებელს; რაც მე დიდი დავითის შეურაცხყოფად მიმაჩნია (ეს აღარ წამოგცდეს!). სწორედ ეს მზაკვრული ოცნება რომ სინამდვილედ არ ქცეულიყო, დიდმა დავით აღმაშენებელმა სატახტო ქალაქი 1122 წელს ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა, რითაც უზრუნველჰყო აღმოსავლეთ საქართველოს უსაფრთხოება. თქვენ კი ანგრევთ და აქუცმაცებთ ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით შენარჩუნებულ საქართველოს. ჩვენ კარგად გვახსოვს 1921 წლის სომეხი დაშნაკების (რომელთა ნაშიერი დღესაც ატარტალებს ენას) შემოტევა, მათ გამოგვიცხადეს: **"თქვენი დედაქალაქი არის ქუთაისი და იქ გადაბრძანდით, თბილისი კი ჩვენიაო"**. დღეს რა ხდება? პარლამენტის შენობა რომელიც საბჭოთა კავშირში მეორე მთავრობის სასახლედ ითვლებოდა გასაყიდად გამზადებულია. მასაც ის ბედი ეწევა როგორი ბედიც ეწია ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის (**"იმელის"**), ცენტრალური უნივერმაღის და ცეკავშირის შენობებს. ამის გამო მე როგორც რიგით ქართველი და მოქალაქე, **"ქართული ოცნების"** მხარდამჭერი იძულებული ვარ ვთხოვო **"ქართული ოცნების"** მთელ კოალიციას, გააკეთონ ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ პარლამენტის შენობა და ყველა შენობა-ნაგებობანი რომლებიც გაიყიდება არჩევნებამდე, ჩვენი მოსვლისთანავე მთავრობაში, ჩამოერთმევა უპირობოდ მყიდველს როგორც უკანონო გარიგება. თუ **"ქართული ოცნება"** ამას არ გააკეთებს ქართველი ხალხი უმაყოფილო დარჩება. მთავრობის სასახლე არის ეროვნული ძეგლი და მთელი ქართველი ხალხის საკუთრება.

ბატონო პრეზიდენტო განგება არ გვზოგავს, რადგან უმძიმეს დანაშაულებს ჩავდივართ მის მიმართ. თქვენ რა გგონიათ, ის ბუნებრივი კატაკლიზმები, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ხდება, თვითნებურად წარმოიშვება? – არა. უფალს არც ატომი აქვს, არც ჯარი ჰყავს და არც პოლიცია რომ გამოიყენოს. უფალი განაგებს ბუნებას რომლის ძალასთან ვერც ატომი მივა, ვერც ჯარი და პოლიცია. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა უფლის დიდი სიყვარული დაიმსახურა იმ დიდი ქველმოქმედებით, რომელი ქველმოქმედებისთვის თქვენ ჯილდოს სახით მიანიჭეთ საქართველოს მოქალაქეობა. შემდეგ ყოვლად უკანონოდ ჩამოართვით, უფრო უკეთესად რომ ვთქვათ წაართვით. რომელმა კანონმა მოგანიჭათ ჯილდოს ჩამორთმევის უფლება? ჯილდოს ჩამორთმევის უფლება აქვს სასამართლოს და არა პრეზიდენტს. სასამართლოს აქვს ეს უფლება მაშინ, თუ პიროვნების დანაშაული სახელმწიფოს ღალატის ტოლფასია. ბიძინა ივანიშვილი კი უპრეცედენტო პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში, რომელმაც ამხელა ქველმოქმედება აწარმოა, თავისი ხალხის და თავისი ქვეყნის სიყვარულით. ამის დასტურად სამების ტაძარიც საკმარისია. მე პირველ წერილში გწერდით: **"დაფიქრდით ცივი გონებით, მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება, რომელსაც მთელი ქართველი ხალხი ელოდება და აღუდგინეთ საქართველოს მოქალაქეობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს. უფალი ლმობიერია მათ მიმართ, ვინც დაშვებულ შეცდომებს, როგორი მძიმე უნდა იყოს, თვითონ გამოასწორებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლის რისხვა მძიმე იქნება".** – შედეგი სახეზეა. თქვენი უგუნურობა რა მსხვერპლს მოითხოვს კიდევ ქართველი ერისაგან?

მგონი საკმარისია, ერი კულმინაციის წერტილთან დგას. მას უნდა, ქვეყანა მართოს მისმა რჩეულმა ბიძინა ივანიშვილმა და არა ნაციონალურმა ბანდიტურმა ხროვამ, რომლის მამამთავარიც თქვენ ბრძანდებით. ცარიელი ჯიბით რომ დარბიხართ და ათასნაირ დაპირებებს აფრქვევთ – რის ხარჯზე? ხომ გაცხადდა პრეზიდენტის და მთავრობის ფონდი 100 მილიონი აღარ არის – ნახევარ წელიწადში ამოაძვრეთ სული. სწორედ ეს ფონდი, დღევანდელი სიტუაციისათვის გადმოგცათ ხალხმა, თქვენ კი ტაშვანდურობაში დახარჯეთ. თუ ხალხის სამსახურს მოახმარეთ აღნიშნული ფონდი, რატომ არ არის გამჭირვალე, რასაც კანონი მოითხოვს?

ეხლა ბიუჯეტიდან რომ აპირებთ ფულების მოხსნას, რის ხარჯზე მოხდება ეს?

ალბათ პენსიონერების ხარჯზე! ასე არ დაემართა თქვენს მიერ შეპირებულ ასდოლარიანი პენსიას, რომელიც **"ეკონომიკურმა კრიზისმა წაგვართვა"?!** ეხლა კახეთის კრიზისს მოიმიზეზებ და გაღარიბებულ ხალხს პენსიების გაზრდას დაპირდები, თუ **"მე-3 ვადით დარჩებით"** ხელისუფლებაში.

მაგრამ ამისი უკვე აღარავის სჯერა!

ამიტომ თქვენ უნდა წახვიდეთ სახელმწიფო მართველობიდან. არჩევნებში გაყალბებით მოსული მოძალადე პრეზიდენტი ხართ და ასეთ შეცდომას ქართველი ხალხის აღარ დაუშვებს.

ლეონტი ბიწაძე
ინჟინერ-ეკონომისტი

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-181

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფს განეკუთვნება თანამედროვე ეგვიპტელების მხოლოდ 1-%-ი, რაც იმას მიანიშნებს, რომ თანამედროვე ევროპელებს და ფარაონებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. კარგად ჩანს რომ ეს წინაპარი, როგორც ქვემოთ გვაქვს აღნიშნული, ქართველები იყვნენ. მირიან ქართველი, რომელმაც დეტალურად აღწერა ლაზიკას – კოლხეთის – საქართველოს უზარმაზარი ტერიტორიების ოთხივე გეოგრაფიული მხარე-საზღვარი, ამბობს:

„ლაზიკას გულსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ოთხი მდინარის აუზში მცხოვრები, ტომი. მდინარე ენგური (ენის გული), რიონი (მზის ძეს ობადე, ფასი), მტკვარი (ტკვა-ცის კიბე) და ალაზანი (ზანი ანუ წმიდა ზანი). ზემოთ აღნიშნული საზღვრების გარეთ ლაზებს (ქართველებს) ჰქონდათ სამისიონერო მცირე დასახლებები, კერძოდ, შუმერების ბაბილონში, მცირე აზიის ტერიტორიაზე, ეგვიპტეში, საბერძნეთში იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში, გერმანიაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, კიევ-ზაპოროჟიეში, რიაზანში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სარატოვში, სარანსკში და ურალში. ეგვიპტის იმპერია ქართველი ქურუმების შექმნილია და ფარაონები, კლეოპატრამდე, ყველანი იყვნენ ქართველები, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით, ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანეს“. (მირიან ქართველი, ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორია, წიგნში **„იესოს სულით ცხებული“**, თბ., 2001, გვ..95-96. მირიან ქართველის მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ შრომებს შორის აღსანიშნავია: **მესიის მეორედ მოსვლა დედამიწაზე**. თბ., 2009; **სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გასაღები,** თბ., 2009; **ლაზარე (ქართველი) ღმერთის ენა**, თბ., 2011.):

შვეიცარიელი მკვლევარის აღმოჩენასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერები წერენ: **„ტუტანჰამონი კავკასიელი ეროვნების პირისპირ აღმოჩნდა“**, ე. ი. **„სწორედ დამტკიცდა – ადამიანები წარმოიშვნენ საქართველოდან“.** რუსი მეცნიერები ამის ამტკიცებენ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით (დმანისი).

სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები, ადამიანები პირველად საქართველოში რომ გაჩნდა, ამას ვამბობდი ჯერ კიდევ ადრე გამოსულ წიგნებში, ჟურნალ-საგაზეთო სტატიებში და ინტერვიუებში.

გამოჩენილმა შვეიცარიელი მეცნიერრომან შოლცი, რომელმაც ეგვიპტის ფარაონი ტუტანჰამონის **DნმA**-ს ანალიზი გააკეთა, მოახდინა მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა და გადატრიალება გამოიწვია მეცნიერებაში, თბილისელ მკვლევარ რატი შვილისადმი გამოგზავნილ საპასუხო წერილში, ჩემს შესახებ წერს:

„თუ პროფესორ შელიას კვლევა მივა მეფე რატის ხაზამდე, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო იქნება ამ ხაზის ცოდნა. თუ თქვენ გაქვთ მასთან კავშირი და ასევე, ამ ტესტების ჩატარებაში თუ ის დახმარებას საჭიროებს, ჩვენ, ალბათ, შევძლებდით მის დახმარებას.

სიამოვნებით ვუპასუხებთ ნებისმიერ სხვა კითხვას, რაც შეიძლება გაგიჩნდეთ.

პატივისცემით,

რომან რ. შოლცი ციურიხი“.

ცნობილია, აგრეთვე, სტრაბონიც (ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნე) მიუთითებს, რომ მეფეთა ველზე იკრძალებოდა ყველა ეგვიპტელი მონარქი და რომ ეს სამარხები უდიდეს საიდუმლოებას ინახავდა.

ისიც ცნობილია, რომ 1912 წელს ევროპელი მეცნიერი თეოდორ დევისი ამტკიცებდა, რომ მან და მისმა კოლეგებმა მეფეთა ველის ყველა საიდუმლოება ამოხსნეს, მაგრამ ამ განცხადებიდან 10 წლის შემდეგ, 1922 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა ტუტანჰამონის სარკოფაგი აღმოაჩინა. გარდა ამისა, აშშ-ის – ალაბამის უნივერსიტეტის მკვლევარი სარა პარკერმა 2003-2004 წლებში ეგვიპტეში 83 ახალი ობიექტი აღმოაჩინა, რომელთა შესახებ ცნობები არავის ჰქონდა. სარა პარკერი ამტკიცებს, რომ თანამედროვე მეცნიერებამ ეგვიპტის საიდუმლოებების მხოლოდ 1 პროცენტის ამოხსნა მოახერხა, 99 პროცენტის შესახებ კი კაცობრიობამ არაფერი იცისო.

ახალი კვლევის საჭიროება, ჩანს, განაპირობა იმანაც, რომ სწორედ ნეფერტიტის სამარხში ნაპოვნი ეტრატების საშუალებით, 1995 წელს შესაძლებელი გახდა რამზეს II-ის შვილების მუმიების მიგნება (არქეოლოგები ნეფერტიტის მუმიის შესწავლას აგრძელებენ, გაზ. **„კვირის ქრონიკა“,** 2008 წ. 29 დეკემბერი – 2009 წ. 4 იანვარი, №52, გვ. 31; და, თანამედროვე მეცნიერებმა ეგვიპტის საიდუმლოებათა 1 პროცენტი ამოხსნა, გაზ. **„ალია“,** 2008 წ. 30 დეკემბერი, 2009 წ. 6 იანვარი, №159, გვ. 14.).

კოლხეთში განვითარებული სახელმწიფოს არსებობის პერიოდი დიდი ხნით უსწრებს ეგვიპტეში დიდი ფარაონების მმართველობის პერიოდს, რომელთაც სასაფლაოებში ჩატანებული ჰქონდათ უდიდესი სიმდიდრე, კერძოდ, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი. ისმება კითხვა: მეტალურგიის წარმოების, ოქროს დამუშავების გამოცდილება ეგვიპტეში ხომ არ გადავიდა კოლხეთიდან, ან პირიქით – ეგვიპტიდან კოლხეთში? მაგრამ, არა, მეტალურგიული დამუშავება მსოფლიოში პირველად კოლხეთში დაიწყო. ეგვიპტის დედაქალაქ ქაროში მდებარე გერმანული არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი გიუნტერ დრეირი მიუთითებდა: ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2650 (თუ 2609) წელს ფარაონ ჯოსერის მიერ აგებულ პირველ პირამიდასა და ერთ-ერთი მისი წინამორბედის მიერ აგებულ აკლდამას შორის მსგავსება არსებობს (გაზ. **„ახალი ვერსია“,** ეგვიპტური პირამიდები – მშენებლების შეცდომა, 2004, 1-7 მარტი.). მაშინ, გამოდის, რომ კოლხ მშენებლებს ეგვიპტეში პირამიდებზე მუშაობა თითქმის 4 ათასი წლის წინ დაუწყიათ და არა უფრო გვიან, ტუტანხამონის (ტუტანჰამონის) აკლდამის მშენებლობის პერიოდში. მეცნიერთა აზრით, ამ აკლდამების მსგავსია ფარაონ ხასეხემვის აკლდამა, რომელიც ეგვიპტის სამხრეთით, ძველ სამეფო ნეკროპოლში – აბიდოსში მდებარეობს. როგორც ითქვა, ეგვიპტის პირველი ფარაონ – ნარმერის ანუ მენესის სატახტო ქალაქი იყო თინისი, ზემო ეგვიპტეში. მაგრამ ქვემო ეგვიპტესთან ბრძოლის პერიოდში მისი ძირითადი ადგილსამყოფელი გახდა მემფისი, რომელიც დედაქალაქ კაიროდან სამხრეთით, თხუთმეტ კილომეტრზე მდებარეობდა. VI დინასტიის დროს ქალაქს (სამეფოს) ეწოდა **„მენფერ“** (ფარაონ **„მენესის უმშვენიერესი სამყოფელი“**); კოპტურ ენაში ქალაქს ეწოდა **„მენფუ“**, ბერძნებმა უწოდეს **„მემფის“**. საამაყოა ის, რომ ეგვიპტური პირამიდების მშენებლობის მთელი რიგი საიდუმლო ამოხსნა ქართველმა მკვლევარმა გიზო ვაშაკიძემ (ქართველმა მეცნიერებმა 48 საუკუნის წინანდელ საიდუმლოს ფარდა ახადა. ამის შესახებ გიზო ვაშაკიძეს ესაუბრა მარიკა კახაძე, გაზ. **„ასავალ-დასავალი“**, 2003, 21-27 აპრილი.).

როგორც ითქვა, განსაკუთრებით აღსანიშნავია თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის მონარქის, ძვ. წ. XIV საუკუნის პირველი ნახევრის (გარდაიცვალა ძვ. წ. 1352 წელს, თითქმის 3300 წლის წინ) უდიდესი აკლდამის /**„მეფეთა ველზე“** დამარხული მონარქების/ **„პატრონის“** ტუტანჰამონი (ტუტანჰ(ხ)ამონის) (ტუტანჰამონის აკლდამა გახსნეს 1922 წელს (27 ნოემბერი), მიუხედავად კარზე გაკრული უმძიმესი – საშინელი წყევლისა. ამ დიდი აღმოჩენის სიხარული ბოლომდე ვერ გაიზიარა გათხრების დამფინანსებელმა ლორდმა კარნარვონმა. მას 1923 წელს ზამთარში შხამიანმა კოღომ უკბინა და წამებით გარდაიცვალა. 1930 წლამდე გარდაიცვალნენ ექსპედიციის სხვა მონაწილეებიც, მაგრამ, წყევლა და ცრუმორწმუნეობა აქ არაფერ შუაში იყო, რადგან არქეოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი (ტუტანჰამონის სარკოფაგის აღმომჩენი) ჰოვარდ კარტერი გარდაიცვალა გვიან, 1939 წელს (მარტი), ის ექვსი წელი აწარმოებდა გათხრას. თ. გეგიას წერილი **„ტუტანჰამონის აკლდამის ერთ ოთახში 700 ოქროს ნივთი აღმოჩნდა“, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“,** 2002, 28 ნოემბერი-5 დეკემბერი, გვ. 14 (ტუტანჰამონის მუმიას 700 არა, მაგრამ 100-ზე მეტი სამკაული ქონდა ჩატანებული, მათ შორის მოოქროვილი ეტლი).) რომლის ერთ **„ოთახში“** ოქროს 100-ზე მეტი ნივთი აღმოჩნდა, რომ ამ **„ოთახში“**, რომელსაც კარები ოქროსი ჰქონდა, იდგა ოქროს კიდობანი, რომლის სიგრძე 5 მეტრი იყო, სიგანე 3,70, სიმაღლე – 2,73 მეტრი. კიდობნის დაშლას 84 დღე მოანდომეს. კიდობანში იყო ახალგაზრდა ფარაონის 1,85 მეტრი სიმაღლის ოქროს სკულპტურული გამოსახულება. არქეოლოგიური გათხრები, რომელიც 6 წელზე მეტი გაგრძელდა, 1922 წელს დამთავრდა. სამუშაოებს აწარმოებდა ინგლისელი არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი, (ძველი ფივის ახლოს). კარტერი წერდა: **„რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფარაონთა სიმდიდრე, რომელიც ერთ დროს „მეფეთა ველზე“ ინახებოდა? აქ დამარხული 27 მონარქიდან ტუტანჰამონი ხომ ყველაზე უფრო უმნიშვნელო მმართველი იყო“.** არქეოლოგიურ სამუშაოებს აფინანსებდა უმდიდრესი ინგლისელი ლორდი კარნარვონი. აკლდამის შესწავლა 1927 წელს დამთავრდა.

ძვ. წ. 1538-1525 წლებში ეგვიპტის ერთ-ერთი გავლენიანი ფარაონი იყო ტუტმოს I ოხეპერკარა.

ცხადია იქ, ძველ ეგვიპტეში, კოლხები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ცნობილია, რომ ქართველები (კოლხები) ცხოვრობდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე, ბაბილონში, სირიაში და სხვაგან (ზემოთ გვაქვს ჩამოთვლილი).

ნუთუ, მართლა, ეგვიპტელ მონარქთა, **„მეფეთა ველზე“** ნაპოვნი – ფარაონთა სასწაულებრივი, ხელთუქმნელი, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან პირველი – პირამიდები (მეგრული სიტყვა **„ბოპირელი“, „ბმაპიროუ“ – „ყვავილოვანი“,„მოყვავილე“** – სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ფარაონების პირამიდა – მუდმივი სიცოცხლე – ყვავილოვანი, მოყვავილე) – სარკოფაგები და იქ თავმოყრილი ოქროს ნაკეთობანი, სამკაულები, სკულპტურული ქმნილებები, კოლხ ოსტატთა ნახელავია?! (რა თქმა უნდა კოლხეთის მიერ არის შექმნილი). ასევე, ჯოსერის პირამიდის, მშენებლობის ხელმძღვანელი, ეგვიპტეში ქვის მშენებლობის ფუძემდებელი, დიდი არქიტექტორი იმხოტეპი (იმჰოთეფი) ძველი მეგრული სახელის მსგავსი ხომ არ არის?! ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ამბობს, რომ ქიმეთი (ეგვიპტე) კოლხური ქვეყანაა, რომ კოლხები ეგვიპტიდან არაინ წამოსულები, ანუ პირიქით ეგვიპტელები კოლხეთიდან არიან წასული, უძველეს დროში კოლხები და ეგვიპტელები ერთი ხალხი იყო?!

ეგვიპტის პირამიდის ცნობილი ეგვიპტელი მკვლევარი მოჰამედ ზაქარია ღონეიმი (**მ.ზ. ღონეიმი,** დაკარგული პირამიდა, მ. ნასარიძის ნათარგმნი, თბ., 1965, გვ. 16-18.) ამბობს: **„ეგვიპტელებმა გააღმერთეს იმჰოთეფი (იმხოტეპი), მოგვიანებით ყველა, ვინც წერას შეუდგებოდა, პირველ ყოვლისა, მის სადიდებლად იტყოდა რამეს. მას მიაწერენ რიგ გამონათქვამებს, რომლებმაც შემდგომში უკვდავება დაიმკვიდრეს. როცა ეგვიპტეში მოვიდნენ ბერძნები, მათ იმჰოთეფი თავიანთ მკურნალობის ღმერთთან, ესკულაფასთან გააიგივეს.**

უდავოა, რომ იგი იყო ტიტანური ნიჭის ადამიანი. მისი საფეხურული (საფეხუროვანი) პირამიდა, მსოფლიოს პირველი ქვის ნაგებობაა, დღემდე ტოვებს დაუვიწყარ და, შესაძლოა, უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას, ვიდრე გვიანდელი, ყველასათვის ცნობილი ხეფრენისა და ხუფეს პირამიდები. ცნობილია, რომ იმ დროს ფარაონები რამდენიმე სამარხს იშენებდნენ. ჯოსერმა საფეხურული პირამიდის გარდა ბეთ-ხალაფში ააგო კიდევ ერთი დიდი მასტაბა (მ. ზ. ღონეიმი, დაკარგული პირამიდა, გვ. 14, 20-21. ღონეიმის ბევრი განუხორციელებელი გეგმა დარჩა, ის 1959 წლის დასაწყისში, ნილოსში დაიხრჩო.), ახამ აბიდოსში ააშენა აკლდამა, საქარაშიც არის მისი სახელობის დიდი მასტაბა“. (რა თქმა უნდა, ფარაონს ერთ ადგილას მარხავდნენ, სხვები იყო – კენოტაფი – ცრუ, სიმბოლური სამარხი).

აღსანიშნავია ის წესიც, რომლის შესახებ ღონეიმი წერს: ძველ ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილი ცხოვრობს თვით სამარხში ან მის მახლობლად, ამიტომ სამარხები სამეფო სასახლეების, ასე ვთქვათ, მოდელებს წარმოადგენენ. ჩანს, გასვენებულ მონარქს თან მონებსა და სასახლის მსახურებსაც აყოლებდნენ... ეს ბარბაროსული წესი გადმონაშთია იმ დროისა, როცა ეგვიპტელები ჯერ კიდევ არ იყვნენ ცივილიზებულნი, როგორც ეტყობა მალე გაქრა.

შორეულ წარსულში, – გვაწვდის მასალას ღონეიმი, – უთუოდ არსებობდა ჩვეულება, რომლის ძალითაც მმართველობის განსაზღვრული წლების შემდეგ ხანგადასულ ფარაონებს ძალდატანებით კლავდნენ. ხალხს სჯეროდა, რომ მბრძანებლის ძლიერებაზე იყო დამოკიდებული მიწის ნაყოფიერება, ეგვიპტის აყვავება და ხალხის კეთილდღეობა. ამიტომ, როდესაც წლების მომატების კვალდაკვალ ფარაონი თანდათან დაუძლურდებოდა, მას საზეიმოდ კლავდნენ და ტახტს იკავებდა ახალი მბრძანებელი. ვარაუდობენ, რომ ასეთი რამ მმართველობის ყოველი ოცდაათი წლის შემდეგ ხდებოდა. აგრეთვე ძველ ეგვიპტეში, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ფულის მიმოქცევა, სიმდიდრე, რა თქმა უნდა, ფულით არ იზომებოდა, არამედ ერბოთი, ხორბლითა და სხვა პროდუქტებით, აგრეთვე, ოქროთი და ძვირფასი ქვებით.

იმჰოთეფის (იმხოტების) აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ, აგრეთვე, ისიც კი მსოფლიოსთვის ცხადია, რომ ძველ კოლხთა და მათ მემკვიდრეთა ნამუშევარია **„ოქროს საწმისი“,** აიეტის **„სპილენძის ყუთი“** და იქ განთავსებული დიდი ცოდნა, რომელმაც მსოფლიო უზომოდ, სასიცოცხლოდ გაამდიდრა.

როგორც ზემოთაც ითქვა და როგორც მეცნიერები ადასტურებენ, კიდევ ხომ არ არის რაიმე დიდი საიდუმლო იმაში, რომ ჰეროდოტე კოლხებს და ეგვიპტელებს ერთ ხალხს უწოდებდა ან ნათესავებად თვლიდა?

აქ, ალბათ, კიდევ ბევრის თქმა შეიძლება...

გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირამიდების საიდუმლოებების ამოხსნას არა ერთი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს და ამასთან ერთად, მისი იდუმალების ბოლომდე გაშიფვრა მაინც ვერაფრით ხერხდებოდა. როგორც ირკვევა უძველეს ცივილიზაციებში პირამიდები მხოლოდ აფრიკისა და ამერიკის კონტინენტებზე არ შენდებოდა. მეცნიერები იმედს გამოთქვამენ, რომ მათ ბოსნიაში პირველი პირამიდა აღმოაჩინეს, კერძოდ, მას სარაევოსთან ახლოს, ქალაქ ვისოკოში მიაკვლიეს. რადგან დაზუსტებული ცნობები არა აქვთ, უფრო კონკრეტული ინფორმაციისაგან, მეცნიერები ამ ეტაპზე თავს იკავებენ (გაზ. **„ალია“,** 2008, 8-10 ნოემბერი, №137, გვ. 26.).

ძველ კოლხეთში ოქროს მოპოვება-დამუშავების წესი დეტალურად აქვს აღწერილი სტრაბონს. შემთხვევითი ხომ არ იყო ის ფაქტი, რომ კოლხეთს **„ოქრომრავალ ქვეყანას“** უწოდებდნენ და ისიც, რომ **„ოქროს საწმისის“** სათავეები შორეულ წარსულშია საძიებელი. ესეც ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ კოლხეთი დაკავშირებული იყო ძველ ეგვიპტესთან, მის მეფეთა სიმდიდრეებთან?! და იქ ნაპოვნი ნაკეთობების კოლხურ წარმოებაზე ხომ არ მიუთითებს?

კურტ იოახიმ შპრენგელი (1766-1833) ამბობს: **„კოლხები თაყვანს სცემდნენ პრომეთეს დედას აზიას... პრომეთეს და დედამისის გარდა კოლხები თაყვანს სცემდნენ ჰერაკლეს, რომელმაც იხსნა პრომეთე...“** შემდეგ აგრძელებს: **„ეგვიპტელთა კულტურაზე უდაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ... პრომეთე იყო მათი მამამთავარი, ხოლო ოსირისი და სესოსტრისი მჭიდრო კავშირშია კოლხეთთან, ეგვიპტელებს იქიდან აქვთ გადაღებული მიწათმოქმედებისა და წამალთმცოდნეობის ხელოვნება...**

ეგვიპტელებმა კოლხებისა და ფინიკიელებისაგან, მოგვიანებით კი ელინელებისაგან გადაიღეს ღვთაებები...

ამრიგად, ძველ ეგვიპტელთა ღვთაებანი თითქმის ერთიანად კოლხური ჩამომავლობის არიან“.

ჰეროდოტე წერს: **„კოლხებს ენაცა და ჩვევაც ეგვიპტური აქვთ“.** ისიც ცნობილია, რომ მეფე აიეტის ასულმა მედეამ, მამის კუთვნილი ტერიტორიის ერთ ნაწილში კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე – სადაც ათასწლეულების შემდეგ შეიქმნა ირანის და, არც ისე მრავალი საუკუნის წინ, აზერბაიჯანის სახელმწიფოები – შექმნა სამეფო, რომელსაც მის საპატივსაცემოდ მედეთი-მედია ეწოდა. ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე ამ სამეფოს, ჩვენი წელთაღრიცხვით V-VI საუკუნეების მიმოხილვაშიც **„მედეა“**-დ იწოდებოდა. შემდეგში, რატომღაც, ქართულ მიმოხილვებშიც, ეტყობა რუსული ენის გავლენით, **„მედიას“ „მიდიას“** უწოდებდნენ. ძველი მიმომხილველები, კერძოდ, ძვ. წ, VI-V საუკუნეების (მათ შორის ჰეროდოტე და სხვები) კასპიის ზღვის ნავთობით მდიდარ მხარეს მედეას – მეფექალის კუთვნილებას უწოდებდნენ. ინგლისურენოვანი გამოკვლევები მიუთითებენ, რომ ნავთობის ძველთაძველი სახელია **„მედეაზოილი“** – მედეას კუთვნილი ნავთობი.

კლიმენტი შელია,
პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მხოლოდ ხალხის აზვირთება გადაარჩენს ქვეყანას!

მე გახლავართ ქრისტიანი მართლმადიდებელი, ცამეტ დედმამიშვილთაგან რიგით მეთერთმეტე, გავლილი მაქვს ცხოვრების მძიმე გზა, მაგრამ ერთხელ ვიყავი უკვე ამქვეყნიურ სამოთხეში. ეს იყო სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დროს – 1957-60 წლებში. მას შემდეგ, რაც სამჯერ ვცადე ბედი უმაღლეს სასწავლებელში და სულ «გამსვლელი ქულა მაკლდებოდა», გუშაგი მილიციელიდან ლეგიონის მეთაური გავხდი – რიგითი მილიციელი პოლკოვნიკი გავხდი, დავამთავრე მილიციის ორწლიანი სკოლა, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ჩაბარებული მაქვს საკანდიდატო მინიმუმის საგნები. ათი წელი ვასწავლიდი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1990 წლიდან პოლიციის აკადემიაში ვიყავი, საიდანაც კათედრის უფროსის თანამდებობიდან გამიშვეს პენსიაზე, მაშინ, როცა ქართულ ენაზე პირველად მე მოვამზადე სახელმძღვანელო «სამხედრო მომზადებისა და ექსტრემალურ სიტუაციებში შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა გაუვნებლობისადა შეპყრობის «სპეციალური ტაქტიკა».

ვარ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ყველა ღონისძიების მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი. აი ჩემი მოკლე ბიოგრაფია.

პირველ ყოვლისა, მე, ერთ-ერთ რიგით ქართველს, მინდა, უდიდესი მადლიერების გრძნობა გამოვხატო დღევანდელი მდგომარეობისათვის მეტად საჭირო გაზეთის – **«საქართველო და მსოფლიოს»** მთავარი რედაქტორის, ბატონ ირაკლი თოდუასა და გაზეთის მთელი შემოქმედებითი ჯგუფისადმი, რომელთა მთელი ძალისხმევა მიმართულია ქართველი ერის გამოღვიძებაგამოფხიზლებისკენ, ქართველი ერისა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად.

ამ წერილის დაწერისაკენ მიბიძგა ამა წლის 4-10 ივლისის გაზეთ **«საქართველო და მსოფლიოში»** გამოქვეყნებულმა ბატონ დიმიტრი მონიავას ძალზედ საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანმა წერილმა **«ბოდის «დოგმა» და გამარჯვების ალგორითმი».** ეს დროული შეხსენებაა მათთვის, ვინც სერიოზული ღონისძიებების განსახორციელებლად ემზადება ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მომიტევეთ ჩემი სუბიექტური აზრის გამოხატვისათვის და ვიტყვი, რომ ნებისმიერ დროში, ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერ სიტუაციაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მოწინააღმდეგის დაძლევისა და წარმატების მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ოთხი პირობა: 1. ქრისტესმიერი სიყვარული; 2. გონიერება; 3. ფიზიკური ძალა და 4. მატერიალური შესაძლებლობა.

ადამიანი, რომელიც განუდგა ღმერთის მიერ ადამიანისათვის დადგენილი ზნეობრივი კანონების შესრულებას, იგი ამქვეყნად ნებისმიერ ძლიერ მტაცებელ ცხოველზე საშიშია, თუ სახელმწიფოს სამართლიანი კანონების ჩარჩოში არ არის მოქცეული;

გონიერება – ღვთის მიერ ბოძებული ნიჭია, რომელიც დადებით შედეგს მხოლოდ მაშინ იძლევა, თუ იგი გაჯერებულია ქრისტესმიერი სიყვარულითა და ბუნებასთან განუშორებელი სიახლოვით. მსოფლიოში დიდ მოაზროვნეთა აბსოლუტური უმრავლესობა სოფელში დაბადებული და გაზრდილია;

ფიზიკური ძალის გარეშე რაიმე წარმატების მიღწევაზე საუბარი ზედმეტია;

მატერიალური შესაძლებლობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ საკმარისია, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი დიდი აკაკის ლექსს **«ცხოვრება».**

საქართველოში დატრიალებული უბედურებებისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების აშკარა საფრთხის მიზეზი უნდა ვეძებოთ 1965 წლიდან ალენ დალესის დოკტრინით შეიარაღებული **«დიდი პოლიტიკოსის»** ანტიეროვნულ **«მოღვაწეობაში»,** რომელმაც დაწყებული ბნელი საქმიანობის ბოლომდე მისაყვანად:

ნაცვლად იმისა, რომ **«მეორედ მოსვლისას»** ერისა და ქვეყნის გადასარჩენად შეეთავაზებინა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხსნისა და განვითარების საგარეო და საშინაო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის სტრატეგიული დარგების აღორძინება-განვითარების ძირითად მიმართულებათა ისეთი მიმდინარე და პერსპექტიული გეგმის კომპლექსური პროექტი, რომელიც, ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტის გათვალისწინებით, ერთნაირად ხელსაყრელი და მისაღები იქნებოდა არამარტო მეზობელი, არამედ შორეული დაინტერესებული სახელმწიფოებისათვისაც კი, რომლის ამოსავალი წერტილი, ქვაკუთხედი იქნებოდა ის, რომ საქართველო გაეროს, ევროსაბჭოს (რომლის წევრიც ჩვენც ვარ), ფხენიანის ჯგუფისა და საქართველოს მეგობარი სხვა ქვეყნების მხარდაჭერით არ დაუშვებდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალებს (რაც თითქმის მიღწეული იყო), რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნებოდა გამოყენებული უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ მესამის საზიანოდ, და რომ თვით საქართველოს სახელმწიფო არ შეუქმნიდა სხვას რაიმე საფრთხეს და ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან დაამყარებდა ურთიერთხელსაყრელ, თანასწორუფლებიან, მეგობრულ, მშვიდობისმოყვარულ ურთიერთობებს. მან, **«მსოფლიო პოლიტიკოსმა»,** შევარდნაძემ, ხალხის უკეთ მართვისა და ქვეყნის განადგურების მიზნით, აირჩია ხალხის დაბრმავების გზა – შემნახველი სალაროებიდან ხალხის ოფლით მოპოვებული ფულადი სახსრები მიიტაცა, ამასაც არ დასჯერდა: ხალხს მოუწოდა, გაეყიდათ ყველაფერი, ფული სალაროებში შეეტანათ, საიდანაც ისინი გაორმაგებულ თანხებს მიიღებდნენ. ამ თაღლითური გზით მან საქართველოს მოსახლეობას წარსტაცა ოცდაათ მილიარდამდე მანეთი, რომელიც მაშინ დოლარზე ძვირი იყო. და რაც შემდეგ ჩაიდინა და რასაც მოქმედი ხელისუფლება სჩადის, მთელმა მსოფლიომ იცის. დიახ, სწორედ მან ჩაუგდო ხელში ბრბოდქცეული ხალხი მის მოყვანილ დღევანდელ ხელისუფლებას. არავის ეგონოს, რომ იგი **«სახლში წავიდა».** იგი დღესაც გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს მიშას **«მოღვაწეობას»** და თან ცდილობს ბიძინას სხეულში **«შეძრომას»,** როგორც შხამიანი გველი;

საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის უმეტესობა, მსოფლიო გლობალიზაციის **«წყალობითა»** და ხელისუფლების დიდი მონდომებით, წიგნსაა მოწყვეტილი და არ სწავლობს, ან ივიწყებს ჩვენი სამშობლოს ისტორიულ ქარტეხილებს, მის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის, რაღაც ანგარების გამო უარს ამბობს ბრძნულ, ჭეშმარიტ ისტორიულ გამოცდილებაზე და არ იყენებს მას დღევანდელი მდგომარეობიდან თავდასაღწევად. თითქოს ჩვენზეა ნათქვამი: **«თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა».** თითქოს ჩვენ, ქართველებს არ გვყოლია: აიეტი, ფარნავაზი, გორგასალი, აღმაშენებელი, ჭყონდიდელი, თამარი, რუსთაველი, ცოტნე დადიანი, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი სააკაძე, ერეკლე მეორე, გიორგი, ექვთიმე და იოანე მთაწმინდელები, იოანე პეტრიწი და სხვა მრავალი სახელოვანი ადამიანი. მათი ნაღვაწის განქიქებას და ყოველივე ქართული ეროვნული ტრადიციების, მასთან ერთად, ერისა და სახელმწიფოებრიობის მიწის პირისაგან საბოლოოდ აღსაგველად ემზადება შავ-ბნელი ძალები, ამიტომ ხალხის არა მხოლოდ გამოსვლა, არამედ ხალხის აზვირთება, მხოლოდ აზვირთება გადაარჩენს ქვეყანას!

დღეს საქართველო სამშობლოს მოღალატე, ანტიეროვნული, აშკარა დამნაშავეთა ბანდის მიერ იმართება, რომელიც, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავს **«ხელისუფლებას»** უწოდებს, უფსკრულშია გადაჩეხილი და ჯვარზე გაკრული უკანასკნელ დღეებს ითვლის. მხსნელი კი არსაიდან ჩანს, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით მაინც. ამ დროს ქვეყნის **«ისტორიული მეგობრები"** და **«სტრატეგიული პარტნიორები"** კბილებდალესილი მგლებივით ჩასაფრებულან, რათა დაგლიჯონ და გაინაწილონ ერთმანეთში ჩვენი ქვეყანა და აქ გასაკვირიც არაფერია, რადგან რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს მის წინ უპატრონოდ მიტოვებული უგემრიელესი ღვეზელის მისთვის საოცნებო ნაჭრის დათრევაზე?..

საქართველოში მიმდინარე დამღუპველ პროცესებს ოლიმპიური სიმშვიდით უყურებს საქართველოს სამოციქულო ეკლესია და სინოდიც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, აგრძელებს თავის საქმეს.

ეგრეთ წოდებული ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელები და ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებასთან შეთანხმებულად აკრიტიკებს, ლანძღავს და აგინებს **«ხელისუფლებას»,** აწყობს ხალხის თვალის ასახვევ ქუჩის აქციებს, მოძალადე ხელისუფლებას უჩვენებს აქციის მონაწილეთა უსუსურობას, მის სუსტ ადგილებს და აწრთობს დარბევის ძალოვან სტრუქტურებს ისე, როგორც მჭედელი რკინას.

ამ, უკაცრავად პასუხია, ოპოზიციური პარტიების ლიდერებს, ინტელიგენციის **«აქტიურ»** წარმომადგენლებს, მეცნიერებს, ექსპერტებს, პოლიტოლოგებს, რომლებიც პრესის ფურცლებზე თუ ტელეეკრანებთან თავიანთი **«ერუდირებულობით კეკლუცობენ»,** ან წარმოდგენა არ აქვთ, როგორი სახელმწიფოს აშენება სურთ, ან არაფერი გაეგებათ სახელმწიფო მშენებლობისა და მართვის საქმეში. ამიტომ ისინი თავს გაუთავებელი უაზრო დისკუსიებით, ე. წ. ბრიფინგებითა და უთავბოლო პოლიტიკური ლაყბობით ირთობენ, ან კიდევ ისე კარგად აქვთ მოწყობილი საკუთარი ცხოვრება – სახლ-კარი, აგარაკები, ძვირადღირებული ავტომანქანები, თანამდებობები, ხელფასები, ოჯახის ყველა წევრისა და მეგობრების დასაქმება, პრესითა თუ ტელევიზიით კვირაში ერთი-ორჯერ ხალხის დაბოლება და თავის მოწონება, საზღვარგარეთ შეუზღუდავი გასეირნება, და სხვა მრავალი პრივილეგია, რომ აღარ რჩებათ დრო ქვეყნის კატასტროფიდან გამოყვანისთვის, ხელისუფლების შეცვლის მშვიდობიანი, რეალური გზების ძიებისა. ისე იქცევიან, რომ არც მწვადი დამწვან და არც შამფური. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათი უმრავლესობა ცდილობს, სიცოცხლის წლები ისე განვლონ, რომ საერო წარმომადგენლებმა სამუდამო განსასვენებელი მოიპოვონ **«საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში»,** ხოლო სასულიერო პირებმა, თუ ეკლესიის შიგნით არა, – ეკლესიის ეზოში მაინც.

ასეთ ვითარებაში თუ მოხდება სასწაული და გამოჩნდება ვინმე, ვინც გაბედავს და გამოთქვამს სურვილს, რომ შეუძლია ქვეყნის გადარჩენა, ბოროტმოქმედ ხელისუფლებაზე ადრე ეს გადაგვარებული ელემენტები იშიშვლებენ ხმალს, მისი იდეის ჩანასახშივე ჩახშობისა და მისგასანადგურებლად.

თუ ვინმეს გაუჩნდება სურვილი ქვეყნის უფსკრულიდან ამოყვანისა და გადარჩენის და არ უნდა, რომ ქვეყანა **«ვაის»** მდგომარეობიდან **«უის»** მდგომარეობაში აღმოჩნდეს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს საქართველოს ათასწლოვანი ისტორიის შუქჩრდილები, სტალინური ეპოქის ავი და კარგი, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოში დატრიალებული უბედურებების გამომწვევი მიზეზები და ქართველი ერის დღევანდელი მორალურ-ზნეობრივი დეგრადაცია და ბოლოს, ქართველთა მავნე ამბიციები პირველობისათვის დაუოკებელი სწრაფვისა, რაც საუკუნეობრივი მოუშუშებელი ჭრილობაა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

თუ ყოველივე ეს გადავხარშეთ გონებაში, ქვეყნის გადასარჩენად მოსულ ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც, გამორიცხული არ არის, რომ ჩააყენებენ უხერხულ მდგომარეობაში – ცილს დასწამებენ, სასაცილოდ აიგდებენ და ნაძირალად გამოაცხადებენ, სათანადოდ ვერ შევაფასებთ, დავიღუპებით ისევ იმ გადაგვარებული ელემენტების წყალობით, როგორც ეს გათვალისწინებულია წყეული ალენ დალესის საყოველთაოდ ცნობილი პროგრამით.

რევაზ კიბორძალიძე,
შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი, იურისტი

პოეზიის კუთხე

სორე ჩქინი გაზეთი!

ართ დღას „ილორს“
დეგვიან დო –
ქომფაფუ ლერსიქ!
თე ქიანა გორწკინილს,
მეჭვილ დო მესქვილს,
მეტ მუთუნ ვა-მა-პალუნა –
იმენდი დო ლერსიშ!
ათაშ გურს ქათუმანტუ, დო,
ხე ქოფქანჩი „პეროს“,
ქუდუძახი ჯიმალეფს:
ზურის, ბურდას, გეროს –
დიბრაგადეთ, გითუოჯინით,
ცას – იმენდო გოლანდირს!
დო, ათე ლერს ქიმეპჭარით,
ჩქინ ჯიმა როლანდის:
საყალეთ ვემემდათ,
ასე მუსუთ ფთქუანთ –
დუდშე გიწინთ, ვაბგორუნთ,
მართალი დო მტყუანს!
სქან უჯგუშო მის არჩქილე,
ჩქინ ჯგირი დო ფური!
მუთუნ ქუგოწყინეთ და –
ვამომყუნათ გური!
ვემმეხვარეს ექიმობაქ,
ვადმაგურეს ჭკუაქ!
შურო მუთუნ ვამომდეს –
შხვაშენ დუდიშ ჭუაქ!
ჩქინო თხოლო ვამდუნა დო,
„შხვას კონიაკის ვარძენთი!“
აკა „ილორქ“ ამოსქიდეს –
სორე ჩქინი გაზეთი!
ყუდედოკარ ეჩაჩილეფ,
შხვეფს „ბრდუნთ“ დო „ვარზენთი!“
ვავა ჩქინ დუს უვაიჭარეს –
სორე ჩქინი გაზეთი!
თე ქიანა გითორცვილს,
ჯგირ-მუთუნ ვა-ფასენსი!
ართი მიდუნა დუდიშორთუ –
სორე ჩქინი გაზეთი!
ირფელქ გურშა ქათმაკათ –
გურ, ქიანას ვათმენს!
ჩქინ „შურდგუმა“ ვამმარკათ –
სორე ჩქინი გაზეთი!
„ჩქინი სქვამი სამარგალო“,
დუდშე მეტო მიორს!
მუშე მიგვიანუანთ,
თოლიშსინთე „ილორს“!
თე წერილი წეკითხი დო,
დუხვამუდა ღორონთს!
ხვამას მათ ქუმოიჩინა,
ათე ლერსიშ ბოლოს:
ვარკალა ცას შური მიონტ,
ტყას ჭურგინი ქილორიში!
ვემერკებდას ჩქინ ქიანას,
ხვამა დიდი „ილორიში“!

დავით შოთაძე,
კობლენცი, გერმანია

დაფასებული ღვაწლი

2012 წლის 27 ივლისს, წალენჯიხის საზოგადოებრიობის ინიციატივით, ქალაქის კინოთეატრის დარბაზში ჩატარდა ბატონ თამაზ ფიფიას შემოქმედებითი საღამო, რომელიც მიეძღვნა შემოქმედის 70 წლის იუბილეს. ბატონ თამაზს საიუბილეო თარიღი მიულოცეს და მის უაღრესად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობაზე ისაუბრეს ბატონებმა რინოს კვარაცხელიამ, კოტე ჩიქობავამ, ვალერი ჭანტურიამ, ზურაბ გუჩუამ, მამანტი ძაძამიამ, ვალერი ძაძამიამ, ედემ კვირტიამ, ვახტანგ ჭანტურიამ, მამუკა გაბელიამ, ანატოლი შონიამ, ედემ ღვინჯილიამ, ქალბატონებმა ლიანა ანთიამ, მანანა გაბელიამ, თამარ შერაზადაშვილმა, ია ესებუამ. ბატონ თამაზ ფიფიას საიუბილეო თარიღი სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** სახელით მიულოცა ზურაბ კვარაცხელიამ.

ღონისძიების დასასრულს იუბილარმა მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას მისი ესოდენ დიდი დაფასებისათვის.

საღამო მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა **“ბედინერა”.** საღამო მიჰყავდა ქალბატონ ნანი შამუგიას.

საკ. ინფორმაცია

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ლექსს, რომელიც ბატონ თამაზ ფიფიას შემოქმედებით საღამოზე წაიკითხა პოეტმა მამუკა გაბელიამ:

წალენჯიხა

წალენჯიხა ოხვამე რე,
საქორთუოშ მახვამალი.
წალენჯიხა შურ დო გური რე,
სამარგალოში მანათალი.
წალენჯიხა ჯა მანგარი რე,
ჯინჯებშე რე ნაფალა.
წალენჯიხა ლაკადა რე,
უტუში კილეში ნაჭკადა!
ჭიჭე წყარ რე, ჭიჭე დიხა,
ჩქიმი სქვამი წალენჯიხა!

მამუკა გაბელია

ნანა დევდარიანი: „მზადდება საფუძველი, რომ თუ სააკაშვილი რეაქტიული ფსიქოზითაა დაავადებული, მისი გასამართლება არ შეიძლება!“

საქინფორმის სტუმარია საქართველოს ექს-ომბუდსმენი, ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე, ექს-პარლამენტარი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ დავით V შვილიშვილი, ჟურნალისტი ნანა დევდარიანი.

– ქალბატონო ნანა, რა ხდება საქართველოში?

– ისევ იმ დღეში ვართ, რაც მუდმივად გვჭირს – ილიას მკვლელობა მახსენდება... სანამ მას მოკლავდნენ, ქართველები ერთმანეთს რომ ხვდებოდნენ, გამარჯობის მერე ეკითხებოდნენ – ილია ჯერ არ მოუკლავთო? ანუ, ამ საზარელი ამბის სუნი ტრიალებდა... ასეა ახლაც – ჩვენ ხომ მუდმივად გვაქვს რაღაც ცვლილებების მოთხოვნილება და ადამიანს ყოველთვის ჰგონია, რომ ოღონდაც ეს ხელისუფლება შეიცვალოს და უკეთესობა იქნება. ერთხელ, როცა პარლამენტის წევრი ვიყავი, ერთმა პარლამენტარმა მითხრა – ნეტა რამე შეიცვალოს, ამაზე უარესი ხომ არ იქნებაო? ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ უარესი არ იქნება, რადგან უარესი შეიძლება ყოველთვის მოხდეს, ცვლილება ყოველთვის უკეთესობისკენ არაა მიმართული-მეთქი. 2003-შიც ბევრს ეგონა, რომ ოღონდაც მთავრობა შეცვლილიყო და ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ რომ გაიგებ სიტყვა **„რევოლუციას“** და ვერ მიხვდები, შენი ქვეყანა საით მიექანება, ეს უკვე შენი აზროვნების პრობლემაა – პრობლემა გაქვს წიგნთან, ისტორიულ მეხსიერებასთან. მერე რაც მოჰყვება ამ **„რევოლუციას“,** აღარ უნდა გაგიკვირდეს – უნდა მიიღო შედეგი ამ **„რევოლუციისა“**.

– რა მოხდა 2003 წელს?

–2003 წელს მოხდა ჩვეულებრივი სახელმწიფო გადატრიალება, მეტსაც გეტყვით – უფრო **„დავავიწროვებ“** ამ ტერმინს – სასახლის კარის გადატრიალება მოხდა. ის ხალხი ხომ ქუჩიდან არ მისულა, ისინი ხომ ხელისუფლებაში იყვნენ, ოღონდ მოახდინეს ხელისუფლების მთლიანი უზურპაცია. რა მოხდა, ამაზე პასუხს ციფრები გაგვცემს – ხმების რაოდენობა ასი პროცენტია, ის ვერცერთ შემთხვევაში ვერ გახდება ას ორი ან ას ოცდაორი. გამოვიდეთ ამ ასი პროცენტიდან და ვნახოთ, რა შედეგი მივიღეთ 2003 წლის არჩევნების შემდეგ: ხომ გავიდა 8 წელიწადზე მეტი? როგორ ფიქრობთ, რამდენი ხმა, რამდენი პროცენტი უნდა მიეღო სახელისუფლებო ბლოკს, რომ ამას აღეშფოთებინა ხალხი და რევოლუცია გამოეწვია? ალბათ, ორმოცდაათი პროცენტი მაინც, არა? მე მაშინ ცესკოს თავმჯდომარე ვიყავი და კარგად ვიცი ეს ყველაფერი. შევარდნაძის სახელისუფლებო ბლოკმა 21,28% აიღო. და დღეს ჩვენი უტიფარი ხელისუფლება ხმამაღლა აცხადებს – ხმების 30% ისედაც ხელში მაქვს, რადგან ხელისუფლებაში ვარო! მაშინ პარლანეტში ექვსი სუბიექტი გავიდა და ქვეყანაში კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების რეალური შანსი ჩნდებოდა, სადაც ყველა მოქალაქის ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული. აი, ეს შანსი წაართვეს ერს რევოლუციონერებმა და მათ ამას ვერ ვაპატიებ – მათ ქვეყანას ცხრა წელი დააკარგვინეს, თორემ მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ჩემი პირადი წყენა დიდხანს არასოდეს მიმყვება, არც თანამდებობას მივტირი, რადგან ჩემი ცხოვრების მთავარი ამოცანა სკამი არასოდეს ყოფილა. ადამიანი თუ ნორმალური ხარ, უნდა იცოდე, რომ თანამდებობაზე როგორც მოხვედი, ისე მოგიწევს წასვლა...

– და ამ „სასახლის კარის გადამტრიალებლებმა“ დაიწყეს აქტიური „მუშაობა“ ახალი, „დასავლურ-ამერიკული“ ადამიანის ჩამოსაყალიბებლად, ოღონდ ყოველგვარი ქართულისა და მართლმადიდებლურის უხეშად გათელვით, საქართველოს ისტორიის მათებური ინტერპრეტაციით; მეტიც – ისტორიულ პიროვნებათა „გასამართლებით“ – თურმე ერეკლე მეორე ბეცი პოლიტიკოსი ყოფილა და მან საქართველოს რუსეთთან შეერთებით „საბედისწერო“ შეცდომა დაუშვა და ამას მოჰყვება „მტკიცებულებების“ მთელი კასკადი – დაწყებული ქართული ფრესკების გადაღებვიდან, 2008 წლის ომით დამთავრებული... ამ კითხვას გისვამთ, როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ დავით V შვილიშვილს – ერეკლე მეორეს მიერ გადადგმული ნაბიჯის გამო „დავიღუპეთ“?

– ძალიან მარტივია ამის ახსნა. ჩვენს ხელისუფლებაში ძალიან ბევრი უმეცარი ადამიანია, რომელთაც არც ისტორია იციან და არც გეოგრაფია. მხოლოდ სააკაშვილს კი არ ერევა ილორი და სულორი ერთმანეთში! მათ წარმოდგენა არ აქვთ ისტორიასა და გეოგრაფიაზე და ქართულ ენასაც რა **„შესანიშნავად“** ფლობენ, ამაზე ახლა აღარაფერს ვიტყვი. მოდი, გავიხსენოთ, რა ისტორიულ კონტექსტში იღებს ერეკლე მეორე ამ გადაწყვეტილებას – ჩვენ თურმე მაშინ დასავლეთის გზას ვედექით და ერეკლე მეფემ მოგვიჭრა ეს გზა?! სასაცილოა... ამაზე მუხრან მაჭავარიანის სტრიქონები მახსენდება – ციცას რომ ეფერებოდა ლუდოვიკო და ფეხებზე რომ ეკიდა საქართველო. ეს პოეტის თვალით დანახული სცენაა, თუმცა ძალიან სწორად!

– ამ „დასავლური კურსის“ გამო სულხან-საბა ორბელიანმა მართლმადიდებლობა უარყო და კათოლიკობაც კი მიიღო... და ჩვენი ლიბერალი მეგობრები დღესაც გვიკიჟინებენ, რომ „უნდა შესრულდეს უფლის ნება“ და მართლმადიდებელი ეკლესია და თავისი „და“ – კათოლიკური ეკლესია, უნდა გაერთიანდეს...

– ახლა ლიბერალები ხმამაღლა გაჰკივიან – რა არატოლერანტულნი იყვნენ ქართველები, რომ სულხან-საბა კათოლიკობის მიღებისთვის წვერებით ითრიესო... სულხან-საბა წვერით იმიტომ კი არ ითრიეს, რომ მან მიიღო კათოლიკობა, არამედ იმიტომ, რომ მან ფრანგებს პირობა მისცა – საქართველო მიიღებსო კათოლიკობას! ყველა ქართველის მაგივრად ვინ გეკითხებოდა, პირობას რომ აძლევდიო – ამიტომ ითრიეს წვერით! ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას! ერეკლე სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ზუსტად იცის, დასავლეთ ევროპის რომელ ქვეყანაში რა ხდება. მთელ დასავლეთ ევროპაში, თუკი სადმე მონარქი იყო, ყველა ეშაფოტზე გაიყვანეს და თავი მოჭკვეთეს. ხომ არ გვავიწყდება, რომ ერეკლე დემოკრატი და რესპუბლიკელი კი არა, მონარქი – მირონცხებული მეფე იყო. ვისთან უნდა წასულიყო და ეთხოვა შველა – ოსმალოსა და სპარსელისაგან, რომელთაც დღეს აისრულეს ის, რაც საუკუნეების წინ იარაღით ვერ შეძლეს? მეფე ერთადერთი არჩევანის წინაშე იდგა და თავისი გადაწყვეტილებაც ამიტომ მიიღო – არ დაგავიწყდეთ, მაშინ რუსეთი იყო ყველაზე მოწინავე, განათლებული მონარქია და ყველაზე დემოკრატიული თავისი შინაარსით! ამიტომ ეს ზღაპრები ჩვენმა **„ძვირფასმა“** ლიბერალებმა მოუთხრეს თავიანთ დედ-მამასა და ბებია-ბაბუებს, რომელნიც ათეისტურად, სკკპ ისტორიის მაგალითებზე არიან გაზრდილნი – ადრე თუ მათი მშობლები ლენინის, მარქსის, ენგელსისა და ბრეჟნევის სიტყვებით წერდნენ დისერტაციებს (მადლობა ღმერთს, ეს დისერტაციები დღესაც შენახულია, არ იწვის ის ქაღალდები), დღეს ესენი საუბარს იწყებენ კლინტონისა და ობამას ციტატებით!

...აქ იმაზე კი არაა საუბარი, ვინ უფრო მართალია – კათოლიკები თუ მართლმადიდებლები, აქ საუბარია დოგმატის ერთგულებაზე. ის, რაც შენ ღმერთმა გითხრა, იმას ასრულებ, თუ შენ შენს თავზე **„ირგებ“** უფლის რწმენას შენი კომფორტული ცხოვრებისთვის, კათოლიკური ეკლესია ნაბიჯს ნაბიჯზე დგამს იმისათვის, რომ სხვადასხვა ცოდვა გაამართლოს და ისეთ მარაზმამდე მივიდა, რომ იმის იქით აღარაფერი აღარაა. რამდენიმე წლის წინ კი თავად მიხვდნენ, რომ ყველაფერი რომ ნებადართულია, არ შეიძლება, ეს დაღუპვაა და საკითხი ასე დაისვა – იქნებ **„მართლმადიდებლური რამადანი“**, ანუ მარხვა შემოვიღოთო (!!!). ამ სიტყვით სასწრაფოდ **„გააერთიანეს“** ისლამი და მართლმადიდებლობა! დასავლეთში აღარ მარხულობენ, ერთადერთი, ვინც თავის რჯულს მტკიცედ ინარჩუნებს, ებრაელი ხალხია. ამერიკაში კვების ნებისმიერი პროდუქტი რომ ქაშერულია, რაბინმა უნდა დაადასტუროს. არაებრაელი ამერიკელი კი აპროტესტებს – არ ვარ ებრაელი, არ მჭირდება ქაშერული პროდუქცია და რატომ უნდა ვიხადო ჩემი ჯიბიდან ამის გადასახადიო. ეს არის სიმტკიცე რჯულში. როგორ, ეს ებრაელებისთვის შეიძლება და ჩვენთვის არა? აქ, დედამიწაზე, სხვადასხვა, **„განსაკუთრებული“** ჯგუფები, გამოიყო? კი, ებრაელები მიიჩნევენ და სწამთ, რომ ისინი ღვთის რჩეული ერია, მაგრამ მართლმადიდებლებიც ხომ ჩვენი რწმენიდან, ქრისტეს მცნებიდან გამომდინარე თავს გამორჩეულად მივიჩნევთ? ამიტომ აქ ლაპარაკი რუსეთზე კი არა, შენს რწმენისმიერ ძმებზეა.

ცუდი, კარგი, დამპყრობელი, მტარვალი ყველა რჯულსა და ერშია. უფრო გასაგებად გეტყვი – რატომ არის შეტევები ეკლესიაზე? რატომ უნდა მოგინდეს, რომ ასე გამალებით ებრძოლო მართლმადიდებელ ეკლესიას? ამაზე რამდენიმე პასუხი არსებობს: პირველი, რაც ჩემთვის ყველაზე მეტად მტკივნეულია– ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთადერთი სივრცე, სადაც საქართველო ჯერ კიდევ მთლიანი რჩება. მეორე მხრიდანაც შევხედოთ ამას – რუსეთმა მოახდინა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ოკუპირება, რუსეთის საპატრიარქომ კი არ აღიარა მათი ეპარქიების საქართველოდან დამოუკიდებლობა. საქართველოს სულიერი სხეული მთლიანია ეკლესიის წიაღში, შენ თუ ამასაც დაარტყამ, ეს მთლიანობა დაინგრევა! ფიზიკურად შენთან არ არის აფხაზეთი და სამაჩაბლო და როცა ეკლესიას ებრძვი, ამით საკრალურს ებრძვი, ღმერთს ებრძვი!

...არის ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც განათლება დასავლეთში მიიღო, მაგრამ მე ამას განათლების მიღებას არ ვეძახი; განათლება მიიღო ილია ჭავჭავაძემ სანკტ-პეტერბურგში! ერთ წელიწადში რომ ექვსი უნივერსიტეტის სერტიფიკატს აიღებ, მაშინ არცერთში გისწავლია, უბრალოდ, იქ რაღაც კურსები გაიარე. მაგრამ ამ ხანმოკლე ურთიერთობით დასავლურ კულტურასა და სულიერ სივრცესთან ვიღაც-ვიღაცებმა გამოიტანეს მცდარი დასკვნა: ჩვენც რომ ასე კარგად ვცხოვრობდეთ, ამისთვის საჭიროა, ვიყოთ ან კათოლიკე, ან პროტესტანტი! გადავხედოთ ისტორიას – დღეს წამყვანი, განვითარებული ქვეყნები არიან ის ქვეყნები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში დანარჩენ მსოფლიოს ძარცვავდნენ, ყველაფერი მიჰქონდათ და ამ ნაძარცვის ხარჯზე მოიწყვეს ეს კარგი ცხოვრება. კოლონიური მარცხის შემდეგ ეს გაძარცვული ხალხები შეესივნენ იმ მეტროპოლიებს და გარეთ რომ ვერაფერი გამოიტანეს, მათ შიგნით ჭამენ. ეს უკვე აღარ მოსწონთ, მაგრამ ახლა მე შენ გეკითხები – ადამიანის უფლებებზე რომ მელაპარაკები და (სახალხო დამცველობის პერიოდში ეს საკითხები სულ მიჩენდა დისკომფორტს და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ 2003 წლის შემდეგ მომეცა საშუალება, ამ საკითხებზე ბევრი წამეკითხა და მემუშავა, მეფიქრა, რისი დროც მანამდე არ მქონდა) მეუბნები, რომ რელიგიური უმცირესობები არ უნდა დავჩაგრო – მე ვერ ვიხსენებ რაღაც ასეთი დაჩაგვრის ფაქტებს (ცალკეული ექსცესები კი იყო, როცა სექტანტებს წიგნები დაუწვეს და ჯვრები ურტყეს თავში, რაც ცალსახად მიუღებელია, რადგან ადამიანს რწმენას ვერ შეუცვლი ცემა-ტყეპით – არაფერი ისე კარგად არ ჭრის, როგორც პირადი მაგალითი), მე მასწავლი ამას და მილიონობით მუსლიმანი ცხოვრობს დღეს შენს ქვეყანაში და მეჩეთების აშენების საშუალებას არ აძლევ. მართლმადიდებლებს გერმანიაში ტაძარი არ ააშენებინეს – ზარების რეკვა შეგვაწუხებსო! მოდი რა, ჯერ შენ იყავი ტოლერანტული და მერე მე დამარიგე ჭკუა, როგორ ვიცხოვრო. საქართველო მართლა უნიკალური ქვეყანაა, რომელიც ახერხებდა და ყველა აღმსარებლობის ადამიანი ნორმალურად გრძნობდა აქ თავს.

...გასულ კვირას წავიკითხე, რომ შეერთებულ შტატებში ყოფილა სექტა – **„შავი ებრაელები“** და ამ სექტის მეთაურმა ქალი, რომელთანაც ცხოვრობდა, და მისი შვილი მოკლა... ქალის მოკვლა – ეს უკვე საზარელი დანაშაულია, მაგრამ 4 წლის ბავშვის მკვლელობა ხომ – კიდევ უფრო შემზარავი! როცა სასამართლოზე ჰკითხეს – რატომ მოკალიო, უპასუხა, რომ მამამისი ჰომოსექსუალისტი იყო და ეგეც ასეთი გაიზრდებოდა და მე კი ამას ვერ ვიტანო! ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში და ისინი გვასწავლიან ჩვენ, რომ უნდა ვიყოთ შემწყნარებელნი სექსუალური უმცირესობების მიმართ. მე არავისი პირადი ცხოვრება არ მაინტერესებს, ჩემი განსასჯელი არაა, ვინ ვის ეყვარება და ლოგინში ვისთან წევს, მაგრამ ის, რაც ჩემთვის მიუღებელია, იმიტომ, რომ ცოდვაა, ჩემი რწმენით, რელიგიური შეხედულებებით, იმაზე ნუ მაიძულებ, გითხრა, რომ ეს არაა ცოდვა. არ ვიტყვი, რადგან ეს ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება – სექსუალურ უმცირესობათა თავისუფლება ეჯახება ჩემი რწმენის თავისუფლებას და უფლებასაც მართმევ, რომ ეს ვთქვა? მე ვცოდავ და შენ ისიც არ გამიბედო და არ მითხრა – ვცოდავო. ვერ ვიტყვი, რადგან მაშინ მე **„მე“** აღარ ვიქნები, ან მე აღარ ვიქნები მართლმადიდებელი.

...ჩვენთან არასოდეს იყო ის, რაზედაც იდგა დასავლეთ ევროპა – ევროპული გამონათქვამია: **„ვისი მიწაც არის, იმისია რჯული!“** მოვიდოდა ვიღაც ჰერცოგი და თავის რჯულზე მოაქცევდა მთელ მოსახლეობას. ჩვენთან კი მსგავსი არ ყოფილა! ღმერთის წინაამდეგი ეს ხელისუფლება მარტო იმიტომაც არის, რომ ის სოფელში ხალხს არ ეკითხება, უნდათ თუ არა მეჩეთი მათ – ვოლუნტარისტულად იღებს ამ გადაწყვეტილებას. ის არც ღვთის ნებას ემორჩილება და არც ხალხისას, ვისი მსახურიც უნდა იყოს სინამდვილეში. ამიტომ ეს ორმაგი სტანდარტებია, **„გამარჯვებულების“** ხელით დაწერილი ისტორიაა და მძარცველების მიერ შექმნილი კარგი ცხოვრებაა, რომლის შენარჩუნებასაც ცდილობენ, მაგრამ ვერ შეინარჩუნებენ; ეს ის სამყარო აღარ არის – აჩქარდა უკვე ყველაფერი, ცოდვაც ისე მომრავლდა, რომ ძალიან ბევრი კვანძი ჩვენ თვალწინ გაიხსნება. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს უთქვამთ ჩვენთვის – რუსეთს რას ვებრძოდით, რას ვერჩოდით – ეს რა დღეში ამოვყავით თავი, მთელი ჩვენი თაობა აფანატებდა ამერიკას, ყველაფერი ამერიკული მოგვწონდა და ახლა ჩამოეხსნა ნიღაბი და აბსოლუტური იმედგაცრუება დაგვემართაო! ასე იცვლება შეხედულებები, განა იმიტომ, რომ ჩვენ არა ვართ მყარი, არამედ იმიტომ, რომ ღმერთმა დაგვანახვა სიმართლე!.. სხვათა შორის, ჩვენ გვეგონა, რომ როცა ის ფარდა, რომელიც დასავლეთისგან გამოგვყოფდა, აღარ იარსებებდა, ყველანი ძალიან კარგად ვიქნებოდით. სინამდვილეში კი ასეთ უბედურებაში ამოვყავით თავი. მეცინება, ამას რომ გეუბნები, მაგრამ გაზეთ **„პრავდაში“** რაღაცები რომ წამიკითხავს, თურმე ყველაფერი ტყუილი არ ყოფილა...

რაც შეეხება პიროვნულ და ემოციურ დონეზე, ვინმე თუ დამარწმუნებს, რომ სააკაშვილს უფრო უყვარს თავისი სამშობლო, ვიდრე ერეკლე მეფეს თავისი სამეფო, მე მგონი, ის გონებასთან მწყრალადაა. ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობაც კი არ შეიძლება...

არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ქალაქში ასეთი ამბავი დადის: ერთ-ერთ სუფრაზე აკა მორჩილაძემ, რომელიც ზედმიწევნით კარგად ჩახედულია საქართველოს ისტორიაში, სუფრის ერთი წევრის კითხვაზე – გვიპასუხეთ, ერეკლემ ხომ გაგვიყიდაო, მიუგო: ბატონო, მე მეკითხებით ამას? როცა ერეკლე მეფე გარდაიცვალა და მიცვალებული განბანეს, სხეულზე ოთხმოცზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიღებული საქართველოსთვის ბრძოლებში და მე ამ ქვეყნისთვის თითიც არ გამიკაწრავს და მე მეკითხებით – სწორი იყო თუ არა ერეკლეს ნაბიჯიო?.. მოდი, ასე ვთქვათ – შენ რა გააკეთე საქართველოსთვის, რომ ერეკლეს სასამართლო მოუწყო? შენი მმართველობის დროს ხალხი უკეთ ცხოვრობს თუ ტერიტორიები შემოიმტკიცე?

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

ნანა დევდარიანი: „მზადდება საფუძველი, რომ თუ სააკაშვილი რეალურ ფსიქოზითაა დაავადებული, მისი გასამართლება არ შეიძლება!“

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

– განა საქართველომ არ „გაიმარჯვა“ 2008 წლის აგვისტოს ომში? აქვე გავიხსენებ, რომ ამბობენ –ჰიტლერის დროს რომ „რუსთავი 2“ ყოფილიყო, ის ისე მოკვდებოდა, რომ ვერ გაიგებდა, ომი რომ წააგოო...

– მე მაწყვეარი ადამიანი არ ვარ, ვერ ვიტან წყეელას, მაგრამ ამ შემთხვევაში თავისუფლად ვიტყვი: ვინც იმას იტყვის, რომ იმ ომში საქართველომ გაიმარჯვა, ამ **„გამარჯვებით“** ატაროს ღმერთმა მთელი თავისი სიცოცხლე!

– რკინის ფარდაზე გამახსენდა – მე არ ვიცი, ცდილობს თუ არა ვლადიმერ პუტინი, სტალინს მიემსგავსოს, მაგრამ როცა მისი ინაუგურაციის წინა დღეს მისი ბრძანებით XVI საუკუნის ივერიის ღვთისმშობლის ხატი მუზეუმიდან გამოაბრძანეს და რუსეთის საპატრიარქოს გადასცეს, მეორე მსოფლიო ომში სტალინის ბრძანებით ყაზანის ღვთისმშობლის ხატის გამობრძანება გამახსენდა...

– სწორედ ივერიის ღვთისმშობლის ხატი!.. მე არ ვამბობ, რომ ეს ღვთისგან მოვლენილი ნიშანია, თუმცა ამ დონის პოლიტიკოსები ტყუილად ნაბიჯს არ დგამენ. წინა საღამოს ხატი გამოაბრძანა და მეორე დღეს მისი ინაუგურაცია იყო. მეტსაც გეტყვით, ამ ხატს ძალიან უცნაური ისტორია აქვს. მთლად თავიდან არ დავიწყებ. რუსეთში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ (რა უბედურებაც დაატყდა ეკლესიას, ყველამ კარგად ვიცით) ეს ხატი კარადაში იყო გამოკეტილ-დაპატიმრებული, მორწმუნეებს იქ მისვლა და ლოცვა არ შეეძლოთ, რადგან იქ მუზეუმი იყო... რამდენიმე წლის შემდეგ პუტინმა ნოვოდევიჩის მონასტერი მოქმედი გახადა, იქიდან მუზეუმი გამოიტანა და მოხდა საოცარი რამ – ხატი, რომელსაც მონასტერი 1 წამითაც არ დაუტოვებია, როცა მუზეუმი გაუქმდა, ის, როგორც ექსპონატი, გაიტანეს. აამოქმედეს მონასტერი და ხატი კი ისევ მუზეუმს გადასცეს... ეს სამართლიანობა აღადგინა პუტინმა – მუზეუმს გამოართვა და დაუბრუნა მოქმედ მონასტერს. ეს ისტორია კიდევ რომელიმე ისტორიულ მოვლენასთან პარალელს ხომ არ გაგონებს – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ისტორიას ხომ არა?

–კარგად ვიცი ჩვენი ხელისუფლებისა და მათი ფანების ფსიქოლოგია – რუსეთზე რაიმე პოზიტიურის თქმისთვის აგენტისა და მოღალატის „საპატიო“ ტიტულს რომ მოგანიჭებენ. რუსეთის სიძულვილი ხომ უკვე ამ ხელისუფლებისთვის ცხოვრების წესად გადაიქცა...

– არ დაგეთანხმები, რადგან მე მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად ეძებენ კონტაქტს რუსეთთან, მაგრამ ისინი არ გამოდიან კონტაქტზე და ეს ყველა ფობია და ისტერიკა ამის გამოძახილია. მაგათ რომ დასჭირდეთ, ჩემზე და შენზე უწინ შეასხამენ ხოტბას რუსეთს. მე რასაც არ ვიზამ და ხოტბას არ შევასხამ იმისთვის, რაშიც ისინი მართალნი არ მგონია, ესენი იმისთვისაც დითირამბებს უმღერებენ რუსეთს, თუ ეს მათ ხელისუფლებაში ყოფნას დასჭირდა...

...ისე კი, მათი აზრი ამ საკითხთან კი არა, საერთოდ არაფერზე მაინტერესებს და რაც უნდათ, ის ილაპარაკონ...

– დაბოლოს, რომ არ დაგისვათ ეს კითხვა, არ შემიძლია: როგორია თქვენი პროგნოზი – რა მოხდება ოქტომბრის არჩევნებზე?

– ოქტომბრის არჩევნებზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს... ჩვენ ნუ დაგვავიწყდება, რომ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომლის პირველმა პირმა თავად არ იცის, დილას რომ ადგება, შუადღეზე საჭმელს სად შეჭამს. ამის პროგნოზირება ურთულესია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, რა ნაბიჯს გადადგამს, როგორი ემოციური ფონი ექნება – ამის პროგნოზირებას ჩემს თავზე ვერ ავიღებ...

– ემოციურ ფონზე გამახსენდა – ბალტიისპირეთის ერთ-ერთმა კლინიკამ მას რეალური ფსიქოზის დიაგნოზი დაუსვა...

– ერთხელ ძალიან სერიოზულ სპეციალისტს ჟურნალისტმა ჰკითხა – შეურაცხადია თუ არა ჩვენი პრეზიდენტიო, მან კი უპასუხა – ეგ შეკითხვა არ დამისვათ – ჩემი და შენი სირცხვილია, ეს თუ მასეაო...

ეს მართლა ჩვენი სირცხვილია, მით უმეტეს, თუ ეს დიაგნოზი ჩვენს ქვეყანაში კი არა, სხვაგან დაუსვეს...

თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება – ვიღაც ხომ არ ამზადებს იმის საფუძველს, რომ თუ ავადაა და რეალური ფსიქოზი აქვს, ვეღარ გაასამართლონ?!.

ესაუბრა ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ
ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ᲑᲐᲠᲗᲚᲝᲛᲔᲡ ᲓᲐᲛᲔ

საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი და სამარცხვინო ფურცელი – **“ბართლომეს ღამე”**, იმ რელიგიური დაპირისპირების შედეგი იყო, რომელმაც თავი იჩინა XVI საუკუნის დასაწყისის საფრანგეთში.

ამ საუკუნის პირველი ნახევარი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური წინსვლით აღინიშნა. საფრანგეთის მეფეები გამუდმებით ებრძოდნენ ესპანეთის მეფეებს ევროპაში ტერიტორიების გადანაწილებისთვის; სისხლისმღვრელი ომები მიმდინარეობდა იტალიაშიც, რომელიც ასევე ცდილობდა მაქსიმალურად გაეზარდა თავიანთი გავლენა ევროპაში. სხვა წვრილ-წვრილ ევროპულ სახელმწიფო წარმონაქმთა სიუზერენებიც ერთვებოდნენ ხოლმე დროდადრო ამ უაზრო ომებში, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი მხედართმთავრული ამბიციები დაეკმაყოფილებინათ.

იმ დროისათვის მაღალგანვითარებულ და რენესანსმოძალებულ იტალიასა და მის კულტურასთან დაახლოებამ ფრანგები აღორძინებისეულ სამყაროს აზიარა. საფრანგეთში გზა გაიხსნა ახალი იდეებისა და ახლებური მსოფლმხედველობისთვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კარდინალურ ცვლილებებს საუკუნოობით უძრავად მდგარ რელიგიურ სამყაროშიც.

კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა მასობრივმა მოძრაობამ (პროტესტანტობამ) საფრანგეთში XVI საუკუნის 20-30-იან წლებში შეაღწია. ფრანგი პროტესტანტები ძირითადად კალვინის მიმდევრები იყვნენ (საფრანგეთში მათ ჰუგენოტები ეწოდათ). ფრანგი პროტესტანტი მოღვაწე ჟან კალვინი (1509-1564 წწ.), რომელსაც ჟენეველ პაპს უწოდებდნენ (რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი ჟენევაში გაატარა), ყველაფრის წინანსწარგანსაზღვრულობას, სამყაროს არსებობაში ღვთის ჩაურევლობასა და საქმეში (უფრო ფულის დაგროვებაში) წარმატების მიღწევის აუცილებლობას ქადაგებდა.

ჰუგენოტები, ძირითადად, საფრანგეთის სამხრეთის ქალაქების შეძლებული მოსახლეობისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენლები იყვნენ. ისინი, საკუთარ საქმეში წარუმატებლობის შემთხვევაში, ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მეფისა და რასაკვირველია, კათოლიკური ეკლესიისადმი, რომელიც მაშინ მეფის მთავარ იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდა. ამგვარ რელიგიურ მოწინააღმდეგეებს კათოლიკეები **“მწვალებლებს”** უწოდებდნენ და მათდამი განსაკუთრებულ სიძულვილს ამჟღავნებდნენ.

რელიგიურ ნიადაგზე შეტაკებები და ხოცვა-ჟლეტა საფრანგეთში **“ბართლომეს ღამემდეც”** ხშირად ხდებოდა, განსაკუთრებით რელიგიური ომების პირველი პერიოდიდან (1562-1572 წწ.) მოყოლებული. მაგრამ ეს შეტაკებები არ გახლდათ მასობრივი და დიდი მსხვერპლის მომტანი. ამასობაში კი **“მწვალებელთა”** მხარდამჭერების და თანამგრძნობთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, რაც კათოლიკეებს სასტიკად აღიზიანებდა. **“მწვალებლები”** უკვე იმდენად მოძლიერდნენ, რომ სახელმწიფოს საქმეებშიც კი დაიწყეს უაპელაციოდ ჩარევა. სწორედ მათი სიმტკიცე და შეუდრეკელი ხასიათი იქცა პროტესტანტების წარმატების საფუძვლად. ისინი უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ კათოლიკეებთან შედარებით მაინც მცირე პოტენციალი გააჩნდათ. რელიგიური განსხვავებულობის საბაბით ერთმანეთს საფრანგეთის დიდი საგვარეულოებიც კი უპირისპირდებოდნენ. კათოლიკეთა ბანაკში გამორჩეული ადგილი ეჭირა გიზების საგვარეულოს, ხოლო პროტესტანტებში – კოლინებისა და ბურბონების ოჯახები დომინირებდნენ.

ჰუგენოტთა გამოჩენილი მეთაური გახდა ადმირალი გასპარ დე კოლინი, სიმპათიური გარეგნობის თეორწვერა ჭარმაგი ადამიანი, უბრალოებითა და პატიოსნებით გამორჩეული ჰუგენოტი. იგი ენერგიულად იცავდა პროტესტანტების ინტერესებს თავის სამშობლოში.

კათოლიკეთა შორის კი ძალაუფლება აიღეს ფრანსუა (სამხედრო მმართველობა) და შარლ (სამოქალაქო მმართველობა) გიზებმა. ისინი მეფე ფრანცისკ მეორის მცირეწლოვნების მომიზეზებით მართავდნენ ქვეყანას (გიზები ბიძებად ეკუთვნოდნენ ფრანცისკ მეორის მეუღლეს, შოტლანდიელ დედოფალ მარიამს). ეს კი ძალიან აშინებდა ფრანცისკ მეორის დედას, უსაზღვრო სიმდიდრითა და ცბიერებით განთქმული იტალიელი მედიჩების შთამომავალს ეკატერინე მედიჩის, რომელმაც, გიზების საპირწონედ, საფრანგეთის სამეფო კართან ჰუგენოტთა დაახლოება გადაწყვიტა.

1560 წელს ფრანცისკ მეორე მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძმა შარლ მეცხრე, რომელიც ასევე მცირეწლოვანი გახლდათ (თუმცა არც ეს მეფე გამოდგა დღეგრძელი, რადგან ეკატერინე მედიჩის თავისი სასიძოს – ჰენრი ნავარელის მოწამვლა სურდა, მაგრამ ყველაფერი მისი გეგმით არ განვითარდა და ეკატერინეს საწამლავით მოიწამლა მისივე შვილი შარლ IX, რომელიც გარდაიცვალა 29 წლის ასაკში). საფრანგეთის სამეფოს მმართველობა ხელში აიღო დედოფალმა ეკატერინე მედიჩიმ. მან დაიახლოვა გასპარ დე კოლინი. კოლინიმ მეფეს წარუდგინა პროექტი, რომელშიც ასახული იყო კოლინის საგარეოპოლიტიკური გეგმები (და არა მხოლოდ ეს): ნიდერლანდების საფრანგეთისთვის შემოერთება, ესპანელთა საბოლოო დამარცხება (თურქების დახმარებით), ამერიკაში ფრანგ ჰუგენოტთა კოლონიის დაარსება და სხვ. მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელმა და სახელმწიფოს საქმეებში ჩაუხედავმა მეფემ ადმირალ კოლინის გულმხურვალე ინიციატივებს წაუყრუა.

ჰუგენოტებისადმი საფრანგეთის სამეფო კარის მოჩვენებითი კეთილგანწყობის მწვერვალი იყო ეკატერინე მედიჩის სურვილი, რომლის მიხედვითაც შარლ მეცხრის დაიკო – პირმშვენიერი, მაგრამ საკმაოდ ამორალური მარგარიტა უნდა დაქორწინებინათ ჰუგენოტთა ერთ-ერთ მეთაურზე, ნავარელ ჰერცოგ ჰენრიხზე (მოგვიანებით სწორედ იგი გახდა საფრანგეთის მეფე). ეკატერინემ პაპისგან ლოცვა-კურთხევა, რაღა თქმა უნდა, ვერ მიიღო, ამიტომ ჯვრისწერაზე ძლივს დაითანხმა კარდინალი შარლ ბურბონი (ალბათ ერთადერთი კათოლიკე ბურბონი).

ჰენრიხისა და მარგარიტას შეუღლება 1572 წლის 18 აგვისტოს იზეიმეს. პარიზში თავი მოიყარეს რჩეულმა ჰუგენოტმა არისტოკრატებმა. გარეგნულად, ჯერჯერობით, ყველა სიმშვიდეს ინარჩუნებდა. სინამდვილეში კათოლიკე პარიზელთა გაღიზიანებას საზღვარი არ ჰქონდა. მათ გაბოროტებას იწვევდა **“პროვინციელებისა”** და **“მწვალებლების”** სიამაყე, მათი გამომწვევი საქციელი და საერთოდ მათი არსებობა. ბუნებით მისი წინაპრების მსგავსად ცბიერ დედოფალ ეკატერინე მედიჩისა და მის პირმშო მეფეს შარლ მეცხრეს ჰუგენოტთა ძლიერების საბოლოო დასამარება გადაეწყვიტათ. მეფის გადაწყვეტილებაზე, ეკატერინესთან ერთად, იმოქმედეს მისმა იტალიელმა მრჩევლებმა ალბერ დე გონდიმ და ლუდოვიკო დი გონზაგამ, თუმცა ეკატერინეს (და არც ალბათ მეფეს) სულაც არ სურდა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მოწყობა, მათი სურვილი იყო მხოლოდ ჰუგენოტური მოძრაობის მოთავეთა განადგურება.

1572 წლის 24 აგვისტოს დამისთვის გააფრთხილეს პარიზის მამასახლისი, უბნების უფროსები, ჯარისკაცები. ჰუგენოტთა ცნობა ადვილი იყო. მათ ძირითადად შავი სამოსი ეცვათ. მაინც თითოეული სახლი, სადაც ჰუგენოტები ცხოვრობდნენ, თეთრი ჯვრებით მონიშნეს. გაბოროტებული გიზები, თავიანთ მომხრეებთან ერთად, სულმოუთქმელად ელოდნენ შურისძიების ჟამის დადგომას.

24 აგვისტო წმინდა ბართლომეს დღესასწაული იყო. ასე, ღამის ორსა და ოთხ საათს შორის სენ-ჟერმენის სამრეკლოდან ზარის რეკვის ხმა გაისმა. მას თითქმის ყველა სხვა ტაძრის ზარი გამოეხმაურა. ეს მასობრივ მკვლელობათა დაწყების ნიშანი იყო. გამძვინვარებულმა ფანატიკოსებმაც არ დაყოვნეს. კათოლიკეები ჰუგენოტებს შინ უვარდებოდნენ, მძინარეებს ხოცავდნენ, შემდეგ მოკლულებს ძარცვავდნენ, მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ერთ-ერთი პირველი ამ სასაკლაოს ადმირალი კოლინი ემსხვერპლა. იგი სახლშივე მოკლეს, მისი ცხედარი მესამე სართულის ფანჯრიდან ეზოში გადააგდეს. გამოჩენილი ჰუგენოტი არისტოკრატებიდან დაიღუპნენ ფრანსუა-ჟან-ჟუვრე დე ბარბიე, გაიო დე კრიუსელი, ბერნარროჟე დე კომენჟი, ბრიუნკელის ვიკონტი, ჟან როჟე დე კომენჟი, გრაფი ფრანსუა დე ლაროშფუკო, ბარონი არმან დე კლერმონი, ფილოსოფოსი ჰუმანისტი პიერ დე ლა რამე და მრავალი სხვა. ჰენრიხ ნავარელმა თავს იმით უშველა, რომ მაშინვე კათოლიკობა მიიღო. ქაოსმა ისეთ საზღვრებს მიაღწია, რომ ნებისმიერს შეეძლო მოეკლა ნებისმიერი (მევალე, ცოლი, სიდედრი, ზოგადად, არასასურველი ადამიანი) და მოკლული ჰუგენოტებისთვის **“მიეთვალა”**. არავინ იცის, ღამეული კოშმარი რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, მეფეს რომ მისი შეწყვეტა არ ებრძანა.

პარიზში იმ ღამეს ხუთი ათასამდე კაცი დაიღუპა. აგრესია ჰუგენოტებისადმი მომდევნო დღეებში მთელ საფრანგეთში გაგრძელდა. ხოცვა-ჟლეტას ოცდაათი ათასამდე კაცი ემსხვერპლა.

ბართლომეს ღამემ ჰუგენოტთა საბოლოოდ დასამარება ვერ მოახერხა. პირიქით, ჰუგენოტებმა ბრძოლა განაგრძეს და რელიგიური ომები საფრანგეთში კვლავ განახლდა.

ბართლომეს ღამის ტრაგედიას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ევროპის სხვა ქვეყნებში. გაგიკვირდებათ და იმ ღამეს დატრიალებული ამბები დაგმო რუსეთის მეფემ ივანე მრისხანემ (თუმცა თავის ქვეყანაში, მალიუტა სკურატოვისა და მისი რაზმის მეშვეობით არანაკლებ სისხლიან ორგიებს აწყობდა).

ბართლომეს ღამე აისახა მხატვრობაში, ლიტერატურაშიც. ამ ტრაგედიის ამსახველი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ალექსანდრე დიუმას **“დედოფალი მარგო”** და პროსპერ მერიმეს **“შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა”**.

რ. ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

„უფალო – მომეც ძალა სამშობლოს ხსნისა!“

(21-ე საუკუნის, ქართველ ემიგრანტთა, ეპიტაფია)

ამას წინათ, „**საქართველო და მსოფლიოს**“ ინტერნეტ საიტი გავხსენი და პირველივე გვერდზე გამოტანილი „**საგარეო საქმეთა მინისტრის დოკუმენტური „იდიოტიზმი**“ მეცა თვალში.

თავიდან, გამეცინა, „**სამთავრობო იდიოტებს**“ რა გამოლევს სააკაშვილის გარშემო-მეთქი, მაგრამ მალევე გამიქრა იუმორის გრძნობა, რადგან, სწორედ ვაშაძე და მისნაირი სახელმწიფო მოხელეების გამო საუბრობენ აქ, ევროპაში, საქართველოზე, მხოლოდ წარსულში... ჭკვიანურს და სასარგებლოს არავინ მოელის მათგან – **გარდა საკუთარი ქვეყნის და ხალხის იავარქმნისა!**

ამიტომაც, კარგა ხანია მოსწყინდათ ამ საქმეში ჩვენთვის ხელის შეშლა, ჩვენს გემოზე მიგვიშვეს და მოგვაძახეს – **„კისერიც გიტეხიათო!“**

გარე ძალების დარიგებების უბადლო შემსრულებელ, ქვეყნის მმართველთა ბეჯითობით – **ჩვენი ქვეყანაც „კისრისტეხით“ მექანება უფსკრულისაკენ!**

რადგან ამ **„პირობას“** ვასრულებთ, ამიტომაც არ გვიშლიან ხელს და საქართველოზე თუ რაიმე ითქმება და დაიწერება – **მხოლოდ წარსულში, როგორც მიცვალებულზე!**

არაერთხელ მიწერია იმ მიზეზებზე, თუ რატომ ტოვებს ქართველი მოსახლეობა სამშობლოს და ამაზე ახლა არ მოგაცდენთ, მაგრამ იმას გვერდს ვერ ავუვლი, თუ რა სიძნელეების გავლა უხდებათ **„სამშობლოდან თავდაღწეულებს“** ვიდრე, ჯერ საკუთარი თავის რჩენის, შემდგომ კი **„ორიოდე ზედმეტი ცენტის“** მოგროვებას შეძლებდნენ, სამშობლოში დარჩენილი მშობლების და ოჯახის წევრებისთვის გასაგზავნად, რომლებიც, დღევანდელი მთავრობის იმედად, მიცვალებულებიც არიან და დასაფლავებულიც, მაგრამ, გარდაცვლილთაგან განსხვავებით, ყოველი, ახალი არჩევნების წინ იხსენებენ, მათ ხმებს მიითვლიან და მერე – **„კისერიც გიტეხიათო!“ მიაძახებენ მათაც და ამითი მთავრდება ეს საქმეც!**

–არა, ასე ადრე იყო, ახლა სხვაგვარად არის – **თუ ხმას არ მოგვცემთ, იმ იმედსაც მოგისპობთ საზღვარგარეთ რომ გეგულებათ და აქეთ გამოვაყრევინებთ იმ ქვეყნებს, აქამდე თავს რომ აფარებდნენო!**

დაიქადნეს და გააკეთეს კიდეც:

„2012 წლის 11 ივლისს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან გამომდინარე მოთხოვნით, მინისტრ ვაშაძის ბრძანების საფუძველზე, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისგან, საცხოვრებელი ადგილიდან ცნობას ითხოვენ. ეს არის პოლიტიკური დაქვემდებარების აქტი და მიმართულია ოპოზიციის მხარდამჭერების წინააღმდეგ, რადგან საქართველოს ხელისუფლება მათ ზღუდავს საარჩევნო ხმის რეალიზაციის კუთხით. საქართველოს გარეთ მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქე საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობს, ამისათვის მან ე.წ. საკონსულო რეგისტრაცია უნდა გაიაროს იმ ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობს. დღეისათვის, საკონსულო რეგისტრაციის გავლამდე მას საზღვარგარეთ საცხოვრებლიდან ცნობას სთხოვენ. ეს ცნობა კი ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან უნდა მოიპოვო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საზღვარგარეთ ლუკმაპურისთვის წასული ჩვენი თანამემამულეების უმრავლესობა არალეგალურად ცხოვრობს, ის უბრალოდ არ მივა და არ აიღებს ამ ცნობას ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან.

ამ შემთხვევაში ამ ქვეყნიდან დეპორტაცია ემუქრებათ!..“

ამას იუწყება ინტერნეტსაიტი.

წავიკითხე თუ არა, მაშინვე გადავწყვიტე ქართული სათვისტომოები მენახა. ფრანკფურტის, დიუსსელდორფისა და მიუნხენის მოვლის შემდეგ, „**კრისტალ-შტრასსე**“-ზე, 11 წლის წინ დავანებულ ქართულ საფოსა და მიუნხენის მოვლის შემდეგ, „**კრისტალ-შტრასსე**“-ზე, 11 წლის წინ დავანებულ ქართულ საელოცავში, კვირის წირვაზე გავიგე რომ, „**კარლსპლატც-შტახუს**“-ზე, საპროტესტო აქციას აწყობდნენ ქართველი ემიგრანტები – **ანტიქართული საარჩევნო კანონის წინააღმდეგ!**

მეც იქითკენ გავემართე დანიშნულ დროს.

ოცამდე გოგო-ბიჭი დამხვდა ადგილზე ტრანსპარანტებითა და ორიგინალურად მოაზრებული საპროტესტო ატრიბუტიკით, სიმბოლური საარჩევნო ყუთით და „**EMIGRANT**“ წარწერიანი ბიულეტენებით ხელში.

როგორც გერმანელებს სჩვევიათ თქმა – „**სპექტაკლირებული**“ არჩევნებიც განასახიერეს, საპროტესტო სიტყვები წარმოთქვეს, საკმაოდ საინტერესოდ იმსჯელეს და – **სინანულის და სამშობლოს სიყვარულის ცრემლიც უჩუმრად შეიმშრალეს თვალებზე...**

ასე დაიშალნენ ალბათ!..

მე ამას არ დავსწრებივარ, უფრო ადრე დავემშვიდობე მათ.

...მეტროში ჩასულს, მერედა მომაგონდა, რომ ძალზედ ცოტანი იყვნენ საპროტესტო აქციაზე მოსულნი!

ანაზდად, დიდი ხნის, სამი ათეული წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა:

საბჭოთა ტურისტულ ჯგუფთან ერთად, საფრანგეთში მომიწია მოგზაურობამ. ოთხი დღე პარიზში ვიყავით. უნიკალური შესაძლებლობა გამიჩნდა – მენახა და დამეთვალიერებინა უამრავი ადგილი, რასაც ადრე სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. მათ შორის, იმ დროს, ყველა ქართველისთვის საოცნებო “**ლევილი**”!

ჩემს მასპინძელს, ბ-ნ გურამ ასათიანს გავანდე საიდუმლო სურვილი – **თვალი შემევლო და პატივი მიმეგო სამშობლოს სიყვარულს გადაგებულ ქართველთა საფლავებისთვის და ვთხოვე “ლევილში” წავეყვანე.**

კეთილდიმილიანი სახით შემომხედა გურამმა და მორიდებით, ისე რომ, შეურაცხყოფილად არ მეგრძნო თავი, მიპასუხა – **დღეს კვირის ბოლოა, ამ დროს ბევრი მნახველი სტუმრობს “ლევილს”, მე არ ვიცი, ვინ იქნება იქ მტერი და ვინ მოყვარე!.. ამიტომ, იქ რომ მივალთ, გერმანულად ვისაუბროთ, თქვენ ჩემი გერმანელი სტუმარი ხართ და არავინ საგანგებო ყურადღებას არ მოგვაქცევსო!**

...საშიში დრო იყო მაშინ! არავინ იცოდა სამშობლოში დაბრუნებულს რას გვიზამდნენ – **სამშობლოს სიყვარულის, სამშობლოდან განდევნილ თანამემამულეთა საფლავების მონახულების და პატივმიგების გამო!**

ამ ფიქრებში გართულმა, ვერც შევნიშნე როდის ჩავუქროლე ჩემს გაჩერებას, რომ მეტროს მემანქანის ხმამ გამომაფხიზლა – **ბოლო გაჩერება, დაცალეთ ვაგონებიო!**

– ბოლო გაჩერება?!.

ვერ დავფიცავ სად იქნება, 21-ე საუკუნის ქართველ ემიგრანტთა ბოლო გაჩერება მაგრამ, უტყუარია, იგი გერმანიასა და ევროპაში (ამერიკა – დმერთმა დაგვიფაროს!) არ იქნება, თუ კი უფლის ნებას საკუთარ ძალისხმევასაც მივაწევთ და არ ვიფიქრებთ:

– რა ვიცი რა მოხდება, ცოტას დავიცდი და მერე ორმაგი ძალით წავეწევი ქართულ საქმესო!

გვიანი არ იყოს თქვენი ორმაგი ძალით წამოწევა ქართული საქმისადმი, ჩემო დებო და ძმებო, შვილებო!

დაქცეული სამშობლოს მხსნელად მოგვადგა ადამიანი, მაგრამ მას მესსიად ნუ წარმოვიდგენთ, იგი ჩვეულებრივი ძეხორციელია, რომელსაც ჩვენი თანადგომის და თავდადების გარეშე არაფერი შეუძლია!

...მიუნხენში, ქართველთა აქციაზე მოსული გოგო ბიჭები, საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილ, სამშობლოს ჭირისუფალთა, ასჯერ და ათასჯერ მეტის რჩეულები არიან, რომლებმაც, ამ დღეს, ყველა გამვლელ-გამომვლელის თვალწინ გაითამაშეს “**ევროპული, დემოკრატიული არჩევნები**” და მოიგეს იგი კიდეც, რადგან “**ევროპული დემოკრატიის**” მიღმა – **სამშობლოს სიყვარული დააქვთ თან, რომელიც მათთან ერთად – ასი წლის შემდეგაც არ გარდაიცვლება!**

როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ!

...აქციას, ერთი, პირმშვენიერი, დღე-დღეზე შვილის მომლოდინე, ქართველი გოგონა ახლდა მეუღლესთან ერთად! წინასწარ დავიჭირე თადარიგი – **ძეობაზე არ დაგავიწყდეთ-მეთქი!**

– არავითარ შემთხვევაში, ბატონო დავით, მაგრამ **ძეობა სამი წლის წინ გვქონდა, ახლა ასულს ველოდებითო!**

უფალო, ამრავლე ქართველთა ჯიში და ჯილაგი, სადაც არ უნდა იყონ ისინი, რადგან, ბოლო გაჩერება:

–ღვთისმშობლის და ქართველთა წილხვედრი საქართველოა ჩვენთვის!

დავით შოთაძე,
კობლენცი, გერმანია

EMIGRANT
EMIGRANT
EMIGRANT

“რად მინდა NDI, როცა პალიკო ლინჩის წესს ამართლებს?!”

“მე დავიბადე ამოტრიალებულ ფერადი ქოლგასავით გაშლილ ქალაქში, რომელიც ხანდახან თავბრუდამხვევად ტრიალებდა თავისი სახლებით, ტროლეიბუსებით, ადამიანებით, პარკებით, ძველი ბიჭებით, სახინკლეებით, ღიპიანი მილიციონერებით, ჭორებით, თავისი ბავშვური ტყუილითა და თავისი ჯიუტი სიმართლით... ამ ქალაქს ადრე სახე ჰქონდა. მერე დაკარგა. ახლა მიშა კობახიძის შავ-თეთრი ქოლგასავით ხან ვის აედევნება ფარფატი, ხან – ვის... მათ შორის მეც. ძალიან მეცოდება ისიც და ჩემი თავიც. თუმცა პარიზი სულ ცდილობს ამის კომპენსირებას, რაც უფრო კარგავს თბილისი სახეს, მით უფრო ცდილობს... ალბათ, ვეცოდები, თანამიგრძნობს და... ხანდახან თბილისს ემსგავსება ხოლმე. აქ ბევრი რამ მაგონებს იმ დაკარგულ სახეს, რომელსაც მინდა თუ არა, ყოველთვის თან ვატარებ როგორც ღირსებას”, – წერს ესეში **“თბილისს ვეღარ იცნობ”,** საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მწერალი, ესეისტი და კინოდოკუმენტალისტი **პაატა ძურდაძე:**

– ბატონო პაატა, თქვენს ერთ ესეში საქართველოს ევროპის ყველაზე სახიფათო ქვეყნად მოიხსენიებთ ბელორუსთან ერთად...

– ევროპას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი მონაცემებით ყოველთვის ვედარებით ევროპის წამყვან ქვეყნებს... თუმცა ევროპაში არ მეგულება ქვეყანა, სადაც შეიძლება ქვა ჩაგარტყან თავში იმის გამო, რომ განსხვავებული თვალსაზრისი გაქვს. ამას ეძახის მენეჯერი ვანო მერაბიშვილი ევროპაში ყველაზე უსაფრთხო ქვეყანას? დღისით, მზისით, ნებისმიერი ქალაქის ან სოფლის ცენტრში, **“არატრადიციული პოლიტიკური ორიენტაციის”** გამო, ისე აგხდიან სკალპს, ისე ჩაგქოლავენ, რომ ერთ პოლიციელს ვერ იპოვი წამლად. ასე მგონია, ხელისუფლება ივანე მერაბიშვილის რეპუტაციას უფრთხილდება და შსს ჩააბარეს კაცს, რომელსაც დიდი ინკვიზიტორის რეპუტაცია აქვს საქართველოში. ეს კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს. ხელისუფლებაში დასარჩენად, ესენი, ყველა ხერხს იყენებენ.

– სოციალურ ქსელში მიხეილ სააკაშვილს ოპორტუნისტი უწოდეთ, ვანო მერაბიშვილს კი – მარქსისტი. მიგაჩნიათ, რომ მათ შორის უთანხმოებაა?

– **“ფეისბუქში”** ხშირად ვხუმრობ და ჩემს ნათქვამს სერიოზულად ნუ აღიქვამთ... საზოგადოდ, ბევრს ვწერ საქართველოს ხელისუფლების ფსევდოლიბერტარიანიზმზე. მერაბიშვილის პროგრამა კი ჩემთვის არის სწორედ ამ იდეოლოგიისთვის ერთგვარი ზურგის შექცევა და ღალატი. ჩემს ბოლო წიგნში – **“ექსპერიმენტული განცდები”**, ვამტკიცებდი, რომ საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურად გამოცხადებული იდეოლოგია, რომელსაც ლიბერტარიანიზმს უწოდებდნენ, არის ელემენტარული ბარბაროსული კაპიტალიზმი. ლიბერტარიანული იდეოლოგია ელასტიკურია, მშვენივრად მოირგებ იმისათვის, რომ გაამართლო შენი სისასტიკე, თორემ, საქართველოს ხელისუფლება მასთან დაკავშირებული არ არის, იმის გამო, რომ ლიბერატარიანიზმი გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ ბიზნესის თუ სხვა ნებისმიერი სფეროს სერიოზულ კონტროლს. საქართველოში ყველაფერს სახელმწიფო აკონტროლებს. საქართველოს ჩვეულებრივი ოპორტუნისტები (ოპორტუნიზმი – მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრულად განწყობილი მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში და პროლეტარული პარტიების შიგნით – ნ.ფ.) მართავენ, დღეს ერთ იდეოლოგიას ირგებენ პიჯაკივით, ხვალ – მეორეს. ვანო მერაბიშვილი ჩემთვის ოფიციალური რუხი კარდინალივითაა. მას არ ვიცნობ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალზე ცუდი მინისტრი იყო. პოლიციის ფუნქცია არ არის მხოლოდ კრიმინალთან ბრძოლა. პოლიციის ფუნქცია გამოხატვის თავისუფლების დაცვაც არის, რაც დემოკრატიაში ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური უფლებაა. მერაბიშვილის პოლიციის მთავარი იარაღი რეპრესიებია, და ის საბჭოთა მილიციასავით მთლიანად პოლიტიზებულია. როგორ შეიძლება კარგი უწოდო პოლიციას, რომელიც ათობით ათასიან მიტინგებს უმეთვალყურეოდ ტოვებს?! ეს იგივეა, მეხანძრემ ბენზინის გასამართ სადგურთან ანთებულ კოცონს გულგრილად ჩაუაროს.

– რას იტყვით ივანიშვილზე, როგორია მისი შანსები? თქვით, მისი სახით ქართველი ხოდორკოვსკი გვეყოლებაო...

– იმის თქმა არ მინდა, რომ მთელი საქართველო ტოტალურად კონფორმისტია, მაგრამ შარშან, საქართველოში რომ ჩამოვედი, ხალხი საოცრად შეშინებული მეჩვენა. საქართველოში თითქოს საბჭოთა კავშირი ვნახე. ახლა ვუყურებ და მეჩვენება, რომ ხალხი გამოცოცხლებულია. ადამიანებს რომ საპროტესტო მუხტი კიდევ უჩნდება, ესაა მნიშვნელოვანი. მე პროპაგანდას კი არ ვუწევ ივანიშვილს, უბრალოდ, როცა ადამიანს რაღაცის მიმართ უჩნდება პროტესტი, ეს ნორმალური მდგომარეობაა. კონსტიტუციურად არ მაქვს უფლება, ვინმეს მხარეზე ვიყო, ვინაიდან საფრანგეთის მოქალაქე ვარ და ვერც არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას. თუმცა პასპორტი არ მჭირდება იმისთვის, ვინმეს მორალურად დავუჭირო მხარი. მე მომხრე ვარ კოალიციის გამარჯვებისა. მას იმიტომ ვუჭერ მხარს, რომ არის კოალიცია და არა პარტია. საზოგადოდ, მომხრე ვარ საპარლამენტო მმართველობის, იმიტომ, რომ არც ერთ ქართველს არ ვენდობი იმ ძალაუფლებით, რა ძალაუფლებაც დღევანდელ პრეზიდენტს აქვს. საპარლამენტო ხელისუფლებაში არც ერთ პარტიას არ დავუჭერდი მხარს, ვინც აბსოლუტური უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი და შეეძლება ნებისმიერი ბრიყვული კანონის გატანა ისე, როგორც დღეს ხდება საქართველოში. ჩემთვის დღევანდელი პარლამენტი არის არაკომპეტენტურობის აპოგეა, პარლამენტის კარიკატურა. პოლიტიკურ მეცნიერებებში მის მაგალითზე უნდა ასწავლონ, როგორი არ შეიძლება იყოს პარლამენტი. კოალიციას კი მხარს იმიტომ ვუჭერ, რომ მას შეუძლია ზუსტად ისე გაშალოს შეკრული და დაჭაობებული სიტუაცია ქართულ პოლიტიკაში, როგორც დაშალა კოალიციამ შევარდნაძის ხელისუფლება 2003 წელს.

– არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად, ოპოზიციას საერთაშორისო თანადგომაც სჭირდება. როგორ ფიქრობთ, ევროპა სათანადოდაა ინფორმირებული იმაზე, რა ხდება დღეს რეალურად საქართველოში?

– ევროპარლამენტს იმდენი პრობლემა აქვს, ეჭვი მეპარება, საქართველოს საკითხს დიდი ყურადღება, დრო და ნერვები დაუთმოს. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ჩვენი საქმე, პატიოსნად მოვიქცეთ და იმედი ვიქონიოთ, რომ სიმართლე ადრე თუ გვიან გაიმარჯვებს, როგორც ყოველთვის. კოალიციამ მაქსიმალურად უნდა გაუძლოს წნეხს. გაცილებით რთულ სიტუაციაში ჩატარებულა დემოკრატიული არჩევნები... ყველამ ვიცით, რა მოხდა კარალეთში, მეორე დღეს კი გამოდიან აკო და პალიკო (ან ეს კინობითი ფორმა რა უბედურებაა?!) და ლაპარაკობენ – ეს გამწარებული ხალხია და რომ შეაგინებ, ქვას ისვრის, აბა, რას იზამსო. ჩემთვის ეს არის ძალადობის ლეგიტიმაცია. იქ, რაც მოხდა, იმ სცენას ჰქვია ლინჩის სასამართლო – იქვე, უცებ გადაწყვიტეს, ეს ხალხი უნდა ჩავქოლოთო, ჩაქოლეს და ამას პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ამართლებს. რად მინდა **NDI**-აი, როცა პალიკო ლინჩის წესს ამართლებს?! ამას რა გამოკვლევა სჭირდება? ზუსტად ვიცი, იქ რა მოხდა და მიმაჩნია, რომ ქვების მსროლელებსა და იმ პარლამენტარებს შორის, რომლებიც მათ ამართლებენ, მენტალური განსხვავება არ არის, მხოლოდ ფორმებშია მცირეოდენი განსხვავება.

ნ. ფიცხელაური

წერილი იზოლატორიდან – როგორ აწამებენ „ქართული ოცნების“ წევრს საგარეჯოში

„გამოვყავდი საპატიმრო ოთახიდან, მაჩოქებდნენ, მირტყამდნენ თავში, ასევე საჯდომზე; მაიძულებდნენ, რომ ყვირილით მეგინებინა ბიძინა ივანიშვილისთვის; არ მაჭმევდნენ საჭმელს, ვიყავი მხოლოდ წყალზე; ღამით, ყოველ ორ წუთში ერთხელ ფორთოჩკის გამოღებაზე ფეხზე თუ არ წამოვდგები, მაიძულებენ მთელი ღამის განმავლობაში ფეხზე ვიდგე; ბიძინა ივანიშვილს, რომ არ ვაგინებ, ტუალეტში არ გავყევარ, ჩაფსმამდე მივყავარ“, – **წერს წერილში პატიმარი კახაბერ გოგიაშვილი.**

კახეთის საინფორმაციო ცენტრი კახაბერ გოგიაშვილის წერილს, რომელიც მან იზოლატორიდან გამოგზავნა, უცვლელად გთავაზობთ:

„მოგახსენებთ, რომ ვარ **„ქართული ოცნების“** წევრი, ვეწევი კოალიციის მხარდამჭერ აგიტაციას და აქტიურად ვასრულებ ჩვენი შტაბის დავალებებს.

2012 წლის 12 ივნისს ვიმყოფებოდი კარალეთში, სადაც მოსახლეობას ხვდებოდნენ კოალიცია **„ქართული ოცნების“** ლიდერები კახი კალაძე, გია ყარყარაშვილი და სხვები. **„ქართული ოცნების“** ლიდერები შეხვდნენ კარალეთის ლტოლვილთა დასახლების მაცხოვრებლებს და თავდაპირველად მათ შორის წარიმართა მშვიდი დიალოგი. რაღაც პერიოდის შემდეგ ბატონმა კახიმ და ბატონმა გიამ გადაწყვიტეს სხვადასხვა მხარეს შეხვედროდნენ მოსახლეობას და ასე ვთქვათ ისინი გაიშალნენ. დაახლოებით ოცი ადამიანი დავრჩით პირველ ადგილზე, საიდანაც ლიდერები გაიშალნენ, თუმცა ისინი იყვნენ დაახლოებით 100 მეტრის რადიუსში და ვიზუალურად ერთმანეთს ვხედავდით. დაახლოებით სამ წუთში **„ქართული ოცნების“** მხარდამჭერებს, რომლებიც ვიყავით ესე ვთქვათ ცენტრში, მოგვაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა იქ მცხოვრებმა ნაციონალებმა.

როდესაც ლიდერებმა დაინახეს, რომ ჩვენი მისამართით ხორციელდებოდა აგრესია, ისინი წამოვიდნენ, რათა სიტუაცია განემუხტათ, თუმცა ნაციონალებისგან და ზონდერ ბრიგადებისგან უკვე წამოვიდა ფიზიკური აგრესია. ისინი ურტყამდნენ ხალხს ხელებით და ფეხებით, გვესროდნენ ქვებს, ბლოკის ნატეხებს, ლურსმნიან ფიცრებს, კრამიტებს და ჩვენს მომხრეებს უსწორდებოდნენ ჯოხებით.

მას შემდეგ, რაც ლიდერებმა შეძლეს ჩხუბის ეპიცენტრს გაცლოდნენ და მიდიოდნენ მანქანებისკენ, რომლებიც ასევე დალეწეს ზონდერებმა, იქ დავრჩით დაახლოებით შვიდი კაცი და ვცდილობდით ნაციონალების აგრესია შეგვეჩერებინა, თუმცა ამ დროს შემოვარდა ლტოლვილთა დასახლების მამასახლისი. და ვიღაც მადალი პიროვნება. მათ მოგვაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

მამასახლისი მცემდა ხელებით და ფეხებით. პიროვნება, რომელიც მას ახლდა მირტყამდა ზურგიდან და ნაციონალები მირტყამდნენ ფიცრებს და ჯოხებს და მე მხოლოდ ვცდილობდი, რომ თავი დამეცვა.

ზონდერებს დირექტივას აძლევდა ხეითელი გიგი, რომელიც თუ არ ვცდები გვარად არის გოჩაშვილი. ზონდერებმა გვდიეს ცენტრალურ სამანქანო გზამდე და როგორც იქნა ქვების წვიმას დავაღწიეთ თავი.

აღნიშნულის შემდეგ მივედით **„ქართული ოცნების“** გორის რაიონულ შტაბში, საიდანაც წამიყვანეს გორის საავადმყოფოში, სადაც მისვლამდე არაერთხელ მქონდა ღებინება, მეწვოდა კეფა, სახის მარცხენა მხარე მქონდა დასიებული და იმის მაგივრად, რომ ექიმებს აღმოეჩინათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება, მათ მითხრეს, რომ ვერ დამიწერდნენ რაიმე დაზიანებას, გამიკეთეს რაღაც ორი ნემსი და ტვინის შერყევით სასწრაფოდ გამიშვეს, შეიძლება ითქვას რომ გამაგდეს საავადმყოფოდან.

მეორე დღეს, ჩემი სიმამრის სახლში ვიყავი, სადაც მოვიდნენ გორის პოლიციის თანამშრომლები და წამიყვანეს გორის სამმართველოში. არც იმ დროს, როდესაც დამაკავეს და არც პოლიციაში მიყვანისას არ მომცეს საშუალება დამერეკა ან შტაბში, ან ადვოკატთან.

ასევე აღვნიშნავ, რომ გამომძიებელმა მაკა კაპანაძემ ისე, რომ მე ჩვენება არ მქონდა მიცემული, შემომიტანა გამზადებული **„ჩემი“** ჩვენება და მეუბნებოდა, რომ ხელი უნდა მომეწერა ზემოთაღნიშნულზე, თუმცა მე ხელი არაფერზე მომიწერია.

როდესაც სასამართლოში მიმიყვანეს, მოწმეებს, რომლებიც წარმოადგინა ბრალდების მხარემ, ჩემი საწინააღმდეგო ჩვენება არ მიუციათ, თუმცა მოსამართლე ეკა არეშიძემ დამონტაჟებული ვიდეო მასალის საფუძველზე შემიფარდა თხუთმეტდღიანი პატიმრობა.

სასამართლოს სხდომის შემდეგ გადმომიყვანეს საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მეპყრობოდნენ დამამცირებლად, მილახავდნენ ღირსებას. ჩემი, როგორც **„ქართული ოცნების“** მხარდამჭერის მიმართ არის არაადამიანური დამოკიდებულება საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების, პოლიციელების მხრიდან.

სამი დღის განმავლობაში, ვიდრე შემოვიდოდნენ ადვოკატები, თითქმის ყოველ ორ წუთში ერთხელ მცემდნენ, მაგინებდნენ დედას, მეუბნებოდნენ – შევიცვალე თუ არა აზრი, არ მაჭმევდნენ საჭმელს, ვიყავი მხოლოდ წყალზე (მაშინ როდესაც შიმშილობა არ გამომიცხადებია). მეუბნებოდნენ, თუ ვაგინებდი ბატონ ივანიშვილს და **„ქართულ ოცნებას“** ტელევიზორსაც მაყურებინებდნენ, საჭმელსაც მაჭმევდნენ და კარგად მომექცეოდნენ.

ასევე არ გავყავდი საპირფარეშოში, მივყავდი იქამდე, რომ შეიძლება ბუნებრივი მოთხოვნილება იმ ოთახშივე დამეკმაყოფილებინა, სადაც მამყოფებდნენ და სადაც არ არსებობს სველი წერტილები.

მას შემდეგ, რაც ადვოკატები ჩავაყენე საქმის კურსში თუ როგორ მაწამებდნენ საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორში ჩემი პოლიტიკური შეხედულების გამო, ნიკოლოზ გაბაშვილმა, **„დმი“**–ის უფროსმა მათი წასვლის შემდეგ კვლავ მაგინა. რაც შეეხება 17–18–19 ივნისს, შემდეგნაირად მაწამებდნენ: ისე ხშირად აღარ მაგინებდნენ, თუმცა მეუბნებოდნენ, რომ ღამის სამ საათამდე არ მაქვს დაძინების უფლება, სამი საათის შემდეგ კარების **„ფორთოჩკას“** არაერთხელ მიღებდნენ და არ მაძლევდნენ ძილის საშუალებას, რამდენჯერაც ფორთოჩკას გამიღებდნენ (საუბარია ღამის 3 საათის შემდგომ პერიოდზე, როდესაც ასე ვთქვათ ძილის დრო მაქვს გამოყოფილი) ფეხზე უნდა წამომდგარვიყავი. ასე გრძელდებოდა ყოველ 10-15 წუთში.

როდესაც ვითხოვდი საპირფარეშოში გასვლას, უარს მეუბნებოდნენ“, – **წერს პატიმარი კახაბერ გოგიაშვილი წერილში, რომლითაც მან საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას, სახალხო დამცველს გიორგი ტუღუშს, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ბოკერიას მიმართა.**

ადვოკატ თედო კობახიძის განცხადებით, არცერთი უწყების მხრიდან რეაგირება არ ყოფილა.

კახაბერ გოგიაშვილმა თერთმეტი დღეა იშიმშილა. პროტესტის ნიშნად ასევე შიმშილობდა „ქართული ოცნების“ **კიდევ ერთი წევრი ცოტნე შენგელია, რომელიც თელავის იზოლატორში იყო მოთავსებული.** მაგრამ პატიმართა მიმართ ამგვარ არაადამიანურ მოპყრობაზე ხელისუფლებას ყურადღება არ მიუქცევია.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ზესტაფონი-ნეფთჩი 2:2 – საქართველოს ჩემპიონი უნდა გერქვას შენ?!

არავინ თქვას, რომ საქართველოში ქომაგობა არ იციანო. ბაქოში 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ, ალბათ, ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საპასუხო შეხვედრისას ზესტაფონში სტადიონი ბოლომდე გაივსებოდა.

გულშემატკივრებმა მართლაც რომ საფეხბურთო ამინდი შეუქმნეს საყვარელ კლუბს.

მხარდამჭერთა ნაკლებობას ბაქოს **"ნეფთჩიც"** არ უჩიოდა. აზერბაიჯანელებს დაახლოებით 300-მდე გულშემატკივარი და 26 ჟურნალისტი ჩამოჰყვათ. შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ზვიად სიჭინავა და ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაიაც ესწრებოდნენ.

ზესტაფონელები, პირველ მატჩში დიდი ანგარიშით დამარცხების მიუხედავად, იმედიანად იყვნენ განწყობილნი და თამაშამდე საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებდნენ. გიორგი ჭიაბრიშვილმა შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა. ტრავმირებული თორნიკე აფციაურის, ზაალ ელიავასა და ედიკ საჯაიას ნაცვლად ზესტაფონურ მატჩში ძირითადში დავით მუჯირი, თორნიკე და თევდორე გრიგალაშვილები გამოჩნდნენ.

შეხვედრა მართლაც დრამატული და ემოციებით დატვირთული გამოდგა. **"ზესტაფონის"** სწრაფი გოლების შემდეგ პესიმისტურად განწყობილმა მაყურებელმაც კი დაიჯერა სასწაულის.

სასწაულამდე მართლაც ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, მაგრამ **"ზესტაფონმა"** ქართული გუნდების სენი არ დაივიწყა, გატანილი გოლების შემდეგ დაცვაში ყურადღება მოადუნა და ვობაის გოლმაც არ დაახანა, რამაც ქართველების იმედებს ცივი შხაპი გადაასხა.

"ზესტაფონს" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად უკვე 3 გოლის გატანა მართებდა, თუმცა ფეროელებს ეგ კი არა, მატჩის მოგების რესურსიც არ აღმოაჩნდათ.

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. ზესტაფონელებმა თავიდანვე შეტევაზე გააკეთეს აქცენტი. დაცვაში სტუმრებიც არ ჩამდგარან და საკმაოდ გახსნილი და სანახაობრივი ფეხბურთი გაჩაღდა.

მასპინძლებმა ორი სწრაფი გოლი გაიტანეს – მეტოქის კართან კუთხური დაინიშნა, კუთხურს კი სტუმართა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. ოვონიკოკო კარგად გაერკვა სიტუაციაში და საჯარიმოს ხაზთან ახლოს მუჯირს დროული გადაცემა გაუკეთა, რომელმაც უძლიერესი დარტყმით რაუფ მეჰდიევს შანსი არ დაუტოვა.

გაშვებულმა გოლმა და გულშემატკივართა გამაყრუებელმა ყიჟინამ სტუმრებზე დამაბნევლად იმოქმედა და სამიოდე წუთში მუჯირის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა ჯაბა დვალმა აზერბაიჯანელები მეორეჯერ დაამწუხრა.

ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ხდებოდა იმ წუთებში ტრიბუნებზე...

შემდეგ კი ვობაიმ ბრაზილიელი ბრუნო ბერტუჩის გადაცემა შეირგო და მისი გუნდისთვის მეტად საჭირო ბურთი შეაგდო. აზერბაიჯანელებმა ბურთი **"დაიჭირეს"** და მართალია, თავადაც არ ამწვავებდნენ თამაშს, თუმცა მასპინძლებსაც არ აძლევდნენ გასაქანს.

ზესტაფონელთა გადახალისებულ დაცვას **"ნეფთჩის"** ტექნიკური ლეგიონერების შეჩერება ძალიან უჭირდა.

მეორე ტაიმის დებიუტშივე მუჯირმა შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ მისმა ყუმბარისებურად გასროლილმა ბურთმა აზერბაიჯანელთა კარის ხარიხა შეაზანზარა.

ზესტაფონელთა ეპიზოდური აფეთქების შემდეგ ინიციატივა ისევ სტუმართა მხარეს გადავიდა და თითქოს მასპინძლებს თავიანთი გასაჭირი არ ჰყოფნიდათ, ყაზახმა არბიტრმა არტიომ კუჩინმა მასპინძელთა კარში ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა.

ვიდეოფირის ნახვის გარეშე ძნელია რამის მტკიცება, თუმცა ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ იმამვერდიევს ღონდაძემ ვარდნაში სუფთად აართვა ბურთი... თუმცა არბიტრმა ეპიზოდი სხვაგვარად განსაჯა და სადიგოვმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ **"ზესტაფონის"** მომდევნო ეტაპზე გასვლა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა და გულშემატკივრებიც შეეგუენ იმ აზრს, რომ მათი სათაყვანებელი კლუბი ევროსარბიელს გამოემშვიდობებოდა.

ლაშა შავდათუაშვილი ოლიმპიური ჩემპიონია

ქართულ სპორტს ახალი გმირი ჰყავს – 20 წლის კარალეთელი ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი, რომელიც 29 ივლისს 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

რაც მან გააკეთა, მართლაც გმირობაა – სოფელში აღზრდილმა ბიჭმა სულ რაღაც 8 თვეში გაიარა გზა ახალგაზრდული ნაკრებიდან ოლიმპიურ ჩემპიონობამდე.

ლაშა შავდათუაშვილმა ლონდონში მართლაც მშვენიერი სტატისტიკა დადო – 5-დან 4 შეხვედრა წმინდა მოგება – იპონით დაასრულა და მხოლოდ ფინალში, უძლიერეს უნგრელ მოჭიდავესთან დასჯერდა ქულებით მოგებას.

გაზეთი **"ილორი"** ულოცავს სრულიად საქართველოს ამ დიდ გამარჯვებას, რაც ქართველი ადამიანის შემართების კლასიკური ნიმუში გახლავთ!

დაწვრილებით – შემდეგ ნომერში.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაცია და გაზეთი "ილორი" მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მოძრაობის ვეტერანი და აქტიური წევრი, შესანიშნავი მოქალაქე და მამულიშვილი, ანაკლიის მკვიდრი

მურად ესართია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო",
სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს"
ზუგდიდის ორგანიზაცია,
გაზეთი "ილორი".

მზვერავი

(სატირული მოთხრობა)

საემიგრაციო სამსახურის ჩინოვნიკმა ყურადღებით გადაფურცლა ქართული პასპორტი და დამარცვლით წაიკითხა:

– დ-ა-რ-ჩ-ო ა-კ-ო-ფ-ა-შ-ვ-ი-ლ-ი. – მერე ჯიქურ შეაჩერდა ორმოციოდე წლის შავტუხა გრძელცხვირა კაცს და შეეკითხა, – რა ეროვნების ხარ?

– საქართველოს მოქალაქე, წერია მანდა, – შეუვალი კილოთი უპასუხა მან.

– მე ეროვნებას გეკითხები, – გაღიზიანების კილო შეეპარა ჩინოვნიკის ხმას.

– რა ვიცი, აბა, რა გითხრა, – მხრები აიჩეჩა პასპორტის მფლობელმა, – მამა სომეხი მყავს, დედა ქართველი გრიგორიანელი. პასპორტში საქართველოს მოქალაქე მიწერია.

– საინტერესოა, – თქვა ჩინოვნიკმა, – მაინც რა უცნაური ადამიანები ჩამოდიან საქართველოდან. ეროვნების თქმა უჭირთ...

– როგორ გეკადრებათ, – იწყინა დარჩომ, – ხომ გითხარით, მამა სომეხი მყავს, დედა გრიგორიანელი ქართველია. ესე იგი, ისიც სომეხია.

– ვერ გავიგე, – გაიკვირვა ჩინოვნიკმა, – როდის აქეთ გახდა გრიგორიანობა ეროვნება? ვთქვათ, გერმანელმა რომ გრიგორიანობა აღიაროს, სომეხი გახდება?

– თუ თითონ გულით უნდა, ნამდვილად გახდება. – გულდაჯერებით თქვა დარჩომ.

პასპორტს ჩაშტერებულმა ჩინოვნიკმა თავი ასწია და იკითხა:

– სომხეთი საქართველოდან შორსაა?

– არა, იქვეა, მეზობლად.

– მერე, იქ რატომ არ ცხოვრობ, სამშობლოში...

– სომხები ყველგან ცხოვრობენ, – დარჩომ სიტყვა გააწყვეტინა ჩინოვნიკს, მერე, თითქოს სული მოითქვაო, განაგრძო, – ყველგან ცხოვრობენ, მსოფლიოში თითქმის ქვეყანას ვერ ნახავ, სადაც თუნდაც ერთი სომეხი არ ცხოვრობდეს.

– თუნდაც ერთი? – გაიკვირვა ჩინოვნიკმა, – მარტოდმარტო, უცხო ხალხში, უცხო გარემოში, როგორ ძლებთ?

დარჩომ კეფა მოიფხანა, ოდნავ შეყოყმანდა და თქვა:

– მზვერავია!

– რაო? – ყურები ცქვიტა ჩინოვნიკმა, – მზვერავი! სწორად გავიგონე?

დარჩომ ენაზე იკბინა.

– არა, ეს სხვა აზრი ვთქვი. ის იმ ქვეყანას ეცნობა, როგორი ხალხია იქ, ღირს თუ არა იქ ცხოვრება, გაიტანენ თუ არა იქ თავს. ერთი სიტყვით, ინფორმაციას იღებს, ყველაფერს გებულობს. ჰოდა, მერე, სხვა სომხები როცა ეკითხებიან, ისიც საქმის კურსში აყენებს.

ჩინოვნიკს გაეცინა.

– სწორედაც რომ მზვერავი ყოფილა, ასეა, ნამდვილად. ალბათ იცი, ომის დროს მოწინაარმდეგეები საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად მტრის ზურგში მზვერავებს გზავნიან. ასე იყო აფხაზეთში, როცა ქართველების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

– როგორ გეკადრებათ, – იფუცხუნა დარჩომ, – აფხაზეთში სომხებს მზვერავი რაში სჭირდებოდათ. ისეც ყველაფერი კარგად იცოდნენ, აბსოლუტურად ყველაფერი. თითონ ქართველებმა აიძულეს სომხები იარაღი აეღოთ ხელში.

– როგორ თუ აიძულეს, – გაბეცდა ჩინოვნიკი, – ქართველებმა ძალა დაატანეს სომხებს, გინდათ თუ არა თოფს მოჰკიდეთ ხელი და ზურგში გვესროლეთო?

– არა, არა, რას ამბობ! – ხელები გაასავსავა დარჩომ, – ქართველები რომ საწყალ აფხაზებს დაერივნენ, სომხებიც შეიარაღდნენ.

– კიდევ კარგი, ცოტა ჩახედული ვარ აფხაზეთის ამბებში, თორემ დავიჯერებდი – ვედარ მოითმინა ჩინოვნიკმა და ხელი აუქნია დარჩოს, – გარე ძალების ჩარევით ქართველები და აფხაზები ერთმანეთს რომ ხოცავდნენ, სომხებმაც იმარჯვეს. საქართველოში მცხოვრები სომხები კი შორიდან უყურებდნენ ხოცვა-ჟლეტვა.

– არაფერსაც არ უყურებდნენ შორიდან, იყვნენ თავისთვის, აბა რა ექნათ?

– რა ექნათ და დაეგმოთ აფხაზეთში სომხების საქციელი, ჩამდგარიყვნენ წაკიდებულებს შორის, შეერიგებინათ ერთმანეთში.

– ეგ უკვე აღარ გამოვიდოდა, – თქვა დარჩომ, – ჰოდა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

– მაინც რა? – დაინტერესდა ჩინოვნიკი.

– რა და, აფხაზეთიდან ქართველები გამორეკეს და იქ ახლა აფხაზებთან ერთად უმეტესად სომხები არიან, თანაც, ძალიან ბევრი.

– საწყალი ქართველები, – თანაგრძნობით თქვა ჩინოვნიკმა, მერე დაფიქრდა და დაამატა, – უფრო სწორად, ვერ ივარგეს.

– საწყალი კი არა, თავისთვის ძალიანაც კარგად ვარგიან! კიდევ ბევრი ჩვენი მიწა რჩება მათ ხელში. – თქვა დარჩომ, პასპორტი გულის ჯიბეში ჩაიდო, ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და მხნედ გააბიჯა.

ჩინოვნიკს გაეცინა. მართლა მზვერავივით მიაბიჯებდა ფრთხილად და გულდაჯერებით, თითქოს რაღაცას ეპარება, ან ჩასასაფრებელ ადგილს ეძებსო.

ოთარ თორელი

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge